პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ივლისი **ხუთშაბათი** 2010

№ 152 (13 140) ფასი 60 თეთრი



# ფეხბურთის ღმერთის რენესანსი

## მწვრთნელ მარადონას ფილოსოფია: როგორც თქვენ გინდათ, ბიჭებო!

» გვერდი 2

# ევროსტარტი

## დღეს საკლუბო სეზონი იწყება:

## 18:00 დინამო-ფლორა
## 20:00 ზესტაფონი-ფაეტანო



## მაგარია ზაქარია?

დინამოს ბეგლარიშვილი შეუტევს, კაჭარავას როგერტინიო აკლია

» გვერდი 8



# პოდოლსკი დაშავდა

გუშინ გერმანიის ნაკრების შტაბი ერთხანს შეშფოთებული ადევნებდა თვალს **ლუკას პოდოლსკის**, რომელმაც ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო. 25 წლის გარემარბმა, რომელიც ბუნდესგუნდის სამუნდიალო კამპანიის ერთ-ერთი გმირია, საწვრთნელი პროცესი გააცდინა. პოდოლსკის კუნთის პრობლემა აქვს. თუმცა მოგვიანებით ექიმებმა დაასკვნეს, რომ „პოლდის" საშიში არაფერი სჭირს და რომ არგენტინასთან შაბათის ჯახისთვის ფეხზე იქნება.

გაცილებით რთულია ფორვარდ **კაკაუს** მდგომარეობა. დიდად საეჭვოა, „ალბისელესტთან" მატჩში **იოახიმ ლიოვმა** მისი გამოყენება შეძლოს.



# ოქრიაშვილი: ზენიტი არა, შახტარი

## მოულოდნელი ტრანსფერის კვალდაკვალ

» გვერდი 7



# როჯერის ჯერიც დადგა

» გვერდი 15



როი ჰოჯსონი

# ლივერპულში ჰოჯსონი ინიშნება

» გვერდი 3

# კიდევ ერთი ოქრო და ვერცხლი ბულგარეთიდან

» გვერდი 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა

# ფეხბურთის ღმერთის რენესანსი

## მწვრთნელ მარადონას ფილოსოფია: როგორც თქვენ გინდათ, ბიჭებო!

**დიეგო მარადონა** ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ბევრის აზრით, პირდაპირ საუკეთესოს წოდებასაც იმსახურებს. მწვრთნელ მარადონას კი დიდხანს აკრიტიკებდნენ. ფაქტი ის არის, რომ 49 წლის დიეგომ არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა, სადაც „ალბისელესტე“ გერმანიას უნდა შეხვდეს. მარადონა ამბობს, რომ მისი გუნდი აუცილებლად მსოფლიოს ჩემპიონი გახდება და სხვათა შორის, მუნდიალის დაწყების შემდეგ, მარადონას, როგორც მწვრთნელს, სულ უფრო და უფრო იშვიათად აკრიტიკებენ. ამასთან, დიეგოს შეგირდებს ძალიან უყვართ, რადგან მარადონა მათ სულ სხვანაირად, ძალიან თბილად, მამაშვილურად ექცევა.

დიეგოს ძმაკაცი **ფიდელ კასტრო** მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატს ყურადღებით ადევნებს თვალს. დიდმა კუბელმა რევოლუციონერმა თითქმის ყველა მატჩს უყურა, არადა, 83 წლის ფიდელს ტელევიზორში ფეხბურთის საყურებელი დრო თითქმის არ აქვს. *„ფეხბურთი ჩემთვის ადრე მხოლოდ და მხოლოდ თერთმეტი მამაკაცის ჩხუბი იყო, სხვა თერთმეტ მამაკაცთან და თანაც, მხოლოდ და მხოლოდ ბურთის გამო,* - ამბობს კასტრო, - *მარადონას წყალობით კი ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა, რადგან სწორედ მისი დამსახურებაა, რომ წესებიც დავიზეპირე და ტაქტიკასტრატეგიებშიც გავერკვიე“.*

კასტრო და მარადონა ძველი ძმაკაცები არიან. მათ ერთმანეთი ათასწლეულის დასაწყისში გაიცნეს. ეს იმ დროს იყო, როცა ნარკოტიკებისგან და ალკოჰოლისგან გაუბედურებულ დიეგოს წონის პრობლემებიც ჰქონდა და კასტროს მიპატიჟებით, კუბაში, სპეციალური სამკურნალო კურსის ჩასატარებლად გაემგზავრა. ეს იყო პერიოდი, რომელზეც მარადონას საყვარელი ექიმი **ალფრედო** ამბობს: *„დიეგო - ფაქტობრივად მკვდარი იყო. მე ის ორჯერ მოვაბრუნე საიქიოდან. ერთხელ სულის ლაფვის პროცესში მყოფ მარადონასთან ერთად ბუენოს აირესში 14 საათი (!) ვიმგ ზავრე. მისი მიღება და მკურნალობა არც ერთ კლინიკას არ სურდა! ეს იყო პერიოდი, როცა ვფიქრობდი, რომ „ელ დიოსი“ (ღმერთს ნიშნავს) ხელებში ჩამაკვდებოდა.“*

მაგრამ ის პერიოდი დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა და დიეგო მარადონა დღეს თავს ისე კარგად გრძნობს, როგორც ყმაწვილკაცობაში გრძნობდა. ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მას თავი ასე კარგად მას მერე აღარ უგრძნია, როცა არგენტინის ნაკრების კაპიტანი იყო და „ალბისელესტეს“ მოედანზე მიუძღვოდა ხოლმე. დღეს დიეგო არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

„ალბისელესტეს“ თავკაცის თანამდებობა მას 2008 წლის ოქტომბერში ჩააბარეს. არადა, უმცირესი სამწვრთნელო გამოცდილება ჰქონდა - 90-იან წლებში ცოტა ხანს წვრთნიდა ორ არგენტინულ კლუბს და დაგვეთანხმებით, ამას გამოცდილება არც ეთქმის. შესაბამისად, როცა „ალბისელესტეს“ თავკაცად დანიშნეს, ექსპერტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ თქვა, რომ ეს უდიდესი შეცდომა იყო.

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე არგენტინამ იმდენად ცუდად ითამაშა, რომ მუნდიალის საგზურის მოპოვება ბოლო მომენტამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, რამაც დიეგოს კრიტიკოსები კიდევ უფრო მოუმრავლა. თავად განსაჯეთ: არგენტინამ მხოლოდ ბოლო ორი თამაშის მოგებით გაინაღდა სამხრეთ აფრიკა 2010-ის საგზური. მიუხედავად ამისა, მუნდიალის დაწყებამდე არგენტინაშიც კი, სადაც მარადონას სახელობის ეკლესიებია აშენებული, სადაც მას ალმერთებენ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), ძალიან ცოტას სჯეროდა, რომ „ალბისელესტეს“ სამხრეთ აფრიკაში წარმატებების მიღწევა შეეძლო.

მას მერე, რაც არგენტინამ ჯგუფური ეტაპი სამი მოგებით დაძლია და მერვედფინალშიც მარტივად გაიმარჯვა, ვითარება და დიეგოსადმი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. არგენტინა ახლა უკვე მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა, რაც, სხვებთან ერთად, დიეგოს დამსახურებაცაა.

*„არგენტინა ფეხბურთზე შეშლილი და გადარეული ქვეყანაა. მარადონამ ყველას მაგალითი მისცა, თუ როგორ უნდა გაუმკლავდე იმ უმძიმეს წნეხს, რომლის ქვეშაც მუნდიალზე მოასპარეზე ნებისმიერი გუნდი ექცევა,* - ეს „ალბისელესტეს“ მცველის, **მარტინ დემიკელისის** სიტყვებია, - *როცა გემი იძირებოდა, დიეგომ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და ერთი სიტყვით, ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ნამდვილ კაპიტნებს სჩვევიათ ხოლმე“.*

ის, რაც აუცილებლად უნდა ვთქვათ: მწვრთნელი მარადონა არ არის ისეთი სტრატეგი, როგორიც **ფაბიო კაპელოა**, არც ისეთი მშვიდი და გაწონასწორებულია, როგორებიც **ოტმარ ჰიტცფელდი** ან **ვისენტე დელ ბოსკე** არიან და მით უმეტეს არ არის დისციპლინის ისეთი ფანატიკოსი, როგორიც ამ მუნდიალზე ბრაზილიელთა თავკაცი **კარლოს დუნგაა**. მარადონას გუნდის გაწვრთნისა და მართვის თავისი საკუთარი, მეტად თავისებური, რადიკალური, ბევრისთვის მიუღებელი და მაინც სტილი აქვს.

პრესკონფერენციაზე და ჟურნალისტებთან საუბრისას, დიეგო სკანდალურია და ხშირად უზრდელიც. ერთ დღეს **პელეს** გალანძღავს, მეორე დღეს **მიშელ პლატინის**, მესამე დღეს **ზეპ ბლატერს**, მეოთხე დღეს რომელიმე კოლეგას, მეხუთე დღეს კი ჟურნალისტებს მისდგება. მარადონას ყოველთვის აქვს სათქმელი, თანაც ისეთი, რაც მის გუნდს და ფეხბურთელების მდგომარეობა-პერსპექტივებს არ ეხება. ყოველთვის ამბობს ისეთ რამეს, რამაც მერე უდიდესი დისკუსია და ჟურნალისტების კონტრკითხვები უნდა გამოიწვიოს. ასეთი მიდგომით, ნებსით თუ უნებლიეთ, დიეგო მისი ფეხბურთელებისთვის მშვიდ გარემოს ინარჩუნებს - როცა პელეს ლანძღავს, ცხადია, რომ **ხონას გუტიერესზე** არავინ არაფერს ჰკითხავს...

ფეხბურთელებთან ურთიერთობაში კი მარადონა აბსოლუტურად სხვანაირია და ოდნავადაც არ არის ეგოცენტრული. დიეგოსთვის მთავარია, რომ მისი შეგირდები თავს კარგად გრძნობდნენ. სხვა გუნდებისგან განსხვავებით, არგენტინელ ფეხბურთელებს ყოველდღე, 18-დან 21 საათამდე სასტუმროში ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიღებაც კი შეუძლიათ. **ლიონელ მესის** სასტუმროს მეათე ნომერში ცხოვრება სურდა და მარადონამ სურვილი ულაპარაკოდ აუსრულა, **კარლოს ტევესს** კი უნდოდა, რომ ნომერში მარტო ყოფილიყო და დიეგომ მას ასეთი პრივილეგია მიანიჭა. მისთვის აქსიომაა ის, რომ ყველა ფეხბურთელი თავს იდეალურად უნდა გრძნობდეს - ისე, როგორც თვითონ მოთამაშეს უნდა. მარადონას არ დაუმალავს, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თავის დროზე მეც ვიყავი ფეხბურთელი და ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია ის, რომ მოთამაშეს თითქმის ყველა სურვილი უნდა შეუსრულდესო.

*„დიეგო არის მწვრთნელი, რომელიც ყველა ფეხბურთელთან ძალიან ახლოსაა. მან ყოველთვის იცის, როგორ გრძნობს თავს თითოეული ფეხბურთელი, რადგან ჩვენ მას არასდროს არაფერს ვუმალავთ“,* - ამბობს მესი. მარადონა მუდმივად იმეორებს, რომ თვითონაც ამ გუნდის წევრია, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრშია და ყველას მფარველობს.

მარადონა ვარჯიშებზე თვითონაც თამაშობს ფეხბურთს, თითოეული ფეხბურთელი ხშირად გაჰყავს გვერდით და აგულიანებს, გოლების დროს, სათადარიგოთა სკამთან მდგომი ისე ზეიმობს, თითქოს გოლი თვითონ გაიტანა და ყველა გოლის შემდეგ, ავტორ ფეხბურთელს უდიდეს მადლობას უხდის. შესაძლოა, ასეთმა მიდგომამ ყველა გუნდში არ გაამართლოს, მაგრამ ფაქტია, რომ არგენტინის ნაკრებში ამართლებს.

*„დიეგო ყოველთვის ჩვენი უდიდესი გმირი იყო, არის და იქნება. თითოეული ჩვენგანი მის თამაშებსა და გოლებზე გაიზარდა. ახლა კი, როცა დიეგო ჩვენი მწვრთნელია, ეს მთელი გუნდისთვის განსაკუთრებული პატივი და მოტივაციაა,“* - ამბობს **გონსალო იგუაინი**.

მუნდიალზე არც ერთ სხვა გუნდში არ თამაშობენ ფეხბურთელები ისე თავისუფლად, როგორც „ალბისელესტეში“ - მარადონამ ყველა ფეხბურთელს შთააგონა, რომ გუნდისთვის თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია. არგენტინელი ჟურნალისტები წერენ, რომ დიეგო ყოველდღე სხვადასხვა ფეხბურთელს იბარებს და მათ მხოლოდ ძლიერ მხარეებზე ესაუბრება, რითაც მოტივაციას უორმაგებს და ყველას თავდაჯერებას მატებს. შედეგი: საკლუბო სეზონის გმირი **დიეგო მილიტო**, რომელმაც მილანის „ინტერთან“ ერთად ჰეთ-თრიკი შეასრულა, სათადარიგოთა სკამზე უკმაყოფილო სახით არ ზის და თუ საჭირო გახდა, მზადაა, უდიდესი თავდადებით ითამაშოს.

*„ის არის მწვრთნელი, რომლის ხელშიც ფეხბურთელი ყოველთვის თავდაჯერებული იქნება“,* - ამბობს მესი. ლეოსთან დიეგოს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. პრესკონფერენცია ისე არასდროს ჩაივლის, რომ მარადონამ მესი ქებით ცაში არ აიყვანოს და მსაჯებს მისი დაცვა არ მოსთხოვოს. დიეგო მესის დიდი გულშემატკივარია და ამის გამომჟღავნებას არასდროს ერიდება. დაბადების დღეზე დიეგომ მესის ათნომრიანი მაისურა აჩუქა, პირადი წარწერით: *„დიდი სიყვარულითა და აღფრთოვანებით. ლეოსთვის. შენი მწვრთნელი, დიეგო“.*

კრიტიკოსები დღემდე ჩივიან, რომ მარადონა ტაქტიკის გაგებაში არ არის. არადა, ტაქტიკური დისციპლინა არგენტინის ნაკრების ძლიერი მხარე არასდროს ყოფილა. შესაბამისად, არც ამ ჩემპიონატზეა და ვერც იმას დავიჩემებთ, რომ „ალბისელესტეს“ მწვრთნელი სხვა რომ ყოფილიყო, გუნდი იდეალურად ორგანიზებული იქნებოდა. ოთხი თამაშის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარადონას ფორმაციის არგენტინის ნაკრები, თავის კვალობაზე, საკმაოდ ორგანიზებულია. რამდენადაა ეს თვითონ დიეგოს დამსახურება, ეს უკვე აღარ ვიცით, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

*„მარადონა ფეხბურთელებს უდიდეს ენერგიას გადმოგვცემს. მის თითოეულ სიტყვაში ჩანს უდიდესი ენერგია და გამოცდილება. თანაც, დიეგო ლუის ვან გაალივით ყველაფერს დეტალურად გვიხსნის. ასეთ მწვრთნელთან მუშაობა უდიდესი ბედნიერებაა“,* - აცხადებს დემიკელისი.

მიუხედავად ამისა, ყველა ექსპერტი ამბობს, მარადონას ტაქტიკოსობა არ გაიშვასო. დიეგომ სამწვრთნელო შტაბში ამიტომაც შეიყვანა ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც მისთვის ტაქტიკური რჩევების მიცემა შეუძლიათ. ასისტენტების, **ალეხანდრო მანკუსოსა** და **ექტორ ენრიკეს** გარდა, დიეგო ძალიან ხშირად ეკითხება რჩევებს თვით **კარლოს ბილარდოსაც**.

ამრიგად, მარადონას არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალშია და დიეგო დარწმუნებულია, რომ გერმანიის ნაკრები ბოლო გაჩერება არ იქნება. მარადონას მწვრთნელის რანგშიც სურს მსოფლიოს ჩემპიონობა. ამბობს, მინდა, რომ არგენტინას ახალი გმირები ჰყავდესო. ამ დროს, თვითონ უდიდესი გმირი ფაქტობრივად თავიდან იბადება. ეს ფეხბურთის ღმერთის რენესანსია.

**გოტფრიდ ლენცი**



ამბები

### ელანო გამოირიცხა

გადაწყდა, რომ ჰოლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მეოთხედფინალში ვერ ითამაშებს ბრაზილიელთა მარჯვენა ნახევარმცველი **ელანო**. ბრაზილიის ნაკრების ექიმებმა განაცხადეს, რომ „მანჩესტერ სიტის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ვერ მოირჩინა კოჭის ტრავმა და ის ვერაფრით მოასწრებს ჰოლანდიელებთან თამაშისთვის მწყობრში ჩადგომას. ელანომ კოტ დივუარის ნაკრებთან მიიღო ტრავმა, მერვედფინალში ორი გოლის გამტანი ნახევარმცველი **დანი ალვემმა** შეცვალა, ასე იქნება ჰოლანდიასთან მატჩშიც. ნაკრების მთავარმა ექიმმა **ჟოზე ლუიშ რუნკომ** განაცხადა:

*„ჯერჯერობით არ ვიტყვი, რომ მისი თამაში სულ გამოირიცხა ამ მუნდიალზე, მაგრამ პარასკევს ელანო ნამდვილად ვერ ითამაშებს. მას ძალზე უსიამოვნო დაზიანება აქვს, კვირას ივარჯიშა, მაგრამ მაშინვე გვითხრა, რომ პრობლემები აქვს. ძვალიც დაზიანებულია, ამიტომ კვირის ბოლომდე მას დატვირთვის უფლებას ვერ მივცემთ, ეს გამორიცხულია. უკვე შემდეგი მატჩისთვის კი მის შანსებს 50/50-ზე შევაფასებ“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ჟილბერტო სილვას ტიტული სურს

ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველმა **ჟილბერტო სილვამ** ფიფას ოფიციალურ საიტს განუცხადა, რომ მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონის მეექვსე ტიტულს უმიზნებს. *„მჯერა, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია - სიტუაცია გუნდში ფანტასტიკურია, ყველა ტიტულს „მოშიებულია“. ჩვენ გვინდა სამშობლოს კიდევ ერთი ტიტული ვაჩუქოთ. ეს სწორედ ის თემაა, რომელზეც ყველაზე ხშირად ვსაუბრობთ ერთმანეთში. ჰოლანდიასთან რთული ორთაბრძოლა გველის. ძალიან კარგი გუნდია და მათ ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ. ვიცით, რომ სიღრმე თუ დავუთმეთ, პრობლემები არ აგვცდება. ასე რომ, ამას არაფრით გავაკეთებთ“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ურუგვაი გოდინს კარგავს

გუშინ გაცნობეთ, რომ **დიეგო გოდინმა** სრულფასოვნად ვარჯიში ვერ შეძლო. როგორც გაირკვა, ურუგვაის ნაკრების ცენტრალური მცველი, რომელიც მერვედფინალურ შეხვედრაში დაშავდა, მეოთხედფინალისთვის მომჯობინებას ვერ ასწრებს. ურუგვაელთა თავკაცის, **ოსკარ ტაბარესის** თქმით, გოდინის ადგილს ძირითად შემადგენლობაში **მაურისიო ვიქტორინო** დაიკავებს.

*„გოდინი ასი პროცენტით მზად არაა და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფეხბურთელის თამაში არ შეიძლება. ვიმედოვნებ, ნახევარფინალში გავალთ და დიეგო გუნდს იქ გააძლიერებს“,* - ამბობს ტაბარესი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადადგომა

# აგირემ მექსიკა დატოვა



არგენტინის ნაკრებთან მსოფლიოს ჩემპიონატის 1/8 ფინალში დამარცხების (1:3) შემდეგ მექსიკის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **ხავიერ აგირე** პოსტიდან გადადგა. ზედიზედ მეხუთედ ხდება, რომ მექსიკის ნაკრები მუნდიალს მერვედფინალური ეტაპიდან ეთიშება. აგირეს მწვრთნელობისას ასეთი რამ მოხდა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზეც, როცა მექსიკის უპირველესი გუნდი 1/8 ფინალიდან აშშ-ს ნაკრებმა გააგდო.

2006 წლის შემდეგ, მას მერე, რაც არგენტინასთან მერვედფინალში წაგებას **რიკარდო ლა ვოლპე** გადაჰყვა, აგირე მექსიკის ნაკრების მეოთხე მწვრთნელია **უგო სანჩესის, ხესუს რამირესისა** და **სვენ გორან ერიქსონის** შემდეგ. **ფაბიო კაპელოსა** და **მარჩელო ლიპის** შემდეგ კი ის ამ მუნდიალის ყველაზე მაღალანაზღაურებადი (4 მილიონი დოლარი წელიწადში) მწვრთნელი გახლდათ და უცნაურია, რომ იტალიაც, ინგლისიცა და მექსიკაც უკვე გამოეთიშნენ მსოფლიოს ჩემპიონატს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ნამატჩევს

# ფიგუმ რონალდო გააკრიტიკა

**ლუიშ ფიგუმ** კრიშტიანო **რონალდოს** საქციელი საჯაროდ დაგმო. ლეგენდარულმა პორტუგალიელმა ახალგაზრდა თანამემამულე ესპანეთთან მერვედფინალური მატჩის შემდეგ ჩადენილი საქციელისთვის გაკიცხა და არა ცუდი თამაშისთვის - რონალდომ პრესასთან საუბარი არ ისურვა. ფიგუმ იქვე ისიც დასძინა, რომ ესპანეთის ნაკრებთან განცდილი მარცხი მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

*„თვითონ რონალდოს საქციელი ნაკლებად მაღელვებს, მე პორტუგალიის ნაკრების იმიჯი მაინტერესებს. შეიძლება, იმ მოთხოვნებს, რომელსაც მე ნაკრების კაპიტანს ვუყენებ, სხვები არ იზიარებდნენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ კაპიტანმა გუნდი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა დაიცვას, მაშინაც კი, როცა მარცხდება. ვერ ვიტყვი, რომ პორტუგალიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლამ გული დიდად დამწყვიტა, რადგან ილუზიებით არ ვიკვებებოდი - ესპანეთს ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავს. პორტუგალიის ნაკრებს კი შედეგებისდა მიუხედავად, ყოველთვის ვუქომაგებ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი იღონეს, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არაა“*, - ამბობს ფიგუ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ერიჟაა!!!

# ნიგერიის პრეზიდენტმა ეროვნული ნაკრები... დაშალა

რამდენიმე დღის წინ **იოზეფ ბლატერმა ნიკოლა სარკოზის** საფრანგეთის ნაკრების გაკრიტიკებისთვის სახალხოდ მისცა შენიშვნა და ფრანგული ფეხბურთის დისკვალიფიკაციითაც დაიმუქრა. ვეჭვობთ, ფიფას პრეზიდენტს გაცილებით მკაცრი რეაქცია ექნება ნიგერიაში მომხდარ ამბავზე.

საქმე ისაა, რომ ნიგერიის პრეზიდენტმა **ჯონათან გუდლაქმა** თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრები მუნდიალის ჩაფლავებისთვის მკაცრად გააკრიტიკა, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და განაცხადა, რომ ნიგერიის ნაკრები მომდევნო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირებში არ იასპარეზებს და ეს პერიოდი ახალი გუნდის ჩამოყალიბებას უნდა დაეთმოს.

ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ არაორდინარულ ამბავს. წესით, ნიგერიამ შემდეგი ოფიციალური მატჩი სექტემბერში უნდა ჩაატაროს აფრიკის ერთა თასის შესარჩევ ტურნირში, მადაგასკარის წინააღმდეგ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პოლემიკა

# ვეა ტექნოლოგიების წინააღმდეგია



**მუნდიალის** მერვედფინალში გერმანია-ინგლისისა და არგენტინა-მექსიკის მატჩებში მსაჯების მიერ დაშვებულ უხეშ შეცდომებს ვიდეორეფერის დანერგვაზე საუბრების გააქტიურება მოჰყვა. საფეხბურთო სამყაროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა პროგრესის მომხრეა, მაგრამ არიან ვიდეოტექნოლოგიების ცნობილი მოწინააღმდეგეებიც. მათგან ყველაზე გავლენიანი, რაღა თქმა უნდა, ფიფას პრეზიდენტი **იოზეფ ბლატერია**, მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამოაზრე კი - **ჟორჟ ვეა**. ლეგენდარული ლიბერიელი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ ვიდეოგამეორებების შემოღება მსაჯთა განვითარებას შეაფერხებს და მათ კვალიფიკაციას დაბლა დასწევს.

*„არა მგონია, რომ საფეხბურთო მოედანზე კამერები გვჭირდებოდეს. ფეხბურთი დინამიკური თამაშია და მას დამატებითი სირთულეები ხელს შეუშლის. თამაშში ჩართულმა თითოეულმა ადამიანმა, მსაჯებმაც და ფეხბურთელებმაც, საკუთარი საქმის სწორად შესასრულებლად მხოლოდ და მხოლოდ ტვინი და ფიზიკური მომზადება უნდა გამოიყენონ. შეცდომებს კი ყველა უშვებს. ეს ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია და თუკი შეცდომა მოთამაშეს ეპატიება, მსაჯის არასწორ ქმედებაზე საყოველთაო ისტერიკის ატეხა არაა საჭირო“*, - ამბობს ვეა, რომელიც ინგლისელთა მიერ მერვედფინალში მარცხს კანონზომიერებად მიიჩნევს და არა - უიღბლობად. *„ინგლისის ნაკრებმა გერმანელთა წინააღმდეგ ძალიან სუსტად ითამაშა. გერმანია მას ნებისმიერ შემთხვევაში გაანადგურებდა. ასეთია ფეხბურთი. შენი წარსული მიღწევები ნაკლებადაა საინტერესო, მთავარია, საკუთარი ძალა თითოეულ მატჩში დაამტკიცო“*.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მუნდიალს მიღმა

## ჰოჯსონმა ლივერპული არჩია

**როგორც** მოსალოდნელი იყო, **როი ჰოჯსონმა** ინგლისის ნაკრებში მუშაობას „ლივერპულში“ წასვლა არჩია. უკვე გადაწყვეტილია, რომ გამოცდილი სპეციალისტი **რაფა ბენიტესს** შეცვლის და მერსისაიდელებთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, ჰოჯსონმა ამგვარ პრესტიჟულ თანამდებობას გასულ სეზონში წარმატებული მუშაობით გამოჰკრა ხელი - მისი ხელმძღვანელობით „ფულჰემმა“ ევროპის ლიგის ფინალს უწია.

„ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის კანდიდატურებად ჰოჯსონის გარდა, შესაბამისად, „მარსელის“ ამჟამინდელი და მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავკაცები, **დიდიე დეშამი** და **მანუელ პელეგრინი** განიხილებოდნენ, თუმცა საბოლოოდ, კლუბის შეფებმა არჩევანი ინგლისელის სასარგებლოდ გააკეთეს. ახალ პოსტზე ჰოჯსონის წლიური გასამრჯელო 3 მილიონი გირვანქა იქნება, „ფულჰემი“ კი მისი დათმობის სანაცვლოდ 2.5 მილიონს მიიღებს.

ცნობილია „ლივერპულის“ ახალი დამრიგებლის ერთი ასისტენტის ვინაობაც - 62 წლის ჰოჯსონთან ერთად „ენფილდზე“ იმუშავებს მეკარეების მწვრთნელი **მაიკ კელი**. ჰოჯსონმა უკვე თქვა, რა იქნება მისი პირველი ამოცანა ახალ თანამდებობაზე - **სტივენ ჯერარდისა** და **ფერნანდო ტორესის** დარჩენაზე დაყოლიება. როგორც იცით, ჯერარდის გადაბირება მადრიდის „რეალს“ სურს.

ამასობაში, „ფულჰემის“ ხელმძღვანელობა უკვე ზრუნავს ჰოჯსონის მემკვიდრის მოძიებაზე. ბრიტანული პრესა ამ პოსტზე მთავარ პრეტენდენტად **ალან კერბიშლის** მიიჩნევს. „ჩარლტონისა“ და „ვესტ ჰემის“ ყოფილი თავკაცის გარდა „ფულჰემის“ მთავარი მწვრთნელობის შანსი აქვთ ასევე **სვენ გორან ერიქსონსა** და **მარკ ჰიუზს**. შეგახსენებთ, შვედი მუნდიალზე კოტ დივუარის ნაკრებს წვრთნიდა, ჰიუზი კი ბოლოს „მანჩესტერ სიტიში“ მუშაობდა და ამას წინათ ლუზაის „ალ აჰლის“ წინადადებაზე თქვა უარი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ავსტრალიას მექრთამეობა ბრალდება

**როგორც** იცით, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ავსტრალიაა. გუშინ ერთ-ერთმა იქაურმა გაზეთმა დაწერა, რომ ამ ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციამ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრების მოქრთამვა სცადა.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გაზეთის ცნობით, ავსტრალიელები აღმასრულებელი კომიტეტის იმ წევრებს, რომელთაც კენჭისყრისას ხმის უფლება აქვთ, ავსტრალიაში უფასო დასვენებას სთავაზობდნენ, მათ ცოლებს კი - ძვირფასეულობას.

ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციამ გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფიფას წესდებით, მუნდიალის მასპინძლობის მსურველებს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისთვის მხოლოდ სიმბოლური საჩუქრების ჩუქება შეუძლიათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ალმერიამ დანიელი მცველი გაიფორმა

**ესპანური** პრიმერას „ალმერიამ“ დანიის ნაკრების წევრი **მიქაელ იაკობსენი** შეიძინა. 24 წლის მარცხენა მცველი ანდალუსიურ კლუბში ხუთ სეზონს გაატარებს. ის „ალმერიას“ მეორე შენაძენია ზაფხულში, მანამდე კლუბმა კონტრაქტი არგენტინელ ფორვარდ **ლეო ულოას** გაუფორმა. იაკობსენმა ბოლო ხუთი სეზონი „ოლბორგში“ გაატარა, მაღალ.... დანიელს (193 სმ) დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში. იაკობსენს ნაკრებში 5 მატჩი აქვს გამართული. გუნდები არ ახმაურებენ სატრანსფერო თანხის ოდენობას. „ოლბორგის“ რიგებში მან 196 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მიმდინარე სტატისტიკა

# ეძიეთ პასები

## რეიტინგს სათავეში კაპდევილა და რამოსი მოექცნენ

**ეს ჩემპიონატი** განსაკუთრებით წარმატებულია სამხრეთამერიკული გუნდებისათვის. 8 მეოთხედფინალისტიდან ყველაზე მეტი, 4 სწორედ სამხრეთ ამერიკიდანაა, შემდეგ მოდის ევროპა (3 გუნდი) და ბოლოს აფრიკა (1 გუნდი). საერთოდ არ დარჩათ წარმომადგენელი ჩრდილოამერიკელებსა და აზიელებს, რა თქმა უნდა, არც ზღვისრეთელებს. გასაკვირი არც ისაა, რომ „კასტროლ ინდექსის“ რეიტინგებში მოწინავე პოზიციები ამერიკელებს უჭირავთ, თუმცა თანდათანობით მათი შევიწროება ევროპელებმა, კერძოდ კი ესპანელებმა დაიწყეს... დღეისათვის „კასტროლ ინდექსის“ ყველაზე მაღალი ქულა ესპანელთა განაპირა მცველებს აქვთ: ხოან კაპდევილასა და სერხიო რამოსს - მათ ამ პოზიციაზე ჩილელთა დაცვის წყვილი გარი მედელი-ვალდო პონსე ჩაანაცვლეს (ამ ორს თავის გამოჩენის შანსი არ ჰქონია, რადგან ორივემ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა ბრაზილიასთან დაპირისპირება). ხოან კაპდევილას კარიერა მას შემდეგ გაიფურჩქნა, რაც 2007 წელს ეს უკანასკნელი „ვილიარეალში“ გადავიდა, კაპდევილა იყო ესპანეთის ნაკრების ევროპული ტრიუმფის ერთ-ერთი მონაწილე ორი წლის წინათ. კაპდევილას შეტევებში ჩართვის ინსტინქტი ბუნებრივია, რადგან უფრო ხშირად ის მარცხენა ნახევარმცველად თამაშობს. „კასტროლ ინდექსი“, რომელიც უახლესი ტექნოლოგიების ანალიზს იყენებს (პირველად მუნდიალებზე) კაპდევილას 9,79 ბალით უფასებს შრომას. თუკი მარცხენა ფრთაზე კაპდევილა ყოჩაღობს, ესპანეთის ნაკრების დაცვის მარჯვენა ფლანგიც საიმედო ხელშია, იქ სერხიო რამოსი ბატონობს. „რეალის“ ფეხბურთელი სოლო რეიდებით მეტოქის დაცვას ბევრ თავსატეხს უქმნის (9,74). განაპირა მცველთა ასეთი ზეაქტიურობა კი ესპანეთის ნაკრებს დამატებით უპირატესობას აძლევს მოედანზე და როგორ ძლიერ მეტოქესაც უნდა შეხვდეს „ფურია როხა“, ბურთს ყოველთვის ის აკონტროლებს.

## საინტერესო ფაქტები

**მუნდიალზე** უკვე გავიდა 123 გოლი, მატჩში საშუალოდ 2,19 გოლი გადის. ჯერ მხოლოდ ერთი ჰეთ-ტრიკი შესრულდა, რომლის ავტორიც **გონსალო იგუაინია**. 4-4 გოლით სამი ფორვარდი ლიდერობს: იგუაინი, **დავიდ ვილია** და **რობერტ ვიტეკი**, თუმცა ვიტეკს შედეგის გაუმჯობესების შანსი არა აქვს. ასე რომ, „ადიდასის ოქროს ბუცისთვის“ ბრძოლაში იგუაინი და ვილია დაწინაურდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ დარჩა ნაკრები, რომელსაც ერთი გოლი მაინც არ გაუშვია. მხოლოდ ერთხელ დალაშქრეს პარაგვაის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და ურუგვაის ნაკრებთა კარი. მუნდიალების ისტორიაში 2 100-ე გოლი მექსიკელმა **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანა (საფრანგეთის ნაკრების კარში). ყველა (ოთხივე) თამაში მოიგო მხოლოდ ორმა გუნდმა, ჰოლანდიამ და არგენტინამ.

ყველაზე ცოტა დრო მუნდიალზე გოლის გამტანთაგან მოედანზე არგენტინელმა **მარტინ პალერმომ** გაატარა - 10 წუთი. მსაჯებმა ყველაზე მეტჯერ **კეისუკე ჰონდას** მისამართით ჩასტვინეს, იაპონელი 23-ჯერ დაჯარიმდა და მას 19-ჯერ ეუხეშნენ, ორივე მაჩვენებლით ის მუნდიალის ლიდერია, რაც მეტად იშვიათი შემთხვევაა. 300-300 პასზე მეტი მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა გააკეთა და ოთხივე ესპანელია (!) - აი, სად უნდა ვეძიოთ ესპანელთა წარმატების მიზეზი.

### ინდივიდუალური

**გოლი**

| | | |
|---|---|---|
| 4 | იგუაინი | არგენტინა |
| 4 | ვილია | ესპანეთი |
| 4 | ვიტეკი | სლოვაკეთი |
| 3 | ა. გიანი | განა |
| 3 | ლ. ფაბიანო | ბრაზილია |
| 3 | დონოვანი | აშშ |
| 3 | მიულერი | გერმანია |
| 3 | სუარესი | ურუგვაი |

**საგოლე პასი**

| | | |
|---|---|---|
| 3 | კაკა | ბრაზილია |
| 3 | მიულერი | გერმანია |
| 2 | ბოკა | კოტ დივუარი |
| 2 | კი სუნ იუენი | ს. კორეა |
| 2 | იოზილი | გერმანია |

**კარისკენ დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 23 | მესი | არგენტინა |
| 23 | ა. გიანი | განა |
| 21 | რონალდო | პორტუგალია |
| 20 | დემპსი | აშშ |
| 20 | პარკ ჩუ იონი | ს. კორეა |

**კარში დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 13 | მესი | არგენტინა |
| 12 | ვილია | ესპანეთი |
| 10 | ა. გიანი | განა |
| 9 | იგუაინი | არგენტინა |
| 9 | სუარესი | ურუგვაი |

**ხარიხას გაარტყეს**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ლამპარდი | ინგლისი |
| 1 | ხედირა | გერმანია |
| 1 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ვილია | ესპანეთი |

*(კიდევ 11-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ხარიხას)*

**ძელს გაარტყეს**

| | | |
|---|---|---|
| 2 | ა. გიანი | განა |
| 2 | მფელა | ს. აფრიკა |
| 2 | მესი | არგენტინა |
| 1 | რონალდო | პორტუგალია |
| 1 | ოკაზაკი | იაპონია |

*(კიდევ 13-მა ფეხბურთელმა გაარტყა ბურთი ძელს)*

**საჯარიმო დარტყმა**

| | | |
|---|---|---|
| 8 | პარკ ჩუ იუნი | ს. კორეა |
| 6 | ლამპარდი | ინგლისი |
| 6 | რონალდო | პორტუგალია |
| 5 | სნეიდერი | ჰოლანდია |
| 5 | ბირსა | სლოვენია |

**დარტყმის სიზუსტე %-ში**
(8 და მეტი დარტყმის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 73% | ბირსა | სლოვენია |
| 69% | იგუაინი | არგენტინა |
| 63% | ვილია | ესპანეთი |
| 60% | სუარესი | ურუგვაი |
| 57% | მესი | არგენტინა |

**ზუსტი დარტყმა**
(საჯარიმოდან)

| | | |
|---|---|---|
| 6 | იგუაინი | არგენტინა |
| 6 | კლოზე | გერმანია |
| 6 | ტომასონი | დანია |
| 5 | სუარესი | ურუგვაი |
| 5 | ვილია | ესპანეთი |

**ზუსტი დარტყმა**
(საჯარიმოს გარედან)

| | | |
|---|---|---|
| 9 | მესი | არგენტინა |
| 8 | რონალდო | პორტუგალია |
| 8 | ბირსა | სლოვენია |
| 7 | ვილია | ესპანეთი |
| 6 | მონტოლივო | იტალია |

**სოლო რეიდი**

| | | |
|---|---|---|
| 20 | მესი | არგენტინა |
| 20 | რამოსი | ესპანეთი |
| 19 | რონალდო | პორტუგალია |
| 19 | პოდოლსკი | გერმანია |
| 18 | მაიკონი | ბრაზილია |

**ზუსტი პასი მეტოქის საჯარიმოში**

| | | |
|---|---|---|
| 9 | ასამოა | განა |
| 9 | ჩავი | ესპანეთი |
| 8 | ვალდივია | ჩილე |
| 7 | ჯერარდი | ინგლისი |
| 7 | ფუსილე | ურუგვაი |

**თამაშგარე**

| | | |
|---|---|---|
| 6 | იოზილი | გერმანია |
| 5 | ველკომი | ჰონდურასი |
| 5 | სუარესი | ურუგვაი |
| 5 | ნოვაკოვიჩი | სლოვენია |
| 5 | ვან პერსი | ჰოლანდია |

*(კიდევ 4 ფეხბურთელი მოხვდა 5-ჯერ თამაშგარეში)*

**ბურთის დაკარგვა**
(მეკარეთა გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 17 | მიულერი | გერმანია |
| 14 | რამოსი | ესპანეთი |
| 13 | მაიკონი | ბრაზილია |
| 13 | ისლა | ჩილე |

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მესამე გვერდიდან

### ნაგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 11 | რონალდო | პორტუგალია |
| 9 | მატმური | ალჟირი |
| 9 | რუნი | ინგლისი |
| 8 | მესი | არგენტინა |
| 8 | კაკა | ბრაზილია |

### მოგერიება

| | | |
|---|---|---|
| 15 | სესარი | სლოვენია |
| 15 | ჯეიმსი | ინგლისი |
| 13 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |
| 12 | პენტსილი | განა |
| 12 | შკრტელი | სლოვაკეთი |

###ართმევა

(გუნდისთვის დაბრუნებული ბურთი)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ბუღერა | ალჟირი |
| 8 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 7 | ისაგირე | ჰონდურასი |
| 7 | ჩავესი | ჰონდურასი |
| 7 | ჩო იონ ჰიუნი | ს. კორეა |

### მოგებული ორთაბრძოლა

| | | |
|---|---|---|
| 5 | მასკერანო | არგენტინა |
| 5 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 5 | ბუღერა | ალჟირი |
| 5 | გრიხტინგი | შვეიცარია |
| 4 | ა. პერეირა | ურუგვაი |

(კიდევ შვიდმა ფეხბურთელმა მოიგო ორთაბრძოლა 4-ჯერ)

### შედეგიანი ნახტომი

| | | |
|---|---|---|
| 21 | რი მიონ გუკი | ჩ. კორეა |
| 20 | ენიემა | ნიგერია |
| 19 | ედუარდო | პორტუგალია |
| 17 | კინგსონი | განა |
| 17 | ბენალიო | შვეიცარია |

(კიდევ სამმა მეკარემ მოიგერია ბურთი 17-ჯერ)

### გაძევება

| | | |
|---|---|---|
| 1 | კეჰილი | ავსტრალია |
| 1 | ხუნე | ს. აფრიკა |
| 1 | კიუელი | ავსტრალია |
| 1 | ბეჰრამი | შვეიცარია |
| 1 | კაიტა | ნიგერია |
| 1 | გურკუფი | საფრანგეთი |
| 1 | რ. კოშტა | პორტუგალია |

### ორი ყვითელი ბარათი

| | | |
|---|---|---|
| 1 | გეზალი | ალჟირი |
| 1 | ლუკოვიჩი | სერბეთი |
| 1 | ლოდეირო | ურუგვაი |
| 1 | კაკა | ბრაზილია |
| 1 | კლოზე | გერმანია |
| 1 | იაჰია | ალჟირი |
| 1 | ესტრადა | ჩილე |

### დაჯარიმდა

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჰონდა | იაპონია |
| 15 | ტორადო | მექსიკა |
| 15 | ფელონი | ახ. ზელანდია |
| 15 | ვიდალი | ჩილე |
| 13 | დიაბი | საფრანგეთი |

### მასზე დაჯარიმდნენ

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჰონდა | იაპონია |
| 18 | ნაკაზავა | იაპონია |
| 17 | სანჩესი | ჩილე |
| 15 | ალტიდორი | აშშ |
| 15 | მესი | არგენტინა |

### ხელით თამაში

(მეკარეების გარდა)

| | | |
|---|---|---|
| 3 | ვიდალი | ჩილე |
| 3 | სუასო | ჰონდურასი |
| 3 | იაკინი | შვეიცარია |
| 3 | ალტიდორი | აშშ |
| 2 | ვან დერ ვაარტი | ჰოლანდია |

(კიდევ შვიდმა ფეხბურთელმა ითამაშა ხელით 2-ჯერ)

### პასი

| | | |
|---|---|---|
| 368 | ჩავი | ესპანეთი |
| 327 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 316 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 306 | პიკე | ესპანეთი |
| 298 | შვაინშტაიგერი | გერმანია |

### ზუსტი პასი

| | | |
|---|---|---|
| 296 | ჩავი | ესპანეთი |
| 282 | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 271 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 263 | პიკე | ესპანეთი |
| 241 | შვაინშტაიგერი | გერმანია |

### პასის სიზუსტე (%)

(200 და მეტი პასის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 91% | ფ. მელო | ბრაზილია |
| 90% | პუიოლი | ესპანეთი |
| 89% | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 87% | ჟილბ. სილვა | ბრაზილია |
| 86% | პიკე | ესპანეთი |

### ჩაწოდება

| | | |
|---|---|---|
| 29 | დონოვანი | აშშ |
| 26 | ფორლანი | ურუგვაი |
| 25 | ჩავი | ესპანეთი |
| 24 | მორელი | პარაგვაი |
| 23 | მიულერი | გერმანია |

### ზუსტი ჩაწოდება

| | | |
|---|---|---|
| 11 | დონოვანი | აშშ |
| 9 | მორელი | პარაგვაი |
| 8 | ენდო | იაპონია |
| 8 | ჟერემი | კამერუნი |
| 8 | უილკშირი | ავსტრალია |

### აუტი

| | | |
|---|---|---|
| 50 | პენტსილი | განა |
| 44 | ჯონსონი | ინგლისი |
| 44 | რამოსი | ესპანეთი |
| 44 | ჩერუნდოლო | აშშ |
| 43 | მორელი | პარაგვაი |

### კუთხური

| | | |
|---|---|---|
| 26 | ჩავი | ესპანეთი |
| 16 | დონოვანი | აშშ |
| 15 | კარაგუნისი | საბერძნეთი |
| 14 | მესი | არგენტინა |
| 14 | ფორლანი | ურუგვაი |

### ზუსტი კუთხური

(ბურთი მიიღო თანაგუნდელმა)

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჩავი | ესპანეთი |
| 9 | დონოვანი | აშშ |
| 8 | იოზილი | გერმანია |
| 8 | მესი | არგენტინა |
| 8 | ლემპარდი | ინგლისი |

### კუთხურის სიზუსტე

(8 და მეტი კუთხურის შემთხვევაში)

| | | |
|---|---|---|
| 67% | იოზილი | გერმანია |
| 67% | ლემპარდი | ინგლისი |
| 60% | ჟერემი | კამერუნი |
| 57% | მესი | არგენტინა |
| 56% | დონოვანი | აშშ |

### მოკლე პასის სიზუსტე

(60 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 89% | ბელჰაჯი | ალჟირი |
| 87% | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 87% | ჩავი | ესპანეთი |
| 86% | ბუსკეტსი | ესპანეთი |
| 85% | მესი | არგენტინა |

(კიდევ ორმა ფეხბურთელმა გააკეთა მოკლე პასი 85%-იანი სიზუსტით)

### საშუალო პასების სიზუსტე

(60 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 97% | ნოიერი | გერმანია |
| 96% | ბოლატი | არგენტინა |
| 95% | ბურდისო | არგენტინა |
| 94% | სტეკელენბურგი | ჰოლანდია |
| 93% | ფ. მელო | ბრაზილია |

### გრძელი პასების სიზუსტე

(60 და მეტი პასი)

| | | |
|---|---|---|
| 80% | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 77% | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |
| 73% | პიკე | ესპანეთი |
| 59% | პერესი | მექსიკა |
| 57% | ჩავი | ესპანეთი |

### გაირბინა

| | | |
|---|---|---|
| 51,69 | ბრედლი | აშშ |
| 48,47 | დონოვანი | აშშ |
| 47,47 | ხედირა | გერმანია |
| 47,39 | ტორადო | მექსიკა |
| 47,02 | ენდო | იაპონია |

### მაქსიმალური სისწრაფე

| | | |
|---|---|---|
| 32,15 კმ/სთ | ერნანდესი | მექსიკა |
| 31,57 კმ/სთ | პაპადოპულოსი | საბერძ. |
| 31,50 კმ/სთ | კაცურანისი | საბერძ. |
| 31,50 კმ/სთ | პოდოლსკი | გერმანია |
| 31,10 კმ/სთ | ობინა | ნიგერია |

### აქტიური ფაზა

| | | |
|---|---|---|
| 34 | ტორადო | მექსიკა |
| 33 | ხედირა | გერმანია |
| 32 | შვაინშტაიგერი | გერმანია |
| 32 | მეირელეში | პორტუგალია |
| 32 | ჩაბი ალონსო | ესპანეთი |

## გუნდური

### გოლი

| | |
|---|---|
| 10 | არგენტინა |
| 9 | გერმანია |
| 8 | ბრაზილია |
| 7 | პორტუგალია |
| 7 | ჰოლანდია |

### დარტყმა

| | |
|---|---|
| 75 | არგენტინა |
| 74 | ესპანეთი |
| 74 | ბრაზილია |
| 71 | განა |
| 69 | აშშ |

### კარში დარტყმა

| | |
|---|---|
| 36 | არგენტინა |
| 31 | ინგლისი |
| 29 | ესპანეთი |
| 29 | ჰოლანდია |
| 27 | იაპონია |

(კიდევ 2 გუნდი კარში 27 დარტყმით)

### დარტყმის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 59% | იაპონია |
| 52% | სლოვენია |
| 50% | ჰოლანდია |
| 48% | ინგლისი |
| 48% | არგენტინა |

### შეტევა

| | |
|---|---|
| 68 | ესპანეთი |
| 62 | ინგლისი |
| 59 | ბრაზილია |
| 56 | არგენტინა |
| 54 | გერმანია |
| 54 | მექსიკა |

### შეტევა მარცხენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 23 | ესპანეთი |
| 20 | ს. კორეა |
| 19 | პორტუგალია |
| 19 | ჩილე |
| 19 | ინგლისი |

### შეტევა ცენტრიდან

| | |
|---|---|
| 23 | ინგლისი |
| 22 | ესპანეთი |
| 22 | არგენტინა |
| 21 | ბრაზილია |
| 19 | ჰოლანდია |

### შეტევა მარჯვენა ფლანგიდან

| | |
|---|---|
| 26 | გერმანია |
| 23 | ბრაზილია |
| 23 | ესპანეთი |
| 22 | ურუგვაი |
| 21 | კორეა |

### თამაშგარე

| | |
|---|---|
| 18 | ჰონდურასი |
| 18 | გერმანია |
| 17 | ჩილე |
| 14 | მექსიკა |
| 14 | ჰოლანდია |

### სოლო რეიდები

| | |
|---|---|
| 99 | ესპანეთი |
| 92 | ბრაზილია |
| 82 | არგენტინა |
| 80 | გერმანია |
| 75 | პორტუგალია |

### ზუსტი პასი საჯარიმოში

| | |
|---|---|
| 44 | ესპანეთი |
| 38 | ჩილე |
| 28 | იტალია |
| 28 | განა |
| 28 | ს. კორეა |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| 58 | ურუგვაი |
| 56 | ინგლისი |
| 51 | ალჟირი |
| 50 | ს. კორეა |
| 46 | სლოვენია |

### მოგებული ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 17 | ალჟირი |
| 16 | ჩილე |
| 15 | იტალია |
| 15 | პორტუგალია |
| 14 | ს. აფრიკა |

### გაძევება

| | |
|---|---|
| 2 | ავსტრალია |
| 1 | ს. აფრიკა |
| 1 | საფრანგეთი |
| 1 | შვეიცარია |
| 1 | პორტუგალია |
| 1 | ნიგერია |

### 2 გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 2 | ალჟირი |
| 1 | გერმანია |
| 1 | ჩილე |
| 1 | ურუგვაი |
| 1 | სერბეთი |
| 1 | ბრაზილია |

### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 13 | ჩილე |
| 11 | სლოვაკეთი |
| 9 | აშშ |
| 9 | მექსიკა |
| 9 | სლოვენია |
| 8 | განა |

(კიდევ 4 გუნდი 8-8 გაფრთხილებით)

### დაჯარიმდა

| | |
|---|---|
| 84 | მექსიკა |
| 79 | ჩილე |
| 72 | პარაგვაი |
| 70 | იაპონია |
| 68 | სლოვაკეთი |

### ხელით თამაში

(მეკარის გარდა)

| | |
|---|---|
| 9 | აშშ |
| 8 | ჩილე |
| 8 | ჰოლანდია |
| 7 | იაპონია |
| 7 | პარაგვაი |

### ზუსტი პასი

| | |
|---|---|
| 2265 | ესპანეთი |
| 1929 | ბრაზილია |
| 1848 | არგენტინა |
| 1737 | ჰოლანდია |
| 1697 | გერმანია |

### პასის სიზუსტე

| | |
|---|---|
| 81% | ესპანეთი |
| 80% | ბრაზილია |
| 77% | არგენტინა |
| 76% | კოტ დივუარი |
| 76% | მექსიკა |

### ჩაწოდება

| | |
|---|---|
| 106 | ესპანეთი |
| 78 | გერმანია |
| 69 | ბრაზილია |
| 68 | პორტუგალია |
| 67 | ინგლისი |

### კუთხური

| | |
|---|---|
| 35 | ინგლისი |
| 34 | ესპანეთი |
| 28 | არგენტინა |
| 26 | ბრაზილია |
| 26 | იტალია |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 473,5 | აშშ |
| 464,5 | იაპონია |
| 445,8 | განა |
| 445,2 | პარაგვაი |
| 440,6 | პორტუგალია |

### მატჩები

ყველაზე მეტი დარტყმა

| | |
|---|---|
| 41 | აშშ-ალჟირი |
| 41 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 40 | ავსტრალია-სერბეთი |
| 37 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 37 | საბერძნეთი-ნიგერია |

### ყველაზე მეტი დარტყმა კარში

| | |
|---|---|
| 20 | პარაგვაი-იაპონია |
| 19 | ჩ. კორეა-კოტ დივუარი |
| 17 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 17 | დანია-იაპონია |
| 16 | გერმანია-ინგლისი |

### ყველაზე მეტი შეტევა

| | |
|---|---|
| 34 | დანია-იაპონია |
| 33 | აშშ-ალჟირი |
| 33 | ნიგერია-ს. კორეა |
| 33 | ავსტრალია-სერბეთი |
| 33 | საბერძნეთი-ნიგერია |

### სოლო რეიდები

| | |
|---|---|
| 54 | პორტუგალია-ჩ. კორეა |
| 53 | ესპანეთი-პორტუგალია |
| 50 | ბრაზილია-ჩ. კორეა |
| 49 | გერმანია-სერბეთი |
| 49 | არგენტინა-მექსიკა |

### ორთაბრძოლა

| | |
|---|---|
| 32 | ინგლისი-ალჟირი |
| 29 | სლოვაკეთი-იტალია |
| 27 | ჩილე-ესპანეთი |
| 27 | პორტუგალია-ბრაზილია |
| 25 | კამერუნი-დანია |

### ყველაზე უხეში თამაში

| | |
|---|---|
| 55 | პარაგვაი-იაპონია |
| 49 | იაპონია-კამერუნი |
| 48 | საფრანგეთი-მექსიკა |
| 45 | ჩილე-შვეიცარია |
| 40 | განა-ავსტრალია |
| 40 | ბრაზ.-კოტ დივუარი |

### დისტანცია

| | |
|---|---|
| 288,5 | აშშ-განა |
| 267,6 | პარაგვაი-იაპონია |
| 238,6 | ავსტრალია-სერბეთი |
| 235,0 | ს. აფრიკა-მექსიკა |
| 225,6 | გერმანია-ავსტრალია |

ნიკოლოზ ნეფარიძე

## 1/8 ფინალების სიმბოლური ნაკრები




# სამხრეთამერიკელთა დომინაცია გრძელდება

**ურუგვაი-სამხ.კორეა 2:1**

მუნდიალის დაწყების წინ ასეთ მერვედფინალურ წყვილს მართლაც ვერავინ იფიქრებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ურუგვაიმაც და სამხრეთ კორეამაც ჯგუფურ ეტაპზე საკმაოდ წარმატებულად იასპარეზეს. განსაკუთრებით კი ეს ურუგვაელებზე ითქმის - **ოსკარ ტაბარესის** გუნდმა ჯგუფში სამივე მატჩი ისე ჩაატარა, საკუთარ კარში გოლი არ გაუშვია; ამას გარდა, ბევრისთვის მართლაც მოულოდნელობა იყო ამ ნაკრების უაღრესად კორექტული თამაში, არადა, 80-90-იან წლებში ურუგვაის ნაკრები ერთ-ერთ ყველაზე უხეშ გუნდად მიიჩნეოდა.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მუნდიალზე ურუგვაი სრულიად განსხვავებული „სახით" წარდგა, - თანამედროვე ფეხბურთის ყველა მოთხოვნებს სრულად რომ აკმაყოფილებს. რაც მთავარია, ტაბარესის გუნდის ყველა რგოლი მეტ-ნაკლებად ერთნაირი სიძლიერის ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და ასევე ყველა რგოლს ერთი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს: მეკარე **ფერნანდო მუსლერა** უაღრესად საიმედოდ თამაშობს, დაცვის ცენტრში შეუდარებელია გუნდის კაპიტანი **დიეგო ლუგანო,** ნახევარდაცვაში გამოსარჩევია **დიეგო პერესის** ენერგიული თამაში, რომ არაფერი ვთქვათ თავდასხმაზე!

ჰო, ამ მუნდიალის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ასეთი შეტევის ხაზით: **დიეგო ფორლანი** და **ლუის სუარესი** ის ფეხბურთელები არიან, კონკრეტული თამაშის ბედის გადაწყვეტა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე რომ შეუძლიათ. **ედისონ კავანიც** არ დაგვავიწყდეს, - ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე ამპლუა რომ შეუცვლია და ამის მიუხედავად, უაღრესად სასარგებლოდ მოქმედებს. წესით, სამხრეთკორეელებზეც არავის აუგი არ უნდა დასცდეს: **იუნგ-მო ჰუს** გუნდმა ამ მუნდიალზე ტაქტიკურად განსწავლული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა; თუმცა, ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ ნაკრებში მხოლოდ ერთი საერთაშორისო დონის ვარსკვლავის (**ჯი-სუნ პარკი**) ყოლა ნამდვილად არასაკმარისი იყო.

მოკლედ, მერვედფინალების პირველი შეხვედრა ლოგიკური შედეგით დამთავრდა, თუმცა გარკვეული უკმარისობა მაინც დაგვრჩა: მატჩის არბიტრმა **ვოლფგანგ შტარკმა** (გერმანია), სულ მცირე, სამ ეპიზოდში უხეში შეცდომა დაუშვა: მეტოქეთა კარში თითო-თითოჯერ პენალტი არ დანიშნა და ერთ ეპიზოდში, სუარესი რომ, პირისპირ უნდა დარჩენილიყო სამხრეთკორეელთა მეკარესთან, არარსებული თამაშგარე დააფიქსირა. თუმცა, ჯერ სად „ვიყავით" - სამსაჯო ლაფსუსები თუ უხეშზე-უხეში შეცდომები წინ გველოდა...

**აშშ-განა 1:2. დდ**

საბედნიეროდ, რიგითობის მიხედვით ჩატარებულ მეორე მერვედფინალურ შეხვედრაში მსაჯის მიმართ პრეტენზია არც ერთ მეტოქეს არ უნდა ჰქონოდა: ახალგაზრდა უნგრელი არბიტრი **ვიქტორ კასაი** მატჩს ამჯერადაც უშეცდომოდ გაუძღვა. შეხვედრის წინ სპეციალისტთა და... ბუქმეიკერთა უმრავლესობა ამ წყვილის ფავორიტად ამერიკელებს მიიჩნევდა: **ბობ ბრედლის** გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მერვედფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვა. არაფერს ვამბობთ მეტოქეზე: განის ნაკრები ხომ ერთადერთი აფრიკული გუნდი იყო, ჯგუფური ეტაპი რომ გადალახა. თანაც, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტად ანალოგიური სიტუაცია იყო ოთხი წლისწინანდელ მუნდიალზეც...

...ფავორიტი აშშ-ის ნაკრები იყო-თქო, ვთქვით, მაგრამ თამაშის მსვლელობამ საპირისპირო რამ დაგვანახა: ამ მუნდიალის მონაწილე ხუთი აფრიკული გუნდიდან ყველაზე „ევროპულად" მოასპარეზე განის ნაკრებმა სწრაფი გოლით (**კევინ-პრინს ბოატენგი**) მატჩის დასაწყისშივე სოლიდური ჰანდიკაპი მოიპოვა. სხვათა შორის, წინა სამი შეხვედრიდან ორში ამერიკელები მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდნენ - მუდამ მდევრის როლში იმყოფებოდნენ. ჰოდა, ისე როგორც წინა ორ შემთხვევაში, ბობ ბრედლის გუნდმა ახლაც შეძლო ანგარიშის გათანაბრება და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა. მაგრამ განელებს არც უცდიათ შეხვედრის პენალტების სერიამდე მიყვანა - აფრიკელთა საუკეთესო ბომბარდირმა **ასამოა გიანმა** ეფექტური დარტყმით თავის გუნდს, მართლაც, ისტორიული გამარჯვება მოუტანა.

[illegible] ვიტყვით: ბევრისთვის უცნობ სერბ სპეციალისტს **მილოვან რაიევაცს** ურიგო გუნდი ნამდვილად არ ჩამოუყალიბებია. ეგ კი არა, რაიევაცმა „გაბედა" და სათადარიგო ფეხბურთელების „სტატუსი" მიანიჭა განის ნაკრების ორ ყველაზე ცნობილ მოთამაშეს -

» მე-5 გვერდზე

# სამხრეთამერიკელთა დომინაცია გრძელდება

« მე-4 გვერდიდან

**სალი მუნტარისა** და **სტეფან აპიას**; ოღონდ განსხვავებით სხვა „ბობოლა" გუნდებისგან, ამ ფაქტის გამო განის ნაკრებში არაჯანსაღი ატმოსფერო ნამდვილად არ შექმნილა. აი, აშშ-ის ნაკრებზე კი იმას ვიტყოდით, რომ გუნდი აშკარად არათანაბრად იყო დაკომპლექტებული; ყოველ შემთხვევაში, **ლენდონ დონოვანისა** და **კლინტ დემპსის** დონის შემსრულებლები მოედნის ცენტრში თუ თავდასხმაშიც რომ ყოფილიყვნენ, მეოთხედფინალში, შესაძლოა, სწორედ აშშ-ის ნაკრები გასულიყო.

## გერმანია-ინგლისი 4:1

...44 წელიწადი გავიდა 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან და **ბობი ჩარლტონის, ბობი მურის, გორდონ ბენქსისა** თუ **მარტინ პიტერსის** შთამბეჭდავ თამაშს კი არა, იმ მუნდიალის ფინალური მატჩის გვერდითი მსაჯის **ტოფიკ ბახრამოვის** ქმედებას იხსენებენ დღემდე. ბაქოელმა არბიტრმა იმ მატჩის გადამწყვეტ მომენტში **ჯეფრი ჰერსტის** გოლი ჩათვალა, არადა, ბევრს დღესაც მიაჩნია, რომ ინგლისელი ფორვარდის მიერ დარტყმულ ბურთს გერმანიის ნაკრების კარის ხაზი არ გადაუკვეთია. თუმცა, გადაჭრით დღემდე ვერავინ იტყვის: ჰერსტის გოლი არასპროცენტიანი იყო, თუ არა...

სამაგიეროდ, არავისთვის საკამათო არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, გერმანია-ინგლისის მერვედფინალური მატჩის 38-ე წუთზე რაც მოხდა: **ფრენკ ლემპარდის** დარტყმის მერე ბურთმა **მანუერ ნოიერის** კარის ხაზი აშკარად გადაკვეთა! ჰო, მხოლოდ ბადეს არ შეხებია, თორემ, ასი კი არა, ათასპროცენტიანი გოლი იყო! მოკლედ მთელმა მსოფლიომ დაინახა, გარდა... მატჩის არბიტრის, ურუგვაელი **ხორხე ლარიონდასა** და მისი ასისტენტისა. არადა, მსაჯს რომ ეს გოლი ჩაეთვალა, ანგარიში საყაიმო ხდებოდა (2:2) და მერე, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, ინგლისის ნაკრები ასეთი თამაშით მეოთხედფინალში გასვლას ნამდვილად არ იმსახურებდა! რა თქმა უნდა, არბიტრმა უპატიებელი შეცდომა დაუშვა, მაგრამ იმ საღამოს მეტოქემ ყველა კომპონენტში დაჩაგრა!

გასაგებია, რომ **უეინ რუნი** აშკარად ვერ იყო ფორმაში (ისე, როგორც **ეშლი კოული** თუ **გლენ ჯონსონი**), რომ ინგლისის ნაკრების ქომაგები უფრო ბევრს მოელოდნენ **სტივენ ჯერარდისა** და ფრენკ ლემპარდისგან, მაგრამ როცა გუნდს, ფაქტობრივად, მეკარე არა ჰყავს, როცა ძირითად შემადგენლობის ორი-სამი ფეხბურთელი, რბილად რომ ვთქვათ, საშუალოზე ოდნავ დაბალი დონის მოთამაშეა, მაშინ წარმატებაზე ფიქრი არც შეიძლება. თან, ვისთან? - გერმანიის ნაკრებთან, ამ მუნდიალის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეული გუნდთან, უამრავი საკადრო პრობლემის მიუხედავად, თითქმის ყველა შეხვედრაში ჩინებული შთაბეჭდილება რომ დატოვა. ამასთან, ისიც უნდა ვაღიაროთ, თუ როგორ მოუგო **იოახიმ ლიოვმა** ტაქტიკური „დუელი" თავისზე ბევრად გამოცდილ და სახელოვან კოლეგა **ფაბიო კაპელოს**; დაბოლოს, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ამ მუნდიალზე ყველაზე ახალგაზრდა გუნდი გერმანელებს ჰყავთ, მაგრამ **თომას მიულერი, მესუთ იოზილი** თუ **სამი ხედირა** უკვე ჩამოყალიბებულ ოსტატებად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო **ბასტიან შვაინშტაიგერი** - ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად...

## არგენტინა-მექსიკა 3:1

კიდევ ერთი სამსაჯო სკანდალი, თანაც სერიოზულზე-სერიოზული იალლიში ისეთი საფეხბურთო ქვეყნის არბიტრებმა დაუშვეს, როგორიც იტალიაა. იმის გათვალისწინებით, რომ იტალიის ნაკრები გათამაშებას ადრე გამოეთიშა, **რობერტო როზეტის** და მის ორ თანამემამულე ასისტენტს რეალური შანსი ჰქონდათ... მუნდიალის ფინალი ემსაჯათ; ახლა კი, მსოფლიო ჩემპიონატს ტელევიზორით თუ მიადევნებენ თვალს...

რა თქმა უნდა, ამ შეხვედრის ფავორიტი არგენტინის ნაკრები იყო, მაგრამ აბა გავიხსენოთ, თუ როგორ დაიწყო ეს მატჩი: **ხავიერ აგირემ**, ბევრისთვის მოულოდნელად, შემტევი ტაქტიკა დაუპირისპირა მეტოქეს და შეხვედრის პირველ წუთებში **კარლოს სალსიდოსა** და **ანდრეს გუარდადოს** სულ ოდნავ რომ გამართლებოდათ, მექსიკა ანგარიშშიც დაწინაურდებოდა. სამაგიეროდ, არგენტინელთა პირველივე სახიფათო შეტევა... სკანდალური გოლით დასრულდა: **ლეო მესის** დარტყმის შემდეგ **კარლოს ტევესი** ლამის ერთმეტრიან თამაშგარეში იმყოფებოდა, მაგრამ მსაჯებმა წესების დარღვევა ვერ შეამჩნიეს! მექსიკელებმა ეს ეპიზოდი დიდხანს კი აპროტესტეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ „აჭრილებმა" დაცვაში ბავშვური შეცდომა დაუშვეს და **გონსალო იგუაინსაც** ამ მუნდიალზე თავისი მეოთხე გოლის გატანა არ გასჭირვებია.

არავინ უარყოფს: არბიტრს მექსიკელთა კარში გატანილი პირველი გოლი რომ გაეუქმებინა, **დიეგო მარადონას** გუნდს შესაძლოა, არც ამ შემთხვევაში გასჭირვებოდა მეოთხედფინალის საგზურის მოპოვება; თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ასეთმა „საჩუქარმა" არგენტინელების შანსები ერთიორად გაზარდა. და კიდევ: ლეო მესიმ კვლავაც ვერ შეძლო გოლის გატანა; სამაგიეროდ, მეორე ტაიმში ტევესმა მართლაც ზღაპრული ბურთი შეაგდო და საერთოდაც: ისეთი მოტივაციით თამაშობდა, არც უნდოდა, რომ შეეცვალათ...

## ჰოლანდია-სლოვაკეთი 2:1

**ბერტ ვან მარვიიკი** ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახალი დანიშნული იყო, ამხანაგურ მატჩში ავსტრალიასთან რომ წააგო (1:2). იმის მერე ორი წელიწადი გავიდა და უკვე 23 მატჩია, ჰოლანდიელები აღარ დამარცხებულან! ეგ კი არა, ამ მუნდიალზე გუნდს (არგენტინის მსგავსად) ასპროცენტიანი შედეგი აქვს - ოთხიდან ოთხი გამარჯვება.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაღა თქმა უნდა, მერვედფინალში მოგება იყო, სადაც ჰოლანდიამ ფავორიტის სტატუსი გაამართლა და სლოვაკეთს კლასის ხარჯზე აჯობა. ორი დღის წინაც აღვნიშნეთ და დღესაც გავიმეორებთ, რომ ჰოლანდიის ნაკრებმა მუნდიალზე „საკუთარ სტილს უღალატა" და ბევრად უფრო პრაგმატულ ფეხბურთს უჩვენებს. თანაც, ბერტ ვან მარვიიკი ძირითად შემადგენლობაში როტაციას საერთოდ არ მიმართავს და ერთსა და იმავე ფეხბურთელებს ეყრდნობა. ეგ კი არა, შეცვლებზეც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მოთამაშეები (**ელერო ელია, იბრაჰიმ აფელაი, კლაას-იან ჰუნტელაარი**) შემოჰყავს ხოლმე. ან რატომ უნდა შეცვალოს რამე, ან... ვინმე? ჰო, როცა გუნდში **არიენ რობენი** და **ვესლი სნეიდერი** გყავს, ამ ორი ჩინებული ინდივიდუალისტის საშემსრულებლო ოსტატობაც საკმარისია; ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა და მერე რა იქნება, ვნახოთ.

სამაგიეროდ, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ ინერტულად გამოიყურება **რობინ ვან პერსი,** მუნდიალის დაწყებამდე ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად რომ მოიაზრებოდა. სლოვაკეთზე კი დადებითის მეტი რა უნდა ვთქვათ: **ვლადიმირ ვაისის** გუნდი თავის არსებობის ისტორიაში პირველად მოხვდა მუნდიალზე და მერვედფინალამდე გააღწია!

## ბრაზილია-ჩილე 3:0

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ორი ბურთის სხვაობით იგებდნენ და ჩილეს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარსელო ბიელსამ** ერთდროულად ორი ცვლილება გააკეთა; მერე, აშკარად თამაშის ხასიათზე „მოსულმა" **რობინიომ** მესამე გოლი რომ გაიტანა, მცველის ნაცვლად მოედანზე ახალი შემტევი შემოიყვანა, მაგრამ არგენტინელი მწვრთნელის ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დიდი ანგარიშით მარცხის მიუხედავად, ჩილეს ნაკრებზე ენა არავის მოუბრუნდება: მარსელო ბიელსას გუნდის შემტევი სტილი ხომ ამ მუნდიალის ერთ-ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან შეხვედრაში ჩილეს ნაკრებს ორივე ცენტრალური მცველი, **ვალდო პონსე** და **გარი მედელი** აკლდა. დაიმახსოვრეთ ამ ორი ფეხბურთელის სახელი და გვარი: შორს არ არის ის დღე, პონსე და მედელი რომელიმე ევროპულ გრანდში რომ აღმოჩნდებიან.

ახლა კი დროა, ბრაზილიის ნაკრებზეც ვისაუბროთ, ერთ-ერთ ყველაზე „შენიღბულ" და „ამოუცნობ" გუნდზე! ნებისმიერი მუნდიალის დაწყების წინ ბრაზილიელებს ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევენ ხოლმე და გამონაკლისი, რაღა თქმა უნდა, არც წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატია. თუმცა მუნდიალის დაწყებამდეც და უშუალოდ მსვლელობის დროსაც არ წყდებოდა კამათი... **კარლოს დუნგას** მიერ არჩეული, ერთი შეხედვით, ფრთხილი სათამაშო სტილის გამო. და აი, მერვედფინალში გამოჩნდა, თუ რამხელა პოტენციალი აქვს ამ გუნდს! აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ ბრაზილიელთა თამაშში „რეზერვიც" იგრძნობა, თითქოს, ბოლომდე არ იხარჯებიან და „ვილაცას რაღაცას" უმალავენო...

**...ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, კაკა, რობინიო, ლუიშ ფაბიანო,** - როცა გუნდში ასეთი ფეხბურთელები თამაშობენ, ამ გუნდს ერთ-ერთი კი არა, უმთავრესი ფავორიტის სტატუსიც უნდა ჰქონდეს!



## პარაგვაი-იაპონია 0:0, პენ 5:3

სამხრეთ აფრიკაში ლათინოსთა ზეობა პარაგვაის ნაკრებმა გააგრძელა: მუნდიალის მწვრთნელებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, **ხერარდო მარტინოს** გუნდმა თავის ისტორიაში პირველად შეძლო მეოთხედფინალში გასვლა! როგორც უნდა დასრულდეს ეს მუნდიალი, დანარჩენი სამხრეთამერიკული გუნდების მსგავსად, პარაგვაის ნაკრები მხოლოდ და მხოლოდ ქებას დაიმსახურებს. თანაც ბრაზილიასა და არგენტინას თავი რომ დავანებოთ, იმავე ურუგვაისგან და ჩილესგან განსხვავებით პარაგვაელები „არატიპურ სამხრეთამერიკულ" ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. ანუ, ეს არის გუნდი, მაქსიმალურად რომ ცდილობს სათამაშო დისციპლინის უმკაცრესად დაცვას და თითქმის ყველა მატჩში უაღრესად ორგანიზებულად ასპარეზობს. ამასთან, მარტინო მეტოქიდან გამომდინარე ირჩევს ტაქტიკურ სქემას და ალბათ ბევრს უკვირს კიდეც, როცა სათადარიგოთა სკამზე ხან **როკე სანტა კრუსი** აღმოჩნდება, ხან - **ნელსონ ვალდესი** და ხან - **ოსკარ კარდოსო;** ანუ, საუბარია პარაგვაის ნაკრების სამ ყველაზე ცნობად სახესა თუ ლიდერზე!

პარაგვაელებმა „საკუთარ სტილს" არც მერვედფინალში უღალატეს: იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, ძირითად და დამატებით დროშიც იაპონელები უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ, ფრე მაინც ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. მერე კი ვნახეთ „ნერვების ომი": პენალტების სერია პარაგვაელებმა უნაკლოდ შეასრულეს, მაშინ როცა იაპონელთა მცველმა **იუიჩი კომანომ** ბურთი ხარიხას გაარტყა. რა თქმა უნდა, პენალტების სერია ლატარიაა, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ პარაგვაის ნაკრები მაინც დამსახურებულად გავიდა მეოთხედფინალში.

## ესპანეთი-პორტუგალია 1:0

პირენეული დერბი და... **დავიდ ვილიას** მორიგი გაბრწყინება! „ასტურიელმა პრინცმა" თუ ასე გააგრძელა, მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირობას კი არა, საუკეთესო ფეხბურთელობაზეც სამართლიანი პრეტენზია ექნება. თანაც, ამ შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა რესურსს ფლობს **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი. მართლაც, ერთი სიამოვნებაა, ესპანელთა შეტევების ხილვა: **ჩაბი ალონსო, ჩავი** და **ინიესტა** მოკლე პასებით (თან, „ერთი შეხებით") მეტოქეთა დაცვით ეშელონებს რომ არღვევენ და იქ კი, კარის სიახლოვეს, უკვე ვილიას ჯერიც დგება! ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, თუ როგორ შორს არის ოპტიმალური ფორმისგან **ფერნანდო ტორესი,** მაგრამ ესპანეთის ნაკრების სიძლიერე იმაშიც გამოიხატება, რომ დელ ბოსკეს 23-კაციან განაცხადში ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, გუნდის წამყვან მოთამაშეს უპრობლემოდ რომ შეცვლიან.

ასე მოხდა პორტუგალიელებთან მატჩშიც: **ფერნანდო ლორენტეს** მოედანზე შემოსვლამ დიდად განაპირობა კიდეც მატჩის ბედი. არადა, პირველი ტაიმის საწყის წუთებს მხედველობაში თუ არ მივიღებთ, ვილიას გოლამდე უფრო აქტიურად პორტუგალიელები გამოიყურებოდნენ. **ტიაგოს, ალმეიდას** და **სიმაოს** რამდენიმე შანსი ჰქონდათ (თან, თავდაპირველად **იკერ კასილასიც** არადამაჯერებლად მოქმედებდა), მაგრამ ვერ გამოიყენეს. აი, გოლის შემდეგ კი ესპანელთა უპირატესობა ბევრად უფრო თვალსაჩინო გახდა და რომ არა პორტუგალიელთა მეკარე **ედუარდოს** მართლაც ბრწყინვალე თამაში, ანგარიში ბევრად უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა.

ედუარდო ამ მატჩის ერთ-ერთ გამორჩეული ფეხბურთელი იყო, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით პორტუგალიის ნაკრების კაპიტანსა და მთავარ იმედ **კრიშტიანო რონალდოზე,** ვინც, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი იყო მოედანზე. და კიდევ ამ დაძაბულ მატჩზე: დელ ბოსკემ ტაქტიკური „დუელი" პირწმინდად მოუგო თავის კოლეგას **კარლუშ კეიროშს.** ამ უკანასკნელმა თავისი გუნდის დაცვის მარჯვენა ფლანგზე მორიგი „ექსპერიმენტი" ჩაატარა და ეს პოზიცია ამჯერად **რიკარდო კოშტას** მიანდო (მანამდე, ამ ადგილზე **პაულო ფერეირა** და **მიგელი** ასპარეზობდნენ). ჰოდა, ესპანელებმაც სწორედ აქედან გაილალეს, მით უმეტეს, რომ ვილია კვლავინდებურად მარცხენა გარემარბად თამაშობდა. ყოველივე ამას მეორე ტაიმში **სერხიო რამოსის** გააქტიურებაც დაემატა და საბოლოოდ ლოგიკური შედეგიც მივიღეთ: ევროპის ჩემპიონი მეოთხედფინალშია!

**გია ტუხაშვილი**

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BC BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ყაზბეგის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ქალაქელი სილვა



დავიდ სილვა ღამურებს გაუფრინდა

გუშინ „მანჩესტერ სიტიმ“ ოფიციალურად გამოაცხადა ესპანეთის ნაკრების შემტევი ნახევარმცველის **დავიდ სილვას** შეძენის შესახებ. „ვალენსიამ“ და ინგლისურმა კლუბმა წარმატებით მოილაპარაკეს, პირობებს დათანხმდა ფეხბურთელის აგენტიც და 4-წლიანი კონტრაქტიც გაფორმდა. 24 წლის სილვა ოთხ სეზონს პრემიერლიგაში გაატარებს. ყველაფერს ბეჭედი მუნდიალის შემდეგ დაესმება, როცა სილვა ინგლისში ჩავა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

სილვა ამჟამად „ფურია როხას“ დროებით ბაზაზეა სამხრეთ აფრიკაში, სადაც მთლიანად კონცენტრირებულია ესპანეთის ნაკრებში თამაშზე. **ვისენტე დელ ბოსკემ** პორტუგალიის ნაკრებთან მატჩში სილვა არ ათამაშა. *„უპირველესად, მინდა მადლობა გადავუხადო „ვალენსიას“, კლუბს და მის ლოიალურ ფანებს, ჩემს მეგობრებს, თანაგუნდელებს. მე ბედნიერი ვიყავი „ვალენსიაში“ გატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში. მათ აღმომაჩინეს, როგორც ფეხბურთელი და „ვალენსია“ ჩემთვის მუდამ იქნება განსაკუთრებული კლუბი. ახლა კი ზუსტად ახალი თავგადასავლების აღმოჩენის დროა. მოხარული ვარ, რომ ინგლისში ვითამაშებ, თანაც „მანჩესტერ სიტის“ შემადგენლობაში. პრემიერლიგა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირია. მსურს, „სიტის“ ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო. ჩემი მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ ბრიტანულ და ესპანურ მედიაში ბევრი ტყუილ-მართალი ითქვა. არადა, მე მხოლოდ მუნდიალზე და ესპანეთის ნაკრებთან ერთად წარმატებაზე ვფიქრობ“*, - განაცხადა „მანჩესტერ სიტის“ ახალწვეულმა.

„სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** განაცხადა, რომ შენაძენით კმაყოფილია: *„მოხარული ვარ, რომ სილვა „სიტიში“ ითამაშებს. ის ხომ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. ვიმედოვნებ, რომ ესპანელი გუნდის მნიშვნელოვანი ფიგურა გახდება“*. ბრიტანული მედია ამტკიცებს, რომ „სიტიმ“ სილვას სანაცვლოდ „ვალენსიას“ 35 მილიონი ევრო გადაუხადა.

დავიდ ხიმენეს სილვა 24 წლის წინ კანარის კუნძულებზე დაიბადა. ის პირველად 2003 წელს გამოჩნდა ფინეთში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაზე, სადაც ესპანეთის ნაკრებმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. მაშინ სილვამ **სესკ ფაბრეგასთან** და **ხურადოსთან** ერთად გაიბრწყინა. პროფესიული დებიუტი მას ბასკურ „ეიბარში“ ჰქონდა 2004-2005 წლების სეზონში, სადაც ის „ვალენსიადან“ იჯარის წესით მოხვდა („ვალენსიაში“ 14 წლის ასაკიდან ირიცხება). „ღამურებმა“ დავიდი შემდეგ სეზონში უკვე ვიგოს „სელტაში“ გაანათხოვრეს. 2006 წლიდან კი უკვე „ვალენსიას“ ძირითადის ფეხბურთელია. საერთო ჯამში მან 119 მატჩში „ვალენსიას“ მაისურით 21 გოლი გაიტანა ჩემპიონატებში. ესპანეთის ნაკრებში დებიუტი „სიტის“ ახალწვეულს 2006 წელს ჰქონდა რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ. ნაკრებში მან 37 მატჩში 7 გოლი გაიტანა, აქედან ერთი ევრო-2008-ზე რუსეთის ნაკრების კარში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

იტალია

# პრანდელიმ ოთხწლიანი გააფორმა

**ჩეზარე პრანდელი** ოფიციალურად გახდა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. გუშინ „ფიორენტინას“ ყოფილმა თავკაცმა ფეხბურთის ფედერაციასთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. 52 წლის სპეციალისტი გუშინ დღის პირველ ნახევარში „ფედერკალჩოს“ ოფისში გამოცხადდა და აღმასკომის წევრებს შეხვდა. შემდეგ ფედერაციის რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად ისადილა და ოფისში დაბრუნებულმა კონტრაქტზე ხელმოწერაც დასვა.

პრანდელი იმ პერსონალთან ერთად იმუშავებს, რომელთანაც ბოლო წლებში „ფიორენტინაში“ თანამშრომლობდა. დღეს მისი ფორმალური წარდგენაა. დებიუტი კი 10 აგვისტოს შედგება, თანაც ერთობ უცნაურ გარემოში - ლონდონის „ფულჰემის“ არენაზე. „ქრივენ ქოთიჯზე“ იტალიის ნაკრებს კოტ დ'ივუარის, ურუგვაის ან ეგვიპტის ეროვნულ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება. ეს მხოლოდ „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდია. ფეხბურთის ფედერაცias მეტოქეებთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.

**ლაშა წიკლაური**

ვერდერი

# მერტე და ალმეიდა რჩებიან

გერმანიის ნაკრების მცველმა **პერ მერტეზაკერმა** და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელმა **უგო ალმეიდამ** განაცხადეს, რომ ბრემენის „ვერდერიდან“ წასვლას არ აპირებენ. აყლაყუდა ცენტრალური მცველის თქმით, ის ბრემენულ კლუბში თავს შესანიშნავად გრძნობს და „მუსიკოსებიდან“ წასვლაზე ერთი წუთითაც არ უფიქრია. *„ვერდერი“ ძალიან ამბიციური გუნდია და მჯერა, რომ ამ კლუბთან ერთად დიდ წარმატებებს მივაღწევ,“* - განუცხადა მერტეზაკერმა „შპორტ ბილდს“. აქვე გეტყვით, რომ 25 წლის პერს „ვერდერთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

რაც შეეხება ალმეიდას: მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერის“ მთავარი მწვრთნელი **თომას შაафი** მას გასულ სეზონში იშვიათად ენდობოდა (შაафი თავდასხმაში უმეტესად **კლაუდიო პისაროს** ათამაშებდა), ბრემენიდან წასვლას არც პორტუგალიელი აპირებს. ალმეიდას ხელშეკრულებას ვადა გაისად ეწურება და ის მზადაა, კონტრაქტი ახლავე გააგრძელოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# გომეს, გამოფხიზლდი!

## ნერლინგერმა მარიოს შემოულაწუნა

ერთი წლის წინ, მიუნხენის „ბაიერნმა“ თავის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ტრანსფერი გაჩარხა: რეკორდმაისტერმა „შტუტგარტიდან“ თავდამსხმელი **მარიო გომესი** 35 მილიონ ევროდ შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ეს ტრანსფერი არა მარტო „ბაიერნისთვისაა“ ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული, არამედ მთლიანად ბუნდესლიგისთვისაც. პირდაპირ ვთქვათ: გომესს „ბაიერნში“ ცუდი სეზონი ჰქონდა. მან იმედები ვერ გაამართლა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც გერმანიის ნაკრების სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „ბაიერნის“ მენეჯერ **კრისტიან ნერლინგერს** მარიო გაეკრიტიკებინა.

*„მომავალ სეზონში მარიომ ბოლოს და ბოლოს მასზე გაცემული ავანსები უნდა გაამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ჩავთვლით, რომ მის სანაცვლოდ გადახდილი 35 მილიონი წყალში გადაყრილი ფულია,* - აცხადებს ნერლინგერი „მიუნხენერ თაგესცაითუნგისთვის“ *მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - მარიო ვერც მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინავს. მოკლედ, მისთვის მომავალი სეზონი გადამწყვეტი იქნება. გომესი ყურადღების ცენტრშია და იმედია, ახსოვს, რომ მისგან ყველანი გაცილებით მეტს ველით“.*

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი




# ოქრიაშვილი შახტარში: ჯერ იჯარა, მერე კონტრაქტი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და „გაგრას“ შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** ავსტრიაში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ ერთად ემზადებოდა და კლუბში მისი ჩარიცხვა გადაწყვეტილი გვეგონა. 18 წლის ფეხბურთელმა ტესტირებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ ოქრიაშვილი რუსეთის პრემიერლიგის უმდიდრეს კლუბთან ექვსთვიან საიჯარო ხელშეკრულებას გააფორმებდა. რუსული მედია წერდა, რომ ქართველი ფეხბურთელის ბედი მალე გაირკვეოდა. „ზენიტის“ ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ნიკოლაი ვორობიოვმა** კითხვაზე - როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ახალწვეულებმა, ასე უპასუხა: *„ოქრიაშვილი ახალგაზრდა ფეხბურთელია და მოლონიერება სჭირდება. თუმცა კი ძალიან ტექნიკური ბიჭია. ჯერჯერობით, მას პერსპექტივაში განვიხილავთ. მთავარი მწვრთნელი სელექციისას ითვალისწინებს არა მხოლოდ ფეხბურთელის კლასს, არამედ, მის სათამაშო სტილს, ჩაეწერება თუ არა „ზენიტის“ სქემაში, ასაკს და ასე შემდეგ. არ გადავიწყდეთ ფასიც - ის კლასის შესაფერისი უნდა იყოს“.*

...და აი, გუშინ ცნობილი გახდა, რომ თორნიკე ოქრიაშვილი უეფას თასის 2009 წლის მფლობელმა დონეცკის „შახტარმა“ გადაიბირა. კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება: *„შახტარმა“ ქართველი ტექნიკური ფეხბურთელი აიყვანა“*, - ვკითხულობთ სათაურში. შემდეგ ტექსტში წერია:

*„დონეცკის „შახტარის“ ახალგაზრდულ შემადგენლობას პერსპექტიული ფეხბურთელი დაემატა. ის საქართველოს წარმომადგენელი თორნიკე ოქრიაშვილია. „გაგრას“ აღზრდილი მხოლოდ 18 წლისაა, თუმცა საფეხბურთო სამყაროში უკვე კარგადაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში, ამ შემტევი ნახევარმცველის აყვანა, რომელსაც შემქნელის თვისებები გააჩნია, არა ერთ ცნობილ კლუბს სურდა. თუმცა ეს ფეხბურთელი უკვე დონეცკის „შახტარშია“. სპეციალისტები ოქრიაშვილის არასტანდარტულ ტექნიკას გამოარჩევენ, რომელიც სისწრაფესთანაა შეხამებული. ჯერჯერობით, ქართველ ფეხბურთელს ნახევარწლიან იჯარას გაუფორმებენ. თუ ამ ვადის დასრულების შემდეგ, მხარეები პარტნიორობის გაგრძელებას ისურვებენ, ასეთ შემთხვევაში, „შახტარი“ კონტრაქტის სრულად გამოსყიდვის უფლებას იტოვებს“.*

ფეხბურთელის სანკტ-პეტერბურგში წაუსვლელობის მიზეზი „გაგრას“ სატრანსფერო მადა არ გამხდარა. ქართული კლუბის პრეზიდენტმა **ბესიკ ჩიხრაძემ** გვითხრა, რომ უკრაინული კლუბის წარმომადგენელი ოქრიაშვილს ავსტრიაში, „ზენიტისა“ და „ზესტაფონის“ საკონტროლო შეხვედრის დროს დააკვირდა. დონეცკელები ქართველ ფეხბურთელზე ინფორმაციას მანამდეც ფლობდნენ. ისინი ბელარუსში ამ ქვეყნისა და საქართველოს 19-წლამდელთა ამხანაგურ შეხვედრებს დაესწრნენ, რომელშიც ოქრიაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა. ზენიტური ტესტების შემდეგ"შახტარმა" ქართველი ფეხბურთელის აყვანა საბოლოოდ გადაწყვიტა. თუმცა ტრანსფერზე სხვა ფაქტორებმაც იმოქმედა.

ოქრიაშვილის „ზენიტში“ აყვანით კლუბის სპორტული დირექტორი **იგორ კორნეევი** ძალიან იყო დაინტერესებული. საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ყოფილმა ფეხბურთელმა ტექნიკურ ოქრიაშვილში დიდი პოტენციალი დაინახა. საბოლოოდ, მოლაპარაკებებში უკრაინელებმა უფრო იაქტიურეს და საკითხიც მათ სასარგებლოდ გადაწყდა. აი, რას გვეუბნება ჩიხრაძე:

- ჩვენ პეტერბურგელებთან წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა, მაგრამ „ზენიტმა“ ბოლოს პირობები შეცვალა. ამასობაში, დონეცკის „შახტარმა“ ძალზე აქტიურად დაიწყო მოლაპარაკებები და ყველაფერი რომ ავწონ-დავწონეთ, ასე ვამჯობინეთ.

**- რამდენად მართალია, თითქოს გადაწყვეტილებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია რუსეთთან გართულებულმა სავიზო პრობლემებმა?**

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალიან რთულია რუსეთის ვიზის მიღება და წასვლა-წამოსვლა, ოჯახის წევრების ჩაყვანა და ასე შემდეგ. თუმცა მხოლოდ ეს არ იყო გადამწყვეტი. „შახტარს“ სუპერთანამედროვე საწვრთნელი ბაზა, სტადიონი და ინფრასტრუქტურა აქვს. უმაღლეს დონეზე მიგვიღეს. ეს ხომ თავად თორნიკემაც ნახა და დონეცკის კლუბზე უკეთესი შთაბეჭდილება დარჩა.

**- იჯარის პირობებიც უკეთესი იყო?**

- არა, აბსოლუტურად ერთნაირი პირობები იყო. ჩვენ ფულს არ დავხარბებივართ. მთავარია, თორნიკეს წინსვლის პირობები შევუქმნათ. ეს ხომ ისევ „გაგრას“ სახელი იქნება.

„შახტარის“ პრესსამსახური იუწყება, რომ ოქრიაშვილი იჯარით ითამაშებს და თუ თავს გამოიჩენს, იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ უკრაინის ჩემპიონთან 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს.

*„ეს არის ოპციონის სისტემა. დონეცკელებმა თორნიკეს 6-თვიანი კონტრაქტი გაუფორმეს და ამის შემდეგ ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება მიიღეს. ისე, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო კონტრაქტია. მასში გათვალისწინებული პირობები თორნიკეს მომავლისთვის უდავოდ მისაღებია. ის ჯერ დუბლებში ივარჯიშებს, მაგრამ მასზეა დამოკიდებული, ძირითადში როდის მოხვდება. ჩემი აზრით, ეს ძალიან მალე მოხდება. სხვათა შორის, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ „შახტარის“ პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა ოქრიაშვილს ამის თაობაზე ჰკითხა - მთავარ გუნდში როდის ითამაშებო, თორნიკემ დაუფიქრებლად უპასუხა, სამ თვეშიო. ახმეტოვს ეს პასუხი ძალიან მოეწონა“*, - ამბობს ჩიხრაძე.

ინიციატივა

## მამუკა კვარაცხელია

# გაზაფხული-შემოდგომის სისტემა პაერივით გვჭირდება!

**პროფესიული** ფეხბურთის ლიგის ალმასკომის გუშინდელ სხდომაზე უეფას მედიაოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი განსახილველად დააყენა. თუმცა კონფერენციის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ბევრი საკითხი ჩრდილში მოექცა, მათ შორის, კვარაცხელიას წინადადებები. ამიტომაც გადავწყვიტეთ მასთან გასაუბრება.

მანამდე კი იმ საკითხებს გაგაცნობთ, რომელიც კვარაცხელიამ კონფერენციაზე წამოაყენა: **1. ჩემპიონატისა და თასის თამაშებზე 12-წლამდე ბავშვების უფასოდ დაშვება; 2. ეროვნული ჩემპიონატისა და საქართველოს თასის მატჩების სფფ-ს ოფიციალური ჰიმნით (ჯანსუღ კახიძის მელოდია) დაწყება; 3. ეროვნული თასის ნახევარფინალურ მატჩებში მიღებული ყვითელი ბარათების გაუქმება, რათა ფინალში ყველა უძლიერესმა ითამაშოს (ეს წინადადება მურთაზ ხურცილავასთან ერთადაა შემუშავებული); 4. საქართველოს ჩემპიონატის გაზაფხული-შემოდგომის პრინციპით ჩატარება.**

**ახლა კი კვარაცხელიას ინტერვიუ:**

- ამ ოთხიდან რამდენიმე საკითხი ჯერ კიდევ ორი წლის წინ დავაყენე სფფ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობის წინაშე, მაგრამ ალმასკომის იმ შემადგენლობის უდიდეს ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქართულ ფეხბურთზე და ვერცერთი საკითხი ვერ გადაწყდა, არც უმსჯელიათ...

**- თქვენს წინადადებებთან დაკავშირებით ლიგის კონფერენციამ რა გადაწყვეტილება მიიღო?**

- ლიგის პრეზიდენტის, გია ფირცხალავას ინიციატივით, საკითხები ლიგის გამგეობას გადაეცა და უახლეს სხდომაზე განიხილავენ. პირველ სამს, როგორც ვიცი, ალბათ მიიღებენ, აი, მეოთხეზე კი, აზრთა სხვადასხვაობა იყო და ალბათ, კარგა ხანს იქნება ამაზე კამათი. გირჩევთ, თქვენ, მერაბ მამულაშვილმა და „ლელომ“ ამ საკითხზე ფეხბურთის სპეციალისტების გამოკითხვა დაიწყოთ, არ გაინტერესებთ, რა პასუხს მიიღებთ?

**- რით ასაბუთებთ გაზაფხული-შემოდგომის სისტემის უპირატესობას, როდესაც მთელი ევროპული ფეხბურთის ციკლი შემოდგომა-გაზაფხულზეა აწყობილი?**

- საქართველოს განვლილმა ოცმა ეროვნულმა ჩემპიონატმა ყველას ნათლად დაანახა ჩემპიონატის ჩატარების სისტემის უვარგისობა. შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლა, გეოგრაფიულად სუბტროპიკული კლიმატის სარტყელში განლაგებული ქვეყნის საფეხბურთო პირველობისთვის დიდი შეცდომა აღმოჩნდა ქვემოთჩამოთვლილ მიზეზთა გამო: ა) ჩემპიონატის დაწყება აგვისტოში და პირველი წრის დამთავრება დეკემბერში, ხოლო განახლება თებერვალში და ფინიში მაისში, დიდ (ვიტყოდი - გამოუსწორებელ) ზიანს აყენებს ისედაც უხარისხო ქართულ საფეხბურთო მინდვრებს; ბ) საქართველოში არც ერთ მინდორს (!!!) არ გააჩნია ხელოვნური გათბობის სისტემა, რის გამოც თოვლის მოსვლისთანავე ნადგურდება მწვანე საფარი, ანდაც შეუძლებელი ხდება თამაშების ჩატარება; გ) ამ სისტემის პირობებში, ვერ ვიყენებთ კლიმატურად საუკეთესო თვეებს - ივნისსა და ივლისს (ამ თვეებში სიცხის პირობებში მატჩები ჩატარდება გვიან, ანდაც ხელოვნური განათების ქვეშ); დ) თებერვალსა და დეკემბერში, ისედაც მცირე ქართულ საფეხბურთო პუბლიკას, სიცივის გამო, მაყურებელი კიდევ უფრო აკლდება; ე) აგვისტოში უეფას ტურნირებზე გასული ქართული გუნდები მოუმზადებელნი ხვდებიან მეტოქეებს, რაკილა ევროპულ კლუბებს აქვთ საშუალება სრული მოსამზადებელი ციკლი გაიარონ სეზონის წინ, ქართული გუნდები კი ხელმოკლეობის გამო, უკეთეს შემთხვევაში, მეტოქეს მაქსიმუმ ერთი შეკრების შემდეგ მოუმზადებელნი ხვდებიან და ფაქტობრივად, ტურნირებს პირველივე წრეში ეთიშებიან. ეს კი ქვეყნის საფეხბურთო იმიჯსაც დიდ ზიანს აყენებს და გარდა ამისა, უეფას მიერ ჯამურ კოეფიციენტთა დათვლის სისტემაში, საქართველოს მუდამ დაბალი ქულათა მარაგი აქვს, რის გამოც ევროთასებზე ასპარეზობს ქართული გუნდების შეზღუდული რაოდენობა (მაქსიმუმ - 4).

**- ზოგიერთ მწვრთნელს სხვა მოსაზრება გააჩნია – შემოდგომა-გაზაფხული ურჩევნიათ, მაინც ნაცნობი და შეჩვეული სისტემაა...**

- კი, ბატონო, ოღონდაც დაასაბუთონ, რატომ ამჯობინებენ. მე მოვიყვანე ხუთი დამადასტურებელი არგუმენტი, რომ ჩემ მიერ ზემოთხსენებული სისტემა ჯობია, მათაც მოიყვანონ მინიმუმ ხუთი! თუმცა ფაქტი ერთია - 20 წლის განმავლობაში, ერთ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით, თბილისის „დინამოს“ გარდა, უეფას ჯგუფურ ტურნირში, ვერცერთი ქართული გუნდი ვერ გავიდა! მეტი რა დამადასტურებელი არგუმენტები გინდათ, რომ სისტემა შესაცვლელია?

**- კარგით, ბავშვების თემაზეც ვილაპარაკოთ...**

- საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩებზე, მაყურებელთა რაოდენობა წლიდან წლამდე კლებულობს. ამას ჩემპიონატის დებულების ზოგიერთი პუნქტი უწყობს ხელს...

**- რომელ პუნქტებს გულისხმობთ?**

- იმ პუნქტებს, რომლის მიხედვითაც ბავშვებს არავითარი შეღავათი არ გააჩნიათ – მათ შესვლა მხოლოდ ბილეთებით შეუძლიათ, ეს კი დღევანდელ პირობებში არც ისე იოლი საქმეა. როგორც გითხარით, ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომს არაერთხელ მივმართე, მათ შორის ოფიციალურადაც, მაგრამ... რამდენჯერ მინახავს, სტადიონზე მოსული ბავშვი უკან დაუბრუნებიათ! ვისთვის გვინდა ფეხბურთი, თუკი მომავალი თაობა ვერ უყურებს? ან ის ბავშვი მეორედ კიდევ მოვა?

**- ჰიმნზე მართალი ბრძანდებით, კარგა ხანია საბჭოთა კავშირის დროინდელი ბლანტერის ჰიმნმა ჩაანაცვლა...**

- ესაა უბედურება - 2001 წელს ცხონებული ჯანსუღ კახიძისგან ოფიციალურად ვიყიდეთ ეს ჰიმნი (ფილმ „პირველი მერცხლიდან“), ფულიც გადავუხადეთ და ალმასკომმა ოფიციალურად დაავალა კლუბებს, რომ მატჩების დაწყებამდე ეს ჰიმნი აჟღერებულიყო. საშეჯიბრო კომიტეტს მაშინ გია ფირცხალავა ხელმძღვანელობდა და კლუბებს კასეტები პირადად დაურიგა. მოკლედ, გია დაუბრუნდა ჩემპიონატს და იმედია ჰიმნიც აღდგება...

**- დაბოლოს, გაფრთხილების გაუქმების რას იტყვით?**

- მე, ბატონ მურთაზს, საშა ჩივაძეს და დათო ქლიბაძეს კამათში დაგვებადა ეს აზრი, განსაკუთრებით მურთაზ ხურცილავა აქტიურობდა - ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ რიბერიმ ვერ ითამაშა, კალისტრატოვიჩმა თქვა - ვინ წააგო ამითო და არ არის მართალი?

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**



ლიონელ მესი და მამუკა კვარაცხელია

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
**კონსულტაცია უფასოა**
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის“ საავადმყოფო

გაგრა

## ბესიკ ჩიხრაძე:

# სანამ შემიძლია, მივხედავ...

„გაგრა“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ უმაღლესი ლიგის ბევრი გუნდისგან განსხვავებით, ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი დააკვალიანა - **ლაშა თოთაძე, ვახტანგ ფანცხავა** უცხოეთში გაუშვა, ახლა მათ უფრო სახელოვან კლუბში წასული **თორნიკე ოქრიაშვილიც** დაემატა...

პირველ ლიგაში დაქვეითება სასიამოვნო არ იყო, მაგრამ „გაგრას“ პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძე** კლუბის მიტოვებას არ აპირებს.

*„ლიგა რომ არ გაფართოვდა და პირველ ლიგაში დაგვაქვეითეს, ბუნებრივია, ჩემთვის არასასიამოვნო სიურპრიზი იყო. თუმცა გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და უნდა დავემორჩილოთ. არაფერია, ჩვენი დროც მოვა და შევეცდებით, ბევრი რამ სასიკეთოდ შევცვალოთ. „გაგრა“ კი ქართულ ფეხბურთს კვლავ ემსახურება. მთავარია, რომ მე არ ვიცვლები, ჩემთვის კი „გაგრა“ და ამ სახელის საქართველოსთან გაიგივება ძველებურად მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, სანამ შემიძლია, კლუბს აუცილებლად მივხედავ. დღეს გუნდი შეკრებაზე გაემგზავრა, შევიძინეთ „პუმას“ ახალი ეკიპირება... ანუ არაფერი იცვლება, რადგან გარემოებებსა და მდგომარეობას არასდროს ვნებდები... რაც შეეხება შემადგენლობას, წამსვლელი წავა და ხელს არავის შევუშლით. ეს გუნდის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს. თუმცა მე კარგად მახსოვს, როცა „იუვენტუსი“ სერია B-ში გავარდა, კლუბისადმი ერთგულების ნიშნად, იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა დარჩენა გადაწყვიტა. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანი დეტალია. ვინც გვიერთგულებს და გვერდში დაგვიდგება, მას ყველანაირად ხელს შევუწყობთ. ჩვენ ყველა ფეხბურთელთან კონტრაქტი გვაკავშირებს და ვისი დატოვებაც გვსურდა, მათი 90 პროცენტი ჩვენთანაა და ვარჯიშობს“,* - ამბობს ჩიხრაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# დვალიშვილმა ასათიანს გაუტანა, მაგრამ...

ავსტრიაში, „ზალცბურგის თასის“ გათამაშებაზე ქართველების გუნდები ასპარეზობას აგრძელებენ. გუშინ ამ ტურნირზე ქართული დერბი შედგა. **მალხაზ ასათიანის** მოსკოვის „ლოკომოტივმა“ **ლადო დვალიშვილის** ჰაიფას „მაქაბი“ 2:1 დაამარცხა. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჰაიფელთა გუნდში დვალიშვილის გარდა, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი **გურამ კაშიაა** ტესტირებაზე. ბუქარესტის „დინამოს“ შემდეგ, კაშიამ „მაქაბიში“ გუშინ მეორე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივისა“ და „მაქაბის“ მატჩში სამივე ჩვენებური სასტარტო შემადგენლობაში იყო. ასათიანმა და დვალიშვილმა მატჩი ჩაამთავრეს, კაშია კი შესვენების შემდეგ შეცვალეს. ებრაელებთან მატჩში რკინიგზელთა გუნდს მალხაზ ასათიანმა უკაპიტნა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ჰაიფელთა გუნდიდან ეს ერთადერთი გოლი დვალიშვილმა გაიტანა. ქართველმა ფორვარდმა აფრიკელ თავდამსხმელ **დრამან ტრაორეს** მიერ გატანილი ბურთი 10 წუთში გაქვითა, მაგრამ ტრაორემ ერთიც შეაგდო და რკინიგზელებს 2:1 მოაგებინა.

ავსტრიულ შეკრებაზე „ლოკომოტივი“ მეორე შემადგენლობით ეთამაშა „რუბინის“ გადახალისებულ კრებულს და 3:2 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ასათიანს არ უთამაშია. ყაზანელთა გუნდში მყოფი ერთადერთი ქართველი **ლაშა სალუქვაძე** ძირითად შემადგენლობაში კაპიტნის სტატუსით იყო - მან მხოლოდ საწყისი 45 წუთი დაყო მოედანზე.

**დავით ცაბაძე**

ევროპის ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამო-ფლორა



თბილისის დინამოს ვარჯიში

# ...ზაქარია, გაუტანე ქართველებსო!

## დინამოს რობერტინიო დააკლდება

ევროპის ლიგის 2010-11 წლების სეზონი საქართველოში თბილისის „დინამოსა“ და ტალინის „ფლორას“ მატჩით გაიხსნება. ამ თამაშისთვის მეტოქე გუნდები უკვე კარგა ხანია ემზადებიან. გუშინ მოწინაალმდეგეებმა მატჩის წინა ვარჯიშები გამართეს. ვნახოთ, თუ რა ვითარებაა მეტოქე გუნდების ბანაკებში, რას ფიქრობენ დღევანდელ შეხვედრაზე, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებსა და მომავალზე.

18 საათზე ეროვნული სტადიონის მოედანზე ესტონელები გავიდნენ. ტალინელთა გუნდის თავკაცმა **მარტინ რეიმმა** თბილისში 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენთვის ცნობილია - 20 წლის შემტევი ნახევარმცველი **ზაქარია ბეგლარიშვილი**, რომელსაც ჭაბუკთა ნაკრებებში უთამაშია და ახალგაზრდულშიც იყო გამოძახებული. ალსანიშნავა ისიც, რომ ბალტიისპირელთა დელეგაციაში არც გულშემატკივრები არიან და არც ჟურნალისტები. მხოლოდ გუნდი და კლუბის დირექტორია, საშუალო ასაკის ქერათმიანი ქალბატონი, რომელიც ესტონელებს თბილისში 3 მარტს, ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებისთვისაც თან ახლდა.

მარტინ რეიმმა საათის განმავლობაში ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული, მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა. აშკარად ჩანდა, რომ სტუმრებს მონდომება არ აკლიათ, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებული. ტექნიკურობისა რა გითხრათ, მაგრამ ძალისმიერი თამაში, სირბილი და მეორე სართულზე ბრძოლა ეხერხებათ.

როგორც გავიგეთ, თბილისურმა ხვატმა „ფლორა“ შეაწუხა და ჩვენებურს ამინდზე ეკითხებოდნენ. თანაკლუბელებთან საუბრის შემდეგ ზაქარია ბეგლარიშვილს მივმართეთ.

- ესტონეთში ყველამ იცის, რომ თბილისის „დინამო“ საქართველოში ყველაზე ტიტულოვანი კლუბია და თასების მფლობელთა თასი აქვს მოპოვებული. თანაგუნდელებმა ისიც კარგად იციან, რომ „დინამო“ არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაში ცნობილი კლუბია. ამჟამინდელ „დინამოზე“ ბევრი არაფერი ინფორმაცია გვაქვს, მაგრამ ქართველი ფეხბურთელების კოზირი ტექნიკა და ინდივიდუალიზმი ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ესტონეთში ფიქრობენ, რომ იოლი მატჩები არ გველის „დინამოსთან“.

**- თანაკლუბელებზე მეტად იცნობ „დინამოს“ და საინტერესოა თავად რისი თქმა შეგიძლია...**

- მეტოქე გუნდში ბევრ ფეხბურთელს ვიცნობ, რამდენიმეს მხარდამხარ მითამაშია კიდეც. ჩვენს წყვილში „დინამო“ ფავორიტია, მაგრამ „ფლორასაც“ აქვს თავისი წილი შანსი. მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ორ მატჩის ჯამში გაირკვევა. ვნახოთ, ვინ როგორ გამოიყენებს თავის წილ შანსს.

**- გავიგე, ესტონელებს შენთვის „დინამოსთვის“ გოლის გატანა უთხოვიათ...**

- დიახ, მართალია. როცა გაირკვა რომ ჩემი თანამემამულეების წინააღმდეგ მოგვიწევდა თამაში, უმალ მითხრეს, ერთი გოლი შენზეაო. ისიც დაამატეს, თბილისის „დინამო“ მდიდარი წარსულის მქონე კლუბია და ამ გუნდ[...]თვის გოლის გატანას ბევრი ინატრებდაო.

**- შენც შეპირდი „დინამოს“ გავუტანო?**

- ფეხბურთელი ყოველთვის ფიქრობს და ცდილობს მეტოქეს გაუტანოს, მაგრამ იმის გარანტიას ვერავინ მოგცემს, რომ ამას აუცილებლად გააკეთებს. ტალინში ბევრი მეკითხება, ქართველებს გაუტან თუ ვერაო. პირობას ვერავის ვაძლევ და ყველას ერთს ვეუბნები, გოლის გატანას შევეცდები და ვნახოთ რამდენად შევძლებ-მეთქი.

**- დაბოლოს, როგორ ფიქრობ, „დინამოსთან“ თბილისურ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნები?**

- ვნახოთ, შესაძლოა ასეც იყოს. თამაშამდე დილით მსუბუქი ვარჯიში გვექნება და გუნდის მთავარი მწვრთნელი სასტარტო შემადგენლობას ამ წვრთნაზე გადაწყვეტს.

ზაქარია ბეგლარიშვილის შემდეგ, „ფლორას“ თავკაც მარტინ რეიმს მივმართეთ. სხვათა შორის, რეიმი ესტონეთის ნაკრების ყოფილი მცველია, ეროვნულში 157 მატჩი აქვს ჩატარებული, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მარტინ რეიმი ნაკრებში თამაშის დროსაც ყოფილა ქართველების წინააღმდეგ, მწვრთნელის ამპლუაში კი პირველი დაპირისპირება დღეს უწევს.

- „დინამოს“ წარსულზე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე ახლანდელ გუნდზე. მეტოქეს მდიდარი ისტორია აქვს, მაგრამ არ ვიცი, დღეისათვის რა დონის გუნდი ჰყავთ. მასპინძელი „დინამოა“ და ფავორიტი როლშია. ვიცი, რთული მატჩი გველის, მაგრამ ყველანაირად შევეცდებით, რომ ტალინში საპასუხო მატჩამდე მცირე შანსი არ გვქონდეს.

**- გამოიყენებთ თუ არა თანამემამულეთა წინააღმდეგ ქართულ კოზირს, ზაქარია ბეგლარიშვილს?**

- ბეგლარიშვილი ტექნიკური ფეხბურთელია და მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. მეტოქის წინააღმდეგ ამ ქართული კოზირის გამოყენება ნამდვილად მინდა, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია ხვალ ის ძირითადში იქნება თუ არა.

**- ნაკრებში თამაშით რეკორდსმენი ხართ, ქართველების წინააღმდეგაც გითამაშიათ. ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე თუ გაქვთ ნათამაშები?**

- საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ კი მითამაშია, მაგრამ ამ სტადიონზე არასდროს. ერთ-ერთი ბოლო მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა ტალინში, ის შეხვედრაც ვითამაშე. ფეხბურთელობისას არაერთხელ ვყოფილვარ ქართველების მეტოქე, მწვრთნელის რანგში პირველად მიწევს ქართულ ფეხბურთთან დაპირისპირება და მინდა, რომ ორი მატჩის ჯამში წარმატება ჩვენს მხარეს იყოს.

**- როგორც გავიგე „დინამოს“ ერთი მატჩის ვიდეოფირი გინახავთ. რა დასკვნა გააკეთეთ?**

- საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის ვიდეოჩანაწერი ვნახე, ის მატჩი „დინამომ“ 4:1 მოიგო. მეტოქე ახალგაზრდული გუნდია, იბრძვის და არაერთი ტექნიკური ფეხბურთელი ჰყავს.

**- როგორ ფიქრობთ, მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის, რა ფაქტორი იქნება გადამწყვეტი?**

- მონდომება, მობილიზება და გამართლება. „დინამოს“ ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს და ამ კომპონენტში გაგვიჭირდება. თუმცა ვფიქრობ, ამ ბარიერის გადალახვა არცერთი გუნდის შესაძლებლობებს არ აღემატება.

ესტონელების შემდეგ გუნდი „დინამოს“ თავკაცმა **კახა კაჭარავამ** ავარჯიშა. თვალში საცემია ის, რომ „დინამოში“ არაერთი ახალი სახეა - დუბლებიდან მთავარ გუნდში გადმოყვანილი ფეხბურთელები, რომლებსაც ისრაელიდან დაბრუნებული **ლევან ხმალაძე** და თბილისის „ლოკომოტივიდან“ დამატებული თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი** შეემატნენ.

„დინამოში“ დაბრუნებული ლევან ხმალაძე ოპტიმისტურად არის განწყობილი და კომენტარშიც ეს პოზიცია დააფიქსირა.

*„მიუხედავად იმისა, რომ გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დავსუსტდით. რამდენიმე მოთამაშე დაგვემატა და „დინამო“ ახლაც სერიოზული ძალას წარმოადგენს. ჩვენი მიზანი არა მხოლოდ ამ ბარიერის, არამედ მომდევნო ეტაპების გადალახვაა. „ფლორასთან“ იოლი მატჩები ნამდვილად არ გველის, მაგრამ ამ ეტაპის გავლა ნამდვილად შეგვიძლია და სწორედ საამისოდ ვიბრძოლებთ“.*

ტალინელებთან რთულ მატჩებს ელის „დინამოს“ თავკაცი კახა კაჭარავაც.

*„მართალია, გასული სეზონის შემდეგ წამყვანი ფეხბურთელი გამოგვაკლდნენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები დავიმატეთ. იმედი მაქვს, ის ფეხბურთელები, რომლებიც ესტონელებთან მატჩებში ითამაშებენ, ყველაფერს გაიღებენ გამარჯვებისთვის. ორი აზრი არ არსებობს, „ფლორასთან“ რთული მატჩები გველის, მაგრამ ეს ბარიერი უნდა გადავლახოთ“...*

გიორგი ლორია, ბექა შეყრილაძე, გიორგი მამუჩიშვილი, ლევან კაკუბავა, გიორგი თექთურმანიძე, ნიკოლოზ ფირცხალავა, გიგა წენგუაშვილი, გიორგი ზვიადაძე, ირაკლი ლექვთაძე, ედნილსონი, ლაშა ჩადუნელი, დონალდ ჯიუსი, ირაკლი სიხარულიძე, ლევან ხმალაძე, გულვერდ თომაშვილი, გიორგი გველესიანი, გიორგი კახელიშვილი, მათე ვაწაძე, ალექსანდრე კოშკაძე, ზვიად მეტრეველი - ეს ფეხბურთელები ემზადებოდნენ „ფლორასთან“ მატჩისთვის. როგორც ხედავთ ამ ჩამონათვალში არ არის ბრაზილიელი ნახევარმცველი **რობერტინიო**. როგორც გავიგეთ, რობერტინიოს ტრავმა აქვს და დღეს ტალინელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

დაბოლოს, დღეს, „დინამო“-„ფლორას“ მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება. თამაშზე დასასწრები ბილეთის ფასი 3 და 5 ლარია. შეხვედრას ებრაელი მსაჯები გაუძღვებიან, არბიტრი **ელი ახმნონი** იქნება. მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს „პირველი არხი“ გადასცემს.

**დავით ცაბაძე**

საკონტროლო მატჩი

# ვანგა საქართველოშია

## რუსთაველებმა ურეკში სამტრედია დაამარცხეს

რუსთავის „ოლიმპმა" გუშინ ურეკში პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა. საქართველოს ჩემპიონი „სამტრედიას" შეხვდა და 4:1 დაამარცხა. პირველ ტაიმში ანგარიში **დავით ბოლქვაძემ** გახსნა. ამის შემდეგ, თავი **ირაკლი მოდებაძემ** გამოიჩინა. ტაიმის ბოლოს მოწინააღმდეგის კარი **დენის დობროვოლსკიმ** აიღო.

მეორე ნახევარში **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ** „სამტრედია" მეოთხედ დაამწუხრა. საბოლოო ანგარიში ზუგდიდის „ბაიადან" „სამტრედიაში" დაბრუნებულმა **პაატა ბაკარანძემ** დააფიქსირა - 4:1.

ოლიმპი: **ბედიაშვილი - ღონღაძე, კვახაძე, ქემოკლიძე, ჯაფარიძე - ჭედია, რაზმაძე, ბოლქვაძე, დობროვოლსკი, გენაძე - მოდებაძე.** შეცვლაზე ითამაშეს: **ბათიაშვილი, რეხვიაშვილი, ხიდეშელი, დოლიძე, ჭელიძე, გიგაური.**

როგორც ხედავთ, შემტევი ნახევარმცველი გიორგი ხიდეშელი ჯერჯერობით კლუბში რჩება, „სიონიდან" დაიმატეს **რევაზ ქემოკლიძე**, ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" თავდამსხმელი მოდებაძე, თბილისის „ლოკომოტივიდან" კი - ნახევარმცველი **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე.**

რუსთაველებს დიდი სურვილი აქვთ, თბილისის „დინამოს"ყოფილი თავდამსხმელი **ჟორჟ აკირემი** დაიმატონ, მაგრამ მისი ასავალ-დასავალს ვერ მიაკვლიეს. რაც შეეხება კენიის ნაკრების თავდამსხმელ **ალან ვანგა ვატენდეს**, კენიელი თავდამსხმელი საქართველოში გუშინ ჩამოვიდა და მაშინვე ურეკში „ოლიმპს" შეუერთდა. საინტერესოა, რომ ამ ფეხბურთელს 2009 წელს ბუნდესლიგური „ჰოფენჰაიმი" იწვევდა.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# სანდრო იაშვილი შახტიორშია

გასული სეზონის დასრულების შემდეგ, ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის" თავდამსხმელმა **სანდრო იაშვილმა** კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. იაშვილმა ისევ უცხოეთში ჩაიფიქრა ძალების მოსინჯვა. გუშინ გაცხადდა, რომ ეს 25 წლის თავდამსხმელი ყაზახეთში, ყარაღანდის „შახტიორში" ტესტირებაზე. ყაზახურ ვებგვერდ sports.kz-ს ინფორმაციით, ყარაღანდის „შახტიორში" სამი ფეხბურთელია სინჯებზე - ფრანგული „ბასტიას" აღზრდილი, კამერუნელი საყრდენი ნახევარმცველი **პოლ ესოლი**, ამსტერდამის „აიაქსის" აღზრდილი თავდამსხმელი **ბიტო სენდლეი** და ქართველი ფორვარდი სანდრო იაშვილი, რომელიც საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპამდე" მახაჩყალის „ანჟიში", თბილისის „დინამოში" და შვეიცარიულ „თუნში" გამოდიოდა. ცნობისათვის, პოპულარულ ვებგვერდ transfermarkt.de-ს მიერ სანდრო იაშვილი 325 ათას ევროდ არის შეფასებული.



სანდრო იაშვილი

საქმე ის არის, რომ ყარაღანდის „შახტიორი" გასული სეზონის ბრინჯაოს პრიზიორია და ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში დღეს პოლონეთის „რუხს" მასპინძლობს. **ვლადიმირ ჩებურინის** გუნდი პოლონელებთან მატჩისთვის ემზადება და ტესტირებაზე მყოფი ფეხბურთელების ბედს „რუხთან" მატჩის შემდეგ გადაწყვეტს.

დაბოლოს, ყაზახეთში მიმდინარე ჩემპიონატში ყარაღანდელთა გუნდი 33 ქულით მე-3 ადგილზეა და წინა ორ გუნდს, „ტობოლსა" და „ირტიშს" შესაბამისად 2 და 1 ქულით ჩამორჩება. ყარაღანდის „შახტიორისთვის" ქართველი უცხო ნამდვილად არ არის. 2 წლის წინათ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** იყო. მას მერე ამ გუნდში ორი ქართველი მოთამაშე ნახევარმცველი **ლაშა ნოზაძე** და თავდამსხმელი **ლევან მელქაძე** გამოდიოდა.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# ფანცხავამ და ლორთქიფანიძემ დიორი ეტო დატოვეს

ქართველებმა „დიორ ეტოს" გუშინ ორი ქართველი ფეხბურთელი გამოეთხოვა. უნგრეთის ბრინჯაოს პრიზიორი კლუბის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, „დიორ ეტოსთან" კონტრაქტი განწყვიტეს 19 წლის ნახევარმცველმა **დავით ლორთქიფანიძემ** და 21 წლის თავდამსხმელმა **ვახტანგ ფანცხავამ**. შეგახსენებთ, რომ ფანცხავა, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებშიც არაერთხელ იყო გამოძახებული, უნგრულ კლუბში მიმდინარე წლის თებერვალში უკრაინელი, ხარკოვის „მეტალისტიდან" გადავიდა. მანამდე კი ფრანგულ „ლე მანის" ჭაბუკთა გუნდში ასპარეზობდა. ვახტანგ ფანცხავამ უნგრეთის ჩემპიონატის გასულ სეზონში, „დიორ ეტოში" 5 მატჩი ჩაატარა და ბურთი არ გაუტანია.

რაც შეეხება დავით ლორთქიფანიძეს, ის უნგრეთში გადაბარგებამდე „ვიტ ჯორჯიას" ახალგაზრდულ გუნდში იყო. განვლილ ჩემპიონატში „დიორ ეტოს" სარეზერვო გუნდში გამოდიოდა.

ვახტანგ ფანცხავა და დავით ლორთქიფანიძე უკვე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობენ. თუმცა სად გააგრძელებენ კარიერას, ეს ჯერჯერობით უცნობია. ფანცხავასა და ლორთქიფანიძის წასვლის შემდეგ, "დიორ ეტოში" კი 5 ქართველი ფეხბურთელი დარჩა - მეკარე **გიორგი ბახტაძე**, მცველი **ლაშა თოთაძე**, ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა** და თავდამსხმელები **რატი ალექსიძე** და **თემურ შარაშენიძე**.

**დავით ცაბაძე**

# ოლიმპამდე მარტვილი

**რამაზ მუმლაძის** მიერ დამოძლვრილი ქუთაისის „ტორპედო" ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადებას განაგრძობს. „სამტრედიასთან" ამხანაგური პაექრობის შემდეგ ქუთათურები ჩემპიონ „ოლიმპთანაც" მოსინჯავენ ძალებს. ეს მატჩი ადრე დაანონსებული 30 ივნისის ნაცვლად 6 ივლისს ქუთაისში გაიმართება. დღეს კი ქუთათურები საკუთარ არენაზე მარტვილის „მერანს" მიიღებენ და ამხანაგურად გაეჯიბრებიან.

შესაძლოა ამ მატჩისთვის რიონისპირელებს მეკარე **მაქსიმე ქვილითაია** შეუერთდეს. მას შემდეგ რაც გადაწყდა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება და „ლოკომოტივს" რანგით დაბალ ლიგაში მოუწევს ასპარეზობა, საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე თბილისურ კლუბში აღარ დარჩება. „ტორპედოს" პრესატაშე **რამაზ ჩხიკვაძის** თქმით, ქვილითაია, ჯერჯერობით, ქუთაისურ გუნდში არ გამოჩენილა, თუმცა, დიდი შანსია, რომ კარიერა სწორედ „ტორპედოში" გააგრძელოს.

თუ ქვილითაიას საკითხი დადებითად გადაწყდა, **თენგიზ ჩიკვილაძის, გიორგი დათუნაიშვილის, დაჩი ფოფხაძის, თორნიკე თარხნიშვილის, ნოდარ მაჭავარიანის, ზაურ ხაჭიპერაძისა** და **ნიკა კვასხვაძის** შემდეგ იგი ქუთაისელთა მორიგი შენაძენი იქნება. რაც შეეხება **გიორგი (პაჭელოს) ჭელიძეს**, რომელმაც „ტორპედოს" რიგებში „სამტრედიის" წინააღმდეგ ითამაშა, მან იმავე დღეს დატოვა ქუთაისური გუნდი და ზუგდიდის „ბაიას" შეუერთდა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



თავისუფალი ჭიდაობა



გიორგი საკანდელიძე

ევროპის ახალგაზრდული პირველობა

# საკანდელიძის საქართველო ბულგარეთია

ბულგარულ სამოკოვოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე დღე პირველზე ცოტათი წარუმატებელი აღმოჩნდა. **ნუგზარ სხირელის** შეგირდები ურიგოდ არც გუშინ გამოსულან - თითო ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს, მაგრამ მათი გუშინწინდელი მონაგარი უფრო ხვავრიელია - სამივე სინჯის თითო მედალი. შეგახსენებთ, რომ პირველ დღეს ახალგაზრდულ პირველობაზე **დავით ხუციშვილმა** (74) გაიმარჯვა, ვერცხლი **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60) დაიმსახურა, ბრინჯაო - **ლაშა ტალახაძემ** (50). გუშინ ჩემპიონი მძიმეწონოსანი **გიორგი საკანდელიძე** გახდა, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) კი ფინალში დამარცხდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მესამეზე გავიდნენ რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.

საკანდელიძე კვლავაც განაგრძობს შარშან დაწყებულ ჩინებულ სეზონს, თუმცა რაღაც უცნაური ბედისწერით: მან წლეულს უცხოეთში გააკეთა ის, რაც შარშან მშობლიურ კედლებში ვერ შეძლო. შეგახსენებთ, რომ 2009 წლის ახალგაზრდულ ევროპირველობას თბილისმა უმასპინძლა, საკანდელიძე კი ფინალში გვარიანად გადაზრდილ რუსთა ოს წარმომადგენელ **ალან ხუგაევთან** დამარცხდა. ფინალში მისი მეტოქე ამჯერადაც ოსი იყო, ოღონდ ამჯერად აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **ასლან ძებისოვი**, ვინც შარშან თბილისში მესამეზე გავიდა.

ბარემ აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშან საკანდელიძემ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ვერცხლი მოიპოვა, ახლა კი ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა ძირითად დროში დაასრულა. ამათგან შედარებით თანაბარი ბრძოლა მხოლოდ თურქმა **ტაჰა აკგულმა** გაუმართა, რომელსაც ჩვენებურმა პირველი პერიოდი 1:0 მოუგო, მეორე კი 1:1 დასრულდა, მაგრამ საკანდელიძემ ბოლო ქულის დამსახურებით მოუგო. ჩვენებურმა ბევრად იოლად აჯობა ბულგარელ **დანიელ იანკოვს** და უკრაინელ **მურადინ კუშკოვს**. საკანდელიძეს დიდად არც ფინალში გასჭირვებია და ორი პერიოდის ჯამში 4:2 გაიმარჯვა.

ხინჩეგაშვილი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორია, ოღონდ ის მედლები 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა, თანაც - 2008 წელს. სხვათა შორის, მაშინ ის პარალელურად ჭაბუკთა ნაკრების წევრიც იყო და იქაც გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო საქართველოს პირველობაზე ორივე ასაკში გაიმარჯვა. მიზეზთა გამო, მას 55-ში ადაპტაცია ძალიან გაუჭირდა და შარშანდელი სეზონი პირწმინდად ჩააგდო. ეტყობა, კრიზისი უკვე დასძლია და ახალ წონაში პირველი მედალიც მოიპოვა. ყოველ შემთხვევაში, იმედი ვიქონიოთ, რომ კრიზისი მართლაც საბოლოდაა დაძლეული.

ხინჩეგაშვილი ფინალში ძლევამოსილად გავიდა - ყველა შეხვედრა ძირითად დროში მოიგო, ფინალი კი აზერბაიჯანელ **ტოგრულ ასგაროვთან** დამატებით დროში დათმო. ჩვენებურმა ყველაზე მეტად მაინც რუმინელი **დავიდ დობრე** და სომეხი **ვალოდია ფრანგულიანი** დაჯაბნა, რომლებსაც დიდი უპირატესობით სძლია. შედარებით მოკრძალებული სხვაობა აკმარა თურქ **იბრაჰიმ იორულმაზსა** და რუსთა აფხაზ **რუსტამ ამპარს**, თუმცა აფხაზს ერთი პერიოდი 4:0 მოუგო. სამწუხაროდ, ხინჩეგაშვილს ფინალში წარმატების მისაღწევად ძალა აღარ ეყო ჩინებულად მოჭიდავე აზერბაიჯანელთან, თუმცა პირველი პერიოდი თავის სასარგებლოდ დაასრულა - 5:3.

ასგაროვმა ტურნირზე ერთით ნაკლები - 4 შეხვედრა ჩაატარა და, ფინალის გარდა, დანარჩენი სამში ძირითადი დრო იმყოფინა. უფრო საინტერესო ისაა, რომ ამ სამ შეხვედრაში გამართული ექვსი პერიოდიდან ხუთი ვადამდე, ანუ ქულათა დიდი უპირატესობით ან წმინდა გდებით მოიგო. პირველი ორი მეტოქე სწორედ ასე გააკრა ბეჭებზე, პირველი ქულა კი ნახევარფინალში უკრაინელ **იგორ ხავალძისთან** დაკარგა, როცა ერთ პერიოდში მხოლოდ 5:1 სძლია და არა - ჩვეული ტრიუმფით. აზერბაიჯანელს ყველაზე სერიოზული წინააღმდეგობა მაინც ხინჩეგაშვილმა გაუწია, რომელმაც ერთი პერიოდი იძალა კიდეც: სამწუხაროდ, მომდევნოებში უპირატესობა დათმო და ზედიზედ წააგო ორივე, რის გამოც გორელი ფალავანი ვერცხლს დასჯერდა.

გუშინ კიდევ ორი ჩვენებური ჭიდაობდა, მაგრამ ისინი დამარცხდა - **დავით ტლაშაძე** (66) და **დავით მარსაგიშვილი** (84). ამათგან უფრო მოულოდნელი ევროპის შარშანდელ ვიცეჩემპიონისა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ მარსაგიშვილის წაგებაა. მეტიც - ბალავაძის ტურნირზე მოპოვებული ვერცხლისა და დამაჯერებელი ჭიდაობის ფონზე ეს პატარა შოკიც კი იყო. პირველ წრეში ის ისვენებდა, მეორეში კი უნგრელ **ატილა შმიკთან** დამარცხდა. არადა, პირველი პერიოდი ჩვენებურმა მოიგო - 4:3. უნგრელი არაა იმ დონის მოჭიდავე, ფინალში გასულიყო და ქართველისთვის სანუგეშოში გადართვის შანსი მიეცა. მადიარმა მომდევნო შეხვედრა წააგო და მარსაგიშვილი ჩემპიონატს დაემშვიდობა.

ერთი შეხვედრა მოიგო ტლაშაძემ - ლატვიელ **ალექსანდრს პომიალოვსთან**, მაგრამ მერე ბელარუსმა **ანტონ აფანასეუსმა** აჯობა და რაკი ესეც მალევე წამოეგო მომდევნო მეტოქის ფანდზე, ჩვენებური კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა.

**ირაკლი თავაძე**

ტყვიის სროლა

მსოფლიოს თასი

# ორმაგი წარმატება ბელგრადში

წლევანდელი მსოფლიოს თასის ეტაპებზე **ნინო სალუქვაძემ** პირველი მედალი და ამასთან, მსოფლიოს სუპერთასის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა. ეს ბელგრადში მიმდინარე მსოფლიოს თასის ბოლო - მეოთხე ეტაპზე მოხდა, სადაც ჩვენებურმა გუშინ სპორტული პისტოლეტით ისროლა და ბრინჯაოს „გაარტყა". მართალია, სუპერფინალის ლიცენზიას მხოლოდ პირველ-მეორე ადგილებზე გასულები იღებენ, მაგრამ ტურნირის გამარჯვებულს, ბულგარელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მარია გროზდევას** და ფრანგ ვერცხლის მედალოსან **სელინ გობერვილეს** იგი მოპოვებული ჰქონდათ და, წესისამებრ, ამოქმედდა ადგილმონაცვლეობის პრინციპი.

ბელგრადული შეჯიბრება ჩვენმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა სტაბილურად ჩაატარა - შესარჩევი ეტაპიც მესამე ადგილზე დაასრულა, ფინალური სერიაც და მთლიანად ტურნირიც.

შესარჩევში სალუქვაძემ უფრო ძლიერად პირველი ნახევარი ჩაატარა, სწრაფ სროლებში კი ოდნავ გააუარესა შედეგი. ტურნირი კი მართლაც მშვენივრად დაიწყო და რომ არა ერთი ნავსიანი 9-იანი პირველივე სერიაში, ასპროცენტიანი შედეგი ექნებოდა, ისე კი 99 ქულა დააგროვა. სამწუხაროდ, მომდევნო სერიებში ოდნავ მოუკლო შედეგიანობას - 97 და 98 დააგროვა და ეს ნახევარი 294 ქულით დაამთავრა. სწრაფ სროლებში 96, 97 და 99 გააკეთა, ეს სერია 292-ით დაამთავრა და ჯამში 586 ქულა მოუგროვდა. ამდენივე აღმოაჩნდა ბულგარელ **ანტოანეტა ბონევას**, მაგრამ მან დამატებით სროლებში ერთი ქულით აჯობა ჩვენებურს და მეორეზეც გავიდა, სალუქვაძე კი მესამეზე დარჩა. საკვალიფიკაციო 588 ქულით გამარჯვება გობერვილემ მოიპოვა, ჩვენებურს კი 585 ქულით კვალში ნაკლებად ცნობილი იაპონელი **იუკარი მორი** და პოლონელი **სლავომირა სცეპკი** ჩაუდგნენ. 584 ქულით მეექვსე სერბი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი** იყო, ყველა ტურნირის ფავორიტი გროზდევა კი ამდენივე ქულით მხოლოდ მეშვიდეზე „თვლემდა". ფინალურ ოქტეტს წლევანდელ მსოფლიოს თასებზე თავგამოჩენილი ყაზახი **ზაურეშ ბაიბუსინოვა** კეტავდა.

როგორც ხშირად ხდება, გროზდევამ ფინალში გამოიღვიძა და 206,7-ით პირველ ადგილზე ისკუპა. ფინალში მეორე შედეგი ფრანგს აღმოაჩნდა - 202,6, მესამე კი სალუქვაძეს - 202,3. საბოლოოდ, გროზდევამ ჯამში 790,7 ქულა დააგროვა და კონკურენტებისთვის მიუწვდომელი გახდა. გობერვილეს 790,6 ჰქონდა, რითაც დუბლის გაკეთების შანსი დაკარგა - პირველიდან მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. სალუქვაძემ ჯამში 788,3 მოაგროვა და ბრინჯაოსთან ერთად სუპერფინალის საგზური მიიღო. მეოთხეზე სეკარიჩი გავიდა 786.0-ით, მეხუთე კი ბონევა იყო 785,8-ით.

სალუქვაძე ფინალში პნევმატური პისტოლეტიდან სროლაშიც გავიდა, მაგრამ მეტი ველარ შეძლო - 481,7-ით მერვე ადგილზე გავიდა. აქ ჩემპიონი გობერვილე გახდა - 487,5, ვერცხლი ბონევამ მოიპოვა 487,4-ით, ბრინჯაო კი უკრაინელმა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ოლენა კოსტევიჩმა** ირგუნა 487,3-ით.

ბელგრადში პნევმატური იარაღიდან **ლევან ქადაგიძემაც** ისროლა. მან საკუთარი რეკორდი ვერც ახლა გაიმეორა, მაგრამ ადრინდელივით სტაბილური შედეგი ჰქონდა. მეტიც - ახლა ცოტა უკეთ ისროლა, ვიდრე წინა ანალოგიურ ტურნირზე ამერიკულ ფორტ ბენინგში და მაშინდელი მაჩვენებელი სამი ქულით გააუმჯობესა - 568 ქულა დააგროვა. ასეთივე შედეგი მსროლელთა დიდ ჯგუფს აღმოაჩნდა, თუმცა ქადაგიძე მათთან დამატებით სერიაში დამარცხდა და საბოლოოდ 84 მონაწილეს შორის 63-ე ადგილზე გავიდა.

წლევანდელი მსოფლიოს თასები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ტურნირებია. მისასალმებელია, რომ ასეთი დიდი შეჯიბრების წინ სალუქვაძემ მედალი მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს პირველობა ამ სახეობაში ოლიმპიური პრინციპით - ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და წესისამებრ, მუდამ სალიცენზიოა. გამონაკლისი არც წლევანდელი ჩემპიონატი იქნება, რომელიც აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე მიუნხენში გაიმართება. ცოტა მოგვიანებით - ოქტომბრის ბოლო კვირაში იგივე ქალაქი მსოფლიოს თასის ფინალურ ტურნირსაც უმასპინძლებს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოხიანი ჭიდაობები

# კურაში საქართველოში

გავრცელდა ინფორმაცია, რომ წლეულს საქართველოში უნდა გაიმართოს საერთაშორისო შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობასა და პარალელურად უზბეკურ ჭიდაობა კურაშში. ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ამ ღონისძიების გამართვის თარიღი.

ცოტა რამ კურაშის შესახებ:

10 წლის წინათ, 2000 წელს შეიქმნა კურაშის საერთაშორისო ფედერაცია და მასში 115 ქვეყანაა გაერთიანებული. სხვათა შორის, იმავე 2000 წელს შეიქმნა საქართველოს კურაშის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტი ცნობილი ვეტერანი ძიუდოისტი **ამირან ობგაიძეა.**

უზბეკური კურაშის მსგავსად, აზიის რეგიონებში ტრადიციული ჭიდაობებია: ყაზახეთში - კურესი, ბაშკირეთსა და თათრეთში - კურიაში, ტუვაში - კურეში.

ჭიდაობა კურაშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტია **კამილ იუსუპოვი** (უზბეკეთი). შტაბბინა ტაშკენტშია.

საშინაო შეჯიბრებებში უზბეკური ზოლიანი ხალათი და ე.წ. კუშაკი შესაძლებლობას აძლევს კურაშის მოჭიდავეებს, შეასრულონ სხვადასხვა ჩავლება. ილეთის შემსრულებელი ცდილობს, დარჩეს ფეხზე. მოგებად ითვლება, როცა მეტოქე შეეხება სარბიელს.

ჭიდაობის დრო განსაზღვრული არ არის. მოჭიდავე იბრძვის მანამ, სანამ მაყურებელთა შორის არ მოიძებნება მისი მეტოქე.

კურაშს ამშვენებს უზბეკური მუსიკის ჰანგები. უკრავენ გრძელტარიანი ჩასაბერი ინსტრუმენტებით. ჭიდაობის დროს აკრძალულია მახრჩობელა ილეთები.

ჭარმაგი მსაჯები სასტვენის გარეშე, შეძახილებით წარმართავენ შერკინებებს.

საერთაშორისო კურაშის წესებში, რა თქმა უნდა, შეტანილია გარკვეული ცვლილებები, ჭიდაობა მუსიკის გარეშე, განსაზღვრული დროით და რამდენიმე სარბიელზე.

მსოფლიოს პირველობა კურაშში ერთ წელიწადს მოზრდილთა შორის ტარდება, მომდევნო წელს კი ახალგაზრდები ცდიან ძალებს.

ევროპის ჩემპიონატი კი ყოველწლიურად იმართება. საერთაშორისო ტურნირები ეწყობა საბერძნეთში, ინგლისში, უზბეკეთში, ყაზახეთში, აფრიკაში, მონღოლეთში. იმართება პანამერიკული შეჯიბრებაც. ხშირია ტურნირები აზიაში.

ქართველი მოჭიდავეებიდან კურაშის კომერციულ ტურნირებში უცდიათ ძალა **დავით ხახალეიშვილს, ალექსი დავითაშვილს, ზვიად ხანჯალიაშვილს, რამაზ ჩოჩიშვილს, გიორგი წმინდაშვილს, მინდია ბოდაველს...**

ოფიციალურ შეჯიბრებებში ქართველი მოჭიდავეებიდან ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია მცხეთელმა სამბისტმა, მსოფლიოს ჩემპიონმა (1993) **არჩილ ჩოხელმა**, რომელმაც 2002 წლის სექტემბერში ერევანში კურაშშიც მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა (73 კგ). მაშინ მესამე იყო გორელი **ნიკოლოზ ბიბილაშვილი** (81 კგ).

2008 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო პირველობა მოიგო **გიორგი იაძემ** (აბსოლუტური). მანვე მოზრდილთა შორის 2009 წელს ალუშტაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონატზე (81 კგ).

სალონიკიში 2009 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა საჩხერელი **არსენ მაჭარაშვილი** (60 კგ). 2009 წელსვე ალუშტაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა **ჯაბა მჭედლიშვილმა** (60 კგ). ევროპის ჩემპიონია **ირაკლი ჯავახაძე** (2009 წ. 100 კგ). მართალია, უმდიდრესი არსენალის მქონე ქართულ ჭიდაობას კურაში ვერაფერს შემატებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენს მოჭიდავეთა ყულაბაში დაგროვდება კურაშში მოპოვებული მედლები...

**გაბრიელ ბარჯაძე**



ჩოგბურთი

## ახალგაზრდების ევროპული მარშრუტები

თბილისის ორ საერთაშორისო ტურნირში ამას წინათ 12 ქვეყნის 14-16 წლის ჩოგბურთელები ცდიდნენ ძალებს. მასპინძელთაგან პაექრობებში ყველა უძლიერესმა მიიღო მონაწილეობა. ეს შეჯიბრებები მათთვის შესაძლებლობების ბოლო შემოწმება იყო ევროპის პირველობების წინ, რომლებიც 19-25 ივლისს გაიმართება. 14-წლიანებს ჩეხეთი უმასპინძლებს. ქართველთაგან **ლიზი ნადიბაიძე, ირინე ყარანგოზიშვილი, შოთა მეფარიძე** და **ალექსანდრე ბაკში** დაუპირისპირდებიან თანატოლებს. 16-წლიანები მოსკოვში მოიყრიან თავს. რუსეთის დედაქალაქში მედლებისთვის **ანი გოგვაძე, ბარბარე ერისთავი, ნიკა დოლიძე** და **მიხეილ ხმიადაშვილი** იბრძოლებენ. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ კონტინენტის ჩოგბურთის ასოციაციის მიწვევით დოლიძე და ერისთავი ევროპის ნაკრების სხვა წევრებთან ერთად მიუნხენში ათდღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, აგვისტოს ბოლომდე კი გერმანიასა და ჩეხეთში 4 საერთაშორისო ტურნირში გაეჯიბრებიან თანატოლებს.

18-წლიანთა პაექრობა შვეიცარიაში გაიმართება. იქ მხოლოდ ერთი წარმომადგენელი გვეყოლება — **გიორგი ცივაძე**. ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელები კონტინენტის პირველობებისთვის მონდომებით ემზადებიან.

**ვაჟა დანელია**

## ყველამ წააგო

ვერ არის კარგ ფორმაში საქართველოს მე-2 ჩოგანი **ოქსანა კალაშნიკოვა** (160). უიმბლდონის ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე ხელის მოცარვის შემდეგ ჩვენებურმა ორ შვედურ ტურნირზე ვერ იყოჩაღა. გუშინ ისტადში ოქსანა (რომელიც მე-3 ნომრად იყო განთესილი) ისრაელის წარმომადგენელ **იულია გლუშკოსთან** (346) დამარცხდა - 0:6, 6:4, 2:6. ამავე ეტაპზე წააგო **სოფიო ქვაცაბაიამ** (426), რომლის მეტოქეც მე-7 ნომრად განთესილი სლოვაკი **ლენკა ვიენეროვა** (284) იყო - 1:6, 6:3, 1:6. არადა, ჩვენებურებს რომ ემარჯვათ, ისტადში ქართულ მეოთხედფინალს ვიხილავდით. ისინი ტურნირის წყვილთა ბადესაც დაემშვიდობნენ, კალაშნიკოვასა და **შეიდი ელ ტაბახის** (კანადა) წყვილი მე-2 ნომრად იყო განთესილი, მათ მეოთხედფინალში უკრაინელებთან (**ტატიანა არეფიევა, ანასტასია ლიტოვჩენკო**) დათმეს - 0:6, 3:6. მე-4 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ და **ვივიან სენინიმ** (ბრაზილია) ამავე ეტაპზე რუსულ-ბრაზიურ დუეტთან (**კარინა პიმკინა, ფერნანდა ერმენეჟილდო**) წააგეს - 1:6, 4:6. შეგახსენებთ, რომ ისტადის „სვედიშ ლეიდის ოუფენი" 25-ათასიანი ტურნირია.

პოლონეთის ქალაქ ტორუნში (25 ათასი დოლარი) მოულოდნელად პირველივე წრეში წააგო **მანანა შაფაქიძემ** (400), მან საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულ მასპინძელ **ბარბარა სობაშკიევიჩს** (883) ვერაფერი დაუპირისპირა - 1:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალხტომა



შოთა კორახაშვილი (მარცხნივ) და ჭოლა ჭანტურია

## ეტაპი მეხუთე, ადგილი მეექვსე

შარშან ტურინში წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა სპორტსმენებმა — **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა** სინქრონულ ხტომებში მე-9 ადგილი დაიკავეს — მცირედი დააკლდათ ფინალში შესასვლელად. მაშინ ნაკრების მწვრთნელმა, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ირაკლი ბართაიამ** გვითხრა, რომ საკმაოდ ნიჭიერი ბიჭები გვყავს და მათ ამგვარი ასპარეზობის არა მარტო ფინალში მოხვედრა, არამედ ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებაც ხელეწიფებათო. ჭანტურიამ და კორახაშვილმა მწვრთნელის ვარაუდი ორიოდე დღის წინ 2010 წლის მსოფლიოს გრან-პრის სერიების მე-5 ეტაპზე დაადასტურეს. შეჯიბრებას იტალიელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის — **კლაუს დიბიასის** მშობლიურმა ქალაქმა ბოლცანომ უმასპინძლა. საპრიზო ადგილებისთვის 19 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ. ჩვენმა დუეტმა გრან-პრის წინა ოთხი ეტაპი (გერმანია, რუსეთი, კანადა, ამერიკა) ჭანტურიას ტრავმის გამო გამოტოვა. აპენინური ბატალიებისთვის ბიჭები ვაკის საცურაო აუზში გულდაგულ მოემზადნენ. შედეგმაც არ დააყოვნა — სინქრონულ ხტომებში ჩვენებმა მე-6 ადგილი დაიკავეს. პირველ ადგილზე ჩინელები — **ლუ იუტონი** და **ლინ ჯინი** გავიდნენ. მეორე ადგილი ევროპის შარშანდელ ჩემპიონებს — **ილია კვაშას** და **ალექსეი პროხოროვს** (უკრაინა) ხვდათ. ფრანგები — **მათეუს როსეტი** და **დამიან სელი** მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ქართველებს, ასევე, იტალიელმა ძმებმა — **ტომაზო** და **ნიკოლა მარკონებმა**, მექსიკელმა **იაელ კასტილიომ** და **ოსირის ორგოტემ** გაუსწრეს.

— შეგირდების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, — მითხრა ირაკლი ბართაიამ. — იმის მიუხედავად, რომ თითქმის ორი თვე გაუცდათ, ბოლო ვარჯიშებსა და გრან-პრის გათამაშებაზე შესაშური მონდომება გამოიჩინეს. შარშან ევროპის ჩემპიონატზე სინქრონულ ხტომებში 353 ქულა მოაგროვეს, ბოლცანოში კი 365,2 ქულით გავიდნენ მეექვსე ადგილზე. გაუსწრეს ბერძნებს, შვედებს, პოლონელებს, რომლებმაც კონტინენტის პირველობაზე გვაჯობეს. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც 6-14 აგვისტოს ბუდაპეშტი უმასპინძლებს, სავარაუდოდ, 370-დან 380-მდე ქულას მოვაგროვებთ და ფინალში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს. ერთიც მინდა დავძინო: ბოლცანოში ასპარეზობის შემდეგ ჩვენთან მოვიდა კლაუს დიბიასი და ბიჭები შეაქო — თქვენი ასპარეზობა წელიწადია, არ მინახავს, ამ ხნის განმავლობაში ოსტატობა დაგიხვეწიათ და წინ წასულხართო...

ჭანტურიამ და კორახაშვილმა სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომებშიც იასპარეზეს. ჭოლამ მე-13, შოთამ კი მე-17 ადგილი დაიკავა. ჭანტურიას ბოლო ხტომა რომ არ გაეფუჭებინა, ფინალშიც მოსინჯავდა ძალებს.

გრან-პრის გათამაშებაზე არბიტრად იყო მიწვეული ირაკლი ბართაია, რომელმაც 10-დან 6 ფინალში იმსაჯა და დადებითი შეფასებაც დაიმსახურა.

ქართველი წყალმხტომელები 13-19 ივლისს მადრიში გრან-პრის VI ეტაპზე გამოვლენ, შემდეგ თბილისში გაივლიან ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას და ბუდაპეშტს გაემგზავრებიან.

უფრო ადრე ჩაებმებიან შეჯიბრებაში ახალგაზრდა წყალმხტომელები — 6 ივლისს ჰელსინკიში ევროპის პირველობა დაიწყება. ქართველთაგან იქ 16-წლიანებში 15 წლის **ალექსანდრე გუჯაბიძე** გამოვა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში, ხოლო თანატოლ **აკაკი ივანიშვილთან** ერთად 19-წლიანებში მოსინჯავს ძალებს 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში. ამავე ასაკში იასპარეზებს **თეონა ყაჭეიშვილიც**.

ქართველი წყალმხტომელების გრან-პრის მე-5 ეტაპზე გასამგზავრებელი ხარჯები ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გაიღო, ახალგაზრდა სპორტსმენებს კი ჰელსინკში საასპარეზოდ სპორტის დეპარტამენტი დააფინანსებს.

**ვაჟა დანელია**



პლაჟის ფრენბურთი

მსოფლიო ტური

## საქა-რთველომ მოგებით დაიწყო

ნორვეგიის ქალაქ სტავანგერში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ქალთა შეჯიბრებაში ჩვენმა წყვილმა **საქა-რთველომ** ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. ორი შეხვედრიდან ორივე მოიგო და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

პირველ მატჩში საქა-რთველომ იაპონური დუეტი **ტანაკა-მიძოე** დაამარცხა ორ სეტში 21:12, 21:15. მერე კი გადამწყვეტ შეხვედრაში მასპინძელთა წყვილ **სოლვოლი-ბერგეტის** მოუგო 2:0 (21:17, 23:21)

ძირითად ბადეში ჩვენი ფრენბურთელები, რომლებიც 21-ე ნომრად განთესეს, E ჯგუფში მოხვდნენ და ჯგუფური ტურნირის პირველ მატჩში მე-12 ნომრად განთესილ იტალიურ წყვილ **ჩიკოლარი-მენეგატისთან** დამარცხდნენ - 2:0 (16:21, 19:21). ამავე ჯგუფში ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილმა ამერიკულმა წყვილმა **ეკერსი-თერნერმა** 28-ე ნომრად განთესილ ჰოლანდიელებთან **ვესლენიკ-მეპელინკთან** წააგო ორ სეტში - 15:21, 15:21.

ჯგუფური ტურნირის დარჩენილ ორ შეხვედრას საქა-რთველო დღეს გამართავს. დღესვე ჩაებმება ვაჟთა ტურნირში **გეორ-გიაც**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

## ვახტანგ ქარსელაძის მემორიალზე

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა გამოჩენილი ქართველი მწვრთნელის **ვახტანგ ქარსელაძის** მემორიალი, რომელშიც 4 ასაკობრივი კატეგორიის 66 გუნდი (თითოეულში 3 ბიჭი და 1 გოგონა) მონაწილეობდა.

**8-წლიანებში** 7-დან 7 ქულით პირველი ადგილი **მზია წერეთლის** „პეგასმა" დაიკავა. გამარჯვებულს ქულა-ნახევრით ჩამორჩა **გიორგი ხომერიკის** „ამომავალი ვარსკვლავი", 5 ქულით მესამე იყო **გოჩა თორიას** „ნუგერი".

დანარჩენ ასაკებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**10-წლიანები.** 1. ნტნ-ი (მწვრთნელი, **დავით გურგენიძე**, 6 ქულა), 2. „პეგასი" (მზია წერეთელი, 6), 3. „აისი" (**გიორგი მაჭარაშვილი**, 5,5);

**12-წლიანები.** 1. „ამომავალი ვარსკვლავი" (გიორგი ხომერიკი, 6), 2. აისი" (გიორგი მაჭარაშვილი, 5,5), 3. „არწივი" (დავით გურგენიძე, 4,5).

**14-წლიანები.** 1. გიო-ლუკა (**გივი გოგიჩაიშვილი**, 7 ქულა), 2. „ანდრია" (გოჩა თორია, 5 ქულა), 3. „კომაროვი" (ციცინო კახაბრიშვილი, 5).

**ვაჟა დანელია**




მხატვრული ტანვარჯიში


მარცხნიდან: მერიემ ჯანტეზი, სალომე ფაჟავა, ელიზავეტა ბაქრაძე

საერთაშორისო ტურნირი

## ტრიუმფი ისტანბულ კაპზე

ახლახან სტამბოლში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში „ისტანბულ კაპ - 2010" რვა ქვეყნის 14 კლუბის სპორტსმენთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში, რომელშიც სხვადასხვა ასაკის სპორტსმენები გამოდიოდნენ, წარმატებით იასპარეზეს ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის ტანმოვარჯიშეებმა.

პრე-იუნიორებში, ანუ 1998 წელს დაბადებულ გოგონათა შორის მრავალჭიდში პირველობა არავის დაუთმო **ელიზავეტა ბაქრაძემ.** ის საუკეთესო იყო ბურთითა და გურზებით ვარჯიშშიც.

იუნიორების, ანუ 1997 წელს დაბადებულთა შეჯიბრებაში მრავალჭიდი **სალომე ფაჟავამ** მოიგო. პრე-იუნიორებისგან განსხვავებით, აქ თითოეული სპორტსმენი ოთხი საგნით ვარჯიშებში გამოდის. ფაჟავამ სამ მათგანში ოქროს მედალი მოიპოვა, ერთში კი ვერცხლს დასჯერდა.

ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის კიდევ ერთი აღზრდილი **მერიემ ჯანტეზი** უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეთა შორის შეჯიბრებაში მრავალჭიდში მეორე ადგილზე გავიდა. ცალკეულ სახეობებში კი მის მონაგარში ორ-ორი ოქრო და ვერცხლია.

„სტამბოლში გამართული ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. ჩვენი მეზობელი ქვეყანა მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს და ყოველი ახალი შეჯიბრება თურქებისთვის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ვფიქრობთ, ამ ტურნირში მონაწილეობა ჩვენი ტანმოვარჯიშეებისთვისაც სასარგებლო იყო. ვნახეთ, რა დონეზე არიან ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენი პოტენციური მეტოქეები. ვეცადეთ, ჩვენი შესაძლებლობებიც მაქსიმალურად წარმოგვეჩინა. შედეგით, ცხადია, კმაყოფილნი ვართ, მაგრამ პოტენციალი ჩვენს სპორტსმენებს გაცილებით მეტი აქვთ. ძალიან კარგი, ნიჭიერი თაობა მოვიდა.

ნელის სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემია ყველანაირ პირობას გვიქმნის წვრთნისა და შემდგომი დაოსტატებისთვის, თუმცა ვფიქრობთ, სპორტის ამ სახეობას ჩვენს ქვეყანაში უფრო მეტი ყურადღება, დახმარება სჭირდება" - თქვა მწვრთნელმა **ლალი დოლიძემ**.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტის ქრონიკები

## ჩაუქები



1890-იანი წლები. ქართველი ცხენოსნები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ზის ლუკა ჩხარტიშვილი

# ამერიკელთა გამაოცებლები

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ ცხენოსანთა ოსტატობის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. ჩვენს მხედრებს განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პროფესიონალ ცხენოსნებზე დაუტოვებიათ. წარმატებით გამოდიოდნენ ისინი, აგრეთვე, იტალიის, გერმანიის, ინგლისის, კანადის, არგენტინის, ბრაზილიისა და მექსიკის ცირკებსა და იპოდრომებზე. მექსიკელებს ან სამხრეთამერიკელებს ცხენოსნობით რომ გააკვირვებ, ეს მართლაც დიდი ამბავია.

ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე ჩასულმა ქართველმა მხედრებმა იმდენად მოხიბლეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომ „ძვირფასი კავკასიელი სტუმრები" ხელახლა მიიწვიეს ამ ქვეყანაში. ოღონდ ეს უკვე სხვა ზეიმი იყო — ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის 400 წლისთავი.

გაზეთ „ცნობის ფურცელის" ერთ-ერთ ნომერში (1897 წლის 21 დეკემბერი) ვკითხულობთ: „ექვსი წელიწადია, რაც ათამდე გურულები ლუკა ჩხარტიშვილის მეთაურობით მოგზაურობენ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში... ხსენებული გურულები მიწვეული ყოფილან ერთს ცირკში ცხენზე მოთამაშეებად (ცხენოსნებად) ვითარც წარმომადგენელნი კავკასიის ტიპის ხალხისა. ცირკში მიწვეულნი ყოფილან როგორც გურულები, ისე სულ ყველა ტიპის წარმომადგენელნი, მაგრამ ვერც ერთმა ტომის ხალხმა იმდენად ვერ დაიმსახურა თურმე ამერიკის საზოგადოების ყურადღება, რამდენადაც გურულებმა. ბ-ს ლ. ჩხარტიშვილს საჩუქრად ოქროს მედალიც მიუღია, რომელსაც აწერია — რუსეთის გამოჩენილ მოთამაშეს, საჩუქრად ამერიკის საზოგადოებისაგან".

ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1897 წელს მომხდარა. ქართველ ცხენოსანთა გამგზავრების შესახებ კი გაზეთი „ივერია" ჯერ კიდევ 1893 წლის 19 თებერვალს წერდა: „ბათუმი. ამას წინად წავიდა აქედამ გურიაში ჩიკაგოს გამოფენის გამგებელთა სანდო კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეჰკრიბე რამდენიმე ცხენოსანი გურული ვაჟკაცი და ჩიკაგოს გამოჰგზავნეო. ამ კაცს უკვე შეუკრებია ეს დასი, რომელშიც 10 კარგი ვაჟკაცია, მშვენივრად გამოწყობილი და შეთოფიარაღებული. ეს დასი 13 თებერვალს ჩამოვიდა ბათუმს და ამ მოკლე ხანში გაემგზავრება კიდეც ამერიკას".

იმავე „ივერიის" (1893 წლის 19 მარტი) დახმარებით შესაძლებლობა მოგვეცა, თვალი ფრანგული პრესისთვისაც მიგვედევნებინა. „ივერია" გვთავაზობს პარიზის ერთ-ერთ გაზეთში — „პტი ჟურნალში" დაბეჭდილი წერილის მოკლე მიმოხილვას: „ჩვენს რედაქციას ამ დღეებში თხუთმეტი კავკასიელი ეწვია. ყველანი საუკეთესო და თამამი მხედრები არიან ეს კავკასიელები ჩიკაგოს მიემგზავრებიან ბ-ნ ერკოლის მეთაურობით. ჩიკაგოს გამოფენაზედ სხვათა შორის დოღი გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის კავალერისტები, გერმანელი ულანები, ინგლისელები, ამერიკის ინდიელნი და ეს კავკასიელნიც... ცხენები უკვე გაუგზავნიათ გემით ამერიკაში. დასს მეთაურობს თ. ეკისთავი (ალბათ ერისთავი უნდა იყოს. რედ.).

...საკვირველ სურათს წარმოადგენენ ეს მეომარნი: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიც აქვთ და წყნარიც. შავი, ჭკვიანი თვალები და შავი, გრძელი წვერი რაღაც უცნაური ელფერსა სდებს მათ სახეს... სთქვეს თავიანთი სიმღერა, რომელსაც რაღაც უცნაური მელოდია ჰქონია, თუმცა სიმღერა წყნარი იყო, მაგრამ შიგა-და-შიგ საშინლად გაჰკიოდნენ".

**ზურაბ თედორაძე**

## პირველი, პირველმა. პირველად...

**პირველი** დიდი წარმატება საკავშირო სპორტულ სარბიელზე საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 1944 წელს, მაშინ საქართველოს ჰყავდა საბჭოთა კავშირის 9 ჩემპიონი ძირითადად მძლეოსნობის ცალკეულ დისციპლინებში.

**პირველმა** ოფიციალური რეკორდი ცურვაში საქართველოში 80 წლის წინათ, 1928 წელს დაამყარა ბათუმელმა **ნიკოლოზ პაკროვსკიმ**. 100 მ თავისუფალი სტილით მან 1.08,6 წუთში გაცურა. შედარებისთვის ვიტყვით, რომ 2009 წლის 30 ივლისს ბრაზილიელმა **სეზარ სიელომ** იგივე მანძილი, იმავე სტილით 46,91 წამში გაცურა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

**პირველად** ქართველი კალათბურთელები საკავშირო სარბიელზე გავიდნენ 1934 წელს და დებიუტი მეოთხე ადგილით დასრულდა.

## თქვენთვის, ერუდიტებო ვიქტორინა

1. 1912 წელს პრაღას ეწვია საქართველოს სპორტსმენთა გუნდი. სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენლები?

ა – ფეხბურთელები
ბ – ტანმოვარჯიშეები
გ – მძლეოსნები

2. რომელ წელს გახდა ომარ ფხაკაძე სპრინტში მსოფლიოს ჩემპიონი?

ა – 1965 წელს
ბ – 1966 წელს
გ – 1968 წელს

3. სად და რომელ წელს მოიპოვა მესამედ ოლიმპიური ოქროს მედალი სამხტომში ვიქტორ სანეევმა?

ა – მიუნხენში 1972 წელს
ბ – მონრეალში 1976 წელს
გ – მოსკოვში 1980 წელს

4. რომელი გუნდი იყო ფეხბურთში 2005 წლის საქართველოს თასის მფლობელის, თბილისის „დინამოს" მეტოქე ფინალურ მატჩში?

ა – „ოლიმპი"
ბ – „ამერი"
გ – „ზესტაფონი"

5. სად მოეწყო ჩოგბურთის პირველი კორტი საქართველოში?

ა – ქიათურაში
ბ – ტყიბულში
გ – თბილისში

პასუხები: 1-ბ, 2-ა, 3-გ, 4-გ, 5-ა.

## წიგნის თარო



### საგანძურად ქცეული ნაშრომები

მართლა უდიდესი ნებისყოფა უნდა გქონდეს კაცს, რომ ათეული წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად ილვწოდე, მისხალ-მისხალ კრებდე ერთი კონკრეტული სფეროს მნიშვნელოვან ფაქტებს და ქმნიდე მატიანეს. მით უფრო, თუ ამდენ შრომას ქვეყნის ერთი რეგიონის ერთი დარგის შესწავლას უთმობ.

საქართველოს, განსაკუთრებით კი ქუთაისის და, საერთოდ, იმერეთის სპორტის მკვლევარის **ზურაბ ჯავახაძის** სახელი და ამაგი კარგა ხანია, საყოველთაოდაა ცნობილი. 36 წიგნის ავტორი ქუთაისის XX საუკუნის სპორტის მემატიანედ გამოაცხადეს თანაქალაქელებმა. წოდებები და ღვაწლის დაფასების აღმნიშვნელი რეგალია იმდენია, არ ჩამოვთვლით. ყველაზე ძვირფასი მისთვისაც, ჩვენთვისაც, დღევანდელი და მომავალი თაობებისთვისაც ის ნაშრომებია, რომელიც განძად დადო ავტორმა. ბოლო წლების გამოცემებიდან ყველაზე სქელტანიანი (750 გვ) წიგნია „ფეხბურთი საქართველოში", ძალზე მნიშვნელოვანი გამოცემებია აგრეთვე „ქუთაისური ფეხბურთი 100 წლისაა", „სპორტული იმერეთი"... ქუთათური გამომცემლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი. და, რაც ყველაზე მთავარია, ღვაწლმოსილი მკვლევრის, მეცნიერისა და პედაგოგის შრომა ჯეროვნად შეუფასებია და დაუფასებია ქუთაისის მერიის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და განათლების საქალაქო სამსახურს, რომლის ფინანსური მხარდაჭერით დღეს ხელთა გვაქვს ერის კულტურულ მემკვიდრეობად ქცეული საგანძური.

**თენგიზ თომაშვილი**

## სპორტსმენები საკუთარ თავზე

ბრმა არც მე ვიყავი, რაღაცას მეც ვხედავდი ჩემს გარშემო. კარგ სპორტსმენს ყველა პატივს სცემდა. მათ ბევრი მეგობარი ჰყავდათ, კოხტადაც იცვამდნენ. მე კი ერთი შარვლის ამარა ვიყავი. ამ განსხვავებას კარგად ვგრძნობდი. დღეს ვიცი, რომ ბედნიერება შარვლების რაოდენობით არ იზომება, მაგრამ სიჭაბუკეშიც ხომ არ მესმოდა ამდენი. თუმცა მაშინაც კი ვხედავდი, რომ კარგი სპორტსმენები მტკიცედ იდგნენ ფეხზე. მე კი ისე ვბარბაცებდი, მეგონა, პირველივე ქარი წამაქცევდა. აი, რატომ ვმუშაობდი თავდაუზოგავად — მინდოდა, კაცი გავმხდარიყავი...

**რომან რურუა**

რა მიზიდავს მთებში? დღეში რამდენჯერმე ვკვდები და ვცოცხლდები. აი, რა!

**ბიძინა გუჯაბიძე**
მთამსვლელი

## ივერია წერდა

„საუკეთესო წინდი რიგიანის ზნეობრივის განათლებისა ფიზიკურად ჯანსაღად აღზრდაა ყმაწვილისა".

„ივერია", 1899, №227.

## თარიღი

### 1-7 ივლისი

1.07.1991 წ. დაფუძნდა საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია.
2.07.1991 წ. დაფუძნდა საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია
2.07.1952 წ. დაიბადა **ვლადიმერ გრუზდევი** — აფროსანი.
2.07.1939 წ. დაიბადა **ანდრო ცხოვრებოვი** — თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 1991 წელს.
3.07.1933 წ. დაიბადა **გურამ აბაშიძე** — კალათბურთი.
4.07.1969 წ. სუ-ალტოს (იტალია) მწვერვალზე დაიღუპა **მიხეილ ხერგიანი.**
5.07.1937 წ. ბასკების წინააღმდეგ მოსკოვში „დინამოს" საკავშირო ნაკრებში ითამაშეს თბილისელებმა მეკარე **ალექსანდრე დოროხოვმა** და მცველმა **შოთა შავგულიძემ.**
5.07.1964 წ. დაიბადა **ლერი ხაბელოვი** — თავისუფალი ჭიდაობა.
5.07.1960 წ. **გივი ჩოხელის** დებიუტი სსრ კავშირის ნაკრებში (სსრკ-ჩეხოსლოვაკია 3:0).
5.07.1967 წ. დაიბადა **თენგიზ თედორაძე** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

## იყო ასეთი შემთხვევა

მოსკოვი. მიმდინარეობს მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრება. ჩვენი ნაკრების მწვრთნელებიდან ვალენტინ **ნოსკოვმა** და **ჰამლეტ ათაბეგოვმა** პროტესტი ხმაურით გამოთქვეს არაობიექტური მსაჯობის გამო. მათთან ერთი მოსკოველი კოლეგა მივიდა და, რა თქმა უნდა, რუსულად ეუბნება: ერთი რუსი ხართ, მეორე — სომეხი, რა თავს იდებთ და ჩხუბობთ საქართველოსთვის...

## ფოტომატიანე



სსრ კავშირის 1987 წლის ჩემპიონი ჭაბუკ კალათბურთელთა შორის თბილისის „ნორჩი დინამოელი"

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფენომენი

# ხელმარჯვე ოსტატები



ჯი პი არ ვილიამსი

**ინგლისელი სი ბი ფრაი, რომელიც 138 წლის წინათ დაიბადა, შესაძლოა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი სპორტსმენი იყო. თავად განსაჯეთ, მან ინგლისის კრიკეტის ნაკრებში 26 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. სი ბის ერთხელ ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრებშიც უთამაშია - 1901 წელს ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ. 1892 წელს ფრაიმ მსოფლიოს რეკორდი დაამყარა სიგრძეზე ხტომაში, რომელიც 21 წლის განმავლობაში ვერავინ დაამხო. ბოლოს მან თავისი შესაძლებლობები რაგბიშიც მოსინჯა. დიდხანს თამაშობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდში და „ბარბაროსების“ შემადგენლობაში თამაშის პატივიც ხვდა წილად.**

**ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, თვალი გადავავლოთ სიას იმ წარმატებული მორაგბეებისას, რომლებსაც სპორტის სხვა სახეობებშიც არანაკლებ სახელოვანი კარიერა ჰქონდათ.**

### ჯეფ ვილსონი

მას 1992-93 წლებში კრიკეტში ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა. ახალი ზელანდიის ნაკრებში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ. თუმცა მისი სარაგბო პოტენციალი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა. ჯეფმა საბოლოოდ არჩევანი ოვალური ბურთით თამაშზე შეაჩერა და მსოფლიო რაგბის ლეგენდად იქცა: 1993-2001 წლებში ახალი ზელანდიის ნაკრებში 60 კეპი მოიხვეჭა და 44 ლელო გაიტანა. ეს რეკორდი იყო მანამ, სანამ არენაზე **დაგ ჰაულიტი** არ გამოჩნდა.

ჯეფ ვილსონმა ბრწყინვალე სარაგბო კარიერა 2001 წელს დაასრულა და ისევ კრიკეტს დაუბრუნდა, სადაც 2005 წლამდე თამაშობდა.

### ჯი პი არ ვილიამსი

**ჯი პი არ ვილიამსმა** 1971-1974 წლებში უელსის ნაკრებში 55 კეპი მოიხვეჭა. შვიდჯერ „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში ითამაშა სამხრეთელი ბობოლების წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ყმაწვილკაცობაში ძალზე პერსპექტიული ჩოგბურთელი იყო: 1966 წელს უიმბლდონის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო და ინგლისის მომავალი პირველი ჩოგანი, თვით **დევიდ ლოიდი** დაამარცხა.

საბოლოოდ ვილიამსმა თავისი ცხოვრების მესამე სიყვარული - მედიცინა ირჩია. ვერც პროფესიული ჩოგბურთელის და ვერც მაშინ ჯერ კიდევ მოყვარული მორაგბის კარიერის ხიბლმა ორთოპედიის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

„ყველაფერი თავიდან რომ დამეწყებინონ, უპირატესობას, ალბათ, ჩოგბურთს მივანიჭებდი, რადგან დღესდღეობით სპორტის ეს სახეობა რაგბისა და მედიცინაზე უფრო შემოსავლიანია,“ - უთქვამს 2008 წელს გამართულ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ჯი პი არ ვილიამსს

### დენ ლაილი

**დენ ლაილის** გამოჩენა ინგლისური რაგბის კაბადონზე მეხის გავარდნას ჰგავდა. როცა მძიმე ტრავმა მიიღო, ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა „ვაშინგტონელ წითელკანიანებში“. ტრავმის მოშუშების შემდეგ ფიზიკური კონდიციების აღდგენის მიზნით რაგბით ერთობოდა. დენს იმდენად მოეწონა სპორტის ეს სახეობა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვა, მინდა, რაგბი ვითამაშოო და ინგლისურ „ბასში“ ჩაირიცხა.

ლაილმა გუნდთან ერთად 1998 წელს „ჰეინეკენის თასი“ მოიპოვა, რაგბიდან 2003 წლის მსოფლიო თასის დასრულებისთანავე წავიდა. დენმა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებში 45 კეპი მოიხვეჭა.

### ტაპი ოუენ-სმიტი

მას 1929 წელს კრიკეტში კარიერის პიკი ჰქონდა. ოღონდ, დაბადებით ინგლისელი სამხრეთ აფრიკის ნაკრებში ირჯებოდა. ოუენ-სმიტი იმავე წელს სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი გახდა მსუბუქი წონის მოკრივეთა შორის.

ამ უნიჭიერესმა ადამიანმა რაგბის თამაში 1930 წლიდან დაიწყო, როცა ინგლისში დაბრუნებულმა ოქსფორდის უნივერსიტეტში მედიცინის შესწავლა დაიწყო. ტაპი ისე გაიტაცა ოვალური ბურთით თამაშმა, რომ ოთხ წელიწადში ინგლისის ნაკრებში დებუტი ჰქონდა კარდიფში, უელსის ნაკრებთან მატჩში.

ტაპი ოუენ-სმიტმა „პომების“ შემადგენლობაში 10 კეპი მოიხვეჭა 1937 წელს, როცა ინგლისელებმა დიდი სლემი მოიგეს, მაშინ ის გუნდის კაპიტანი იყო.

### ერიკ თინდლი

ის ერთ-ერთი უხუცესი მოკრიკეტეთაგანია, ვინც რაგბიში დიდებული კარიერა გალია. ერიკი უნივერსალური მორაგბე იყო, მას ერთნაირად შეეძლო გუნდის მგეზავობა და ცხრა ნომრის პოზიციზე თამაშიც.

1935-36 წლებში ერიკ თინდლი „ოლ ბლექსს“ ჩრდილოურ ტურნეში ახლდა და საკმაოდ წარმატებითაც იასპარეზა, თუ არ ჩავთვლით ინგლისის ნაკრებთან შეხვედრას, რომელშიც ახალი ზელანდიის ნაკრები მშრალად 0:13 დამარცხდა. იმ მატჩში თინდლიმ ვერაფერი გააწყო ინგლისური რაგბის ამომავალი ვარსკვლავის, რუსი პრინცის **ალექს ობოლონსკის** წინააღმდეგ. ის თამაში თინდლისთვის „ოლ ბლექსის“ შემადგენლობაში ბოლო გამოდგა. 1937 წელს ერიკი ახალი ზელანდიის მოკრიკეტეთა ნაკრებში აიყვანეს.

### ნიკ მალეტი

ის ამჟამად იტალიის მორაგბეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ნიკი ახალგაზრდობაში საკმაო წარმატებით თამაშობდა კრიკეტს. 1984 წელს კი „სპრინბოკის“ შემადგენლობაში ორი კეპი მიიღო. უფრო მოგვიანებით მალეტმა საკუთარი შესაძლებლობები ბოულინგშიც მოსინჯა და იქაც წარმატებით.

■ ■ ■

ალსანიშნავია, რომ მსგავსი ისტორიები ქართველ მორაგბეთა კარიერაშიც გვხვდება. მაგალითად, ქართული რაგბის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ყველასთვის კარგად ცნობილი **ლევან (ლეონსიო) ცაბაძე** სანამ რაგბის თამაშს დაიწყებდა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობით იყო გატაცებული და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო. უფრო ადრინდელი თაობის წარმომადგენელი **ვლადიმერ პეტუხოვი** ჭადრაკში სპორტის ოსტატი გახლდათ. საქართველოს ახლანდელი ნაკრების ყოფილი კაპიტანი და მეორეხაზელი **ილია ზედგინიძე** წყალბურთის ნაკრების მეკარე იყო და იმ პერიოდში, როცა თბილისში წყალიც და დენიც სადღაც გაქრა, რაგბიში გადაბარგება მოუხდა.



ჯეფ ვილსონი

შვიდკაცა რაგბი



# შვიდკაცა ბორჯღალოსნები ფინალისთვის ემზადებიან

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის სერიის ფინალური ეტაპისთვის მზადება დაიწყო. შეჯიბრება 10-11 ივლისს მოსკოვში გაიმართება. ტურნირზე წლევანდელი სერიის ეტაპების შედეგად გამოვლენილი 12 საუკეთესო ნაკრები იასპარეზებს.

შეგახსენებთ, რომ შვიდკაცა „ბორჯღალოსნები“ მოხვდნენ საკმაოდ ძნელ, A ჯგუფში, სადაც ჩვენი გუნდის მეტოქეები რუსეთის, პორტუგალიის, იტალიის, მოლდოვისა და პოლონეთის ნაკრებები იქნებიან. B ჯგუფში იასპარეზებენ: ესპანეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, ლიტვა, ჰოლანდია და უკრაინა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა **კახა ალანიამ** უძლიერესი შემადგენლობის შეკრება ვერც ამჯერად შეძლო. ტრავმების გამო გუნდს დააკლდებიან **ვიქტორ კოლელიშვილი, ალექსანდრე თოდუა, ლექსო გუგავა** (სამივე - ლელო), **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) და **შალვა სუთიაშვილი** (მასი). **გიორგი ჩხაიძე** (მონპელიე) და **ირაკლი მაჩხანელი** (სენტ ეტიენი) კი თავიანთ კლუბებთან ერთად იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებაზე.

დღესდღეობით ფინალური ეტაპისთვის ოცამდე მორაგბე ემზადება, რომელთაგან ალანია 12-ს შეარჩევს. ნაკრების კანდიდატებს შორის რამდენიმე ლეგიონერიცაა: **ირაკლი აბუსერიძე** (ოსერი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული), **მერაბ კვირიკაშვილი, მალხაზ ურჯუკაშვილი** (ორივე - ფიჟაკი) და **სიმონ მაისურაძე** (ვილერბანი). გამოცდილი, მრავალის მნახველი მორაგბეებიდან აღსანიშნავია **ბესიკ ხამაშურიძის** (აია) და **გიორგი შკინინის** (ხულიგანა) დაბრუნება შვიდკაცას ნაკრებში.

ქართველთა გუნდი მოსკოვში 8 ივლისს გაემგზავრება.

A ჯგუფი: **საქართველო, რუსეთი, პორტუგალია, იტალია, მოლდოვა, პოლონეთი**

**B ჯგუფი: ესპანეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, ლიტვა, ჰოლანდია, უკრაინა.**

ამბები



## ქუადე კუპერს ციხე ემუქრება

ზე 14-ის გათამაშების წლევანდელი აღმოჩენა, ავსტრალიის ნაკრებისა და ბრისბენის „რედსის“ მგეზავი **ქუადე კუპერი** ახლახან სასამართლოში დაიბარეს. „ვოლაბების“ სამომავლო იმედი შარშან დეკემბერში ძარცვის ბრალდებით დააკავეს და გირაოთი გაათავისუფლეს.

კუპერის სასამართლო პროცესი ხვალ გაიმართება. ძნელი სათქმელია, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს მოსამართლე. ერთი რამ კი ცხადია, კუპერის ცხოვრებაში მომხდარმა დრამატულმა მოვლენებმა მის სარაგბო კარიერაზე დადებითად იმოქმედა. როგორც ჩანს, ის საქმეს სრული სერიოზულობით მიუდგა და ზე 14-ის გათამაშებაში იმდენად ბრწყინვალედ ითამაშა, რომ „ვოლაბების“ მწვრთნელ **რობი დინსს** დიდხანს არ უფიქრია, ისე მიიწვია ნაკრებში. კანონთან პრობლემების გამო მორაგბეზე ხელი არც ავსტრალიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს აუღიათ. არც შემცდარან.

„არცთუ დიდი ხნის წინ ცხოვრებაში მომხდარმა უსიამოვნებებმა მის სპორტულ კარიერაზე დადებითი გავლენა მოახდინა. ერთი ხანობა მომხდარის გამო კუპერი რაგბიდან წასვლასაც კი აპირებდა. არ ვარჯიშობდა, არავის დანახვა არ უნდოდა. მან შეძლო და დეპრესია დაძლია. მთელი არსებით რაგბიზე გადაერთო და შედეგიც სახეზეა. ვფიქრობ, სასამართლოზე მისი უდანაშაულობა დამტკიცდება და სამი ერის გათამაშებაში ავსტრალიის ნაკრებთან ერთად ითამაშებს,“ - თქვა „ვოლაბების“ თავკაცმა რობი დინსმა.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიის ნაკრები პირველ შეხვედრას სამი ერის გათამაშებაში 24 ივლისს ბრისბენში სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან გამართავს.

## შოტლანდიურ რაგბის ახალი წინამძღოლი ჰყავს

შოტლანდიის რაგბის კავშირის ყრილობაზე, რომელსაც 250 დელეგატი ესწრებოდა, პრეზიდენტად **იან მაკლოჰლენი** აირჩიეს. ახალარჩეულმა პრეზიდენტმა სიტყვა მისცა სკოტთა რაგბის თემს, რომ ყველაფერს გააკეთებს შოტლანდიური რაგბის განვითარებისა და მსოფლიო რაგბიში შოტლანდიის ნაკრების ავტორიტეტის ამაღლებისთვის.

„მთავარია, რაგბის კავშირსა და კლუბებს შორის ურთიერთობა დალაგდეს, სწორი გზა ავირჩიოთ და რაგბის განვითარებისთვის ყველამ ერთად ვიზრუნოთ. ახლახან ჩვენი ნაკრების არგენტინაში წარმატებული გამოსვლა იმის დასტურია, რომ შოტლანდიურ რაგბის დიდი პოტენციალი აქვს, რისი მაქსიმალურად რეალიზებაც უნდა შევძლოთ,“ - თქვა იან მაკლოჰლენმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

ფორმულა 1



# კუბიცა რენოში დარჩება?

პოლონელი **რობერტ კუბიცა** მზად არის „რენოსთან“ მრავალწლიანი კონტრაქტის გასაფორმებლად. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფრანგული საჯინიბო დაამტკიცებს, რომ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობები აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის საბრძოლველად, - წერს ბრიტანული Autosport.

კუბიცასთვის ცნობილია, რომ გასულ წელს „რენოს“ დაფინანსებასთან დაკავშირებით სირთულეები ჰქონდა. სწორედ ამის გამო მიიწვიეს გუნდში რუსი **ვიტალი პეტროვი**, რომლის უკან სერიოზული სპონსორები დგანან.

მაგრამ, როგორც ირკვევა, „რენოს“ ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება. იგივე Autosport სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ საჯინიბოს მეპატრონეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მსხვილ კომპანია MasterCard-თან და მხარეები უკვე მზად არიან ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სხვათა შორის, „რენოს“ თანამფლობელმა **ჟერარ ლოპესმა** გუნდის შტაბს აცნობა, რომ განიხილება მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონის **კიმი რაიკონენის** მიწვევა. ამ ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება იმ შემთხვევაში, თუ ფინელი ფორმულა 1-ში დაბრუნებას მოინდომებს.

„რენოს“ სპორტული დირექტორი **ერიკ ბუიე** არ მალავს, რომ ყველა ღონეს ხმარობს კუბიცას გუნდში დასატოვებლად: *„რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება და ამის შესახებ რობერტთან არაერთხელ გვილაპარაკია. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ გუნდს სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ პოლონელის თანხმობას“.*

ამბები

ავტოსპორტი

## მენსელი გამოჯანმრთელდა

ლეგენდარული ბრიტანელი ავტომრბოლი **ნაიჯელ მენსელი** აგრძელებს ლე მანის 24-საათიან რბოლაში მიღებული ტრავმის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს.

ამ დაზიანების გამო ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი გამოტოვებს „ლე მანის“ სერიის პორტუგალიურ რბოლას, თუმცა 22 აგვისტოს უნგრეთის „ჰუნგარორინგზე“ ბრიტანელს ტრასაზე ვიხილავთ.

*„მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ლე მანის ინციდენტის შემდეგ გამოჯანმრთელება მისურვა. ეს ძალიან დამეხმარა. მანქანა ძალიან კარგად მიდიოდა, მაგრამ საბურავის პრობლემებმა და შემდეგ მისმა აფეთქებამ ბარიერს მიმანარცხა“*, - იხსენებს ინციდენტს მენსელი.

*„ფეხთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, ყველაფერი წესრიგში მაქვს. ახლა უნგრეთში გასამართავ რბოლას ველოდები. ასევე ძალიან მინდა შინ ინგლისის გრან-პრიზე გამოსვლა - ყოველთვის მომწონდა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ტრასაზე გასვლა“*, - დაამატა ბრიტანელმა ავტომრბოლმა.

ფორმულა 1

## ავსტრიაში ფორმულა ბრუნდება?

ავსტრიული გამოცემა Kleine Zeitung ინფორმაციით, ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდრიდან ერთ-ერთი აზიური გრან-პრის ამოღებასა და მის ნაცვლად ავსტრიული ეტაპის დაბრუნებას პირებს. ეს რბოლა სავარაუდოდ რეკონსტრუირებულ „A1-რინგზე“ გაიმართება.

ბოლოს ავსტრიამ ფორმულა 1-ის ეტაპს 2003 წელს უმასპინძლა, თუმცა მოძველებული ტრასის გამო ამ ქვეყანაში რბოლა აღარ ჩატარებულა. ორი წლის წინ კონცერნ „რედ ბულის“ შეფმა **დიტრიხ მატეშიცმა** „A1-რინგის“ რეკონსტრუქცია გადაწყვიტა. ეს პროექტი 70 მილიონ ევროდ შეფასდა. განახლებულ კომპლექსში დაგეგმილია პიტლეინის ახალი შენობისა და ახალი ტრიბუნების მშენებლობა.

მაშინ მატეშიცი ამტკიცებდა, რომ არ განიხილება ავსტრიაში ფორმულა 1-ის დაბრუნების საკითხი, თუმცა Kleine Zeitung ამტკიცებს, რომ ბერნი ექლსტოუნი „A1-რინგის“ მიმართ სერიოზულ დაინტერესებას იჩენს.

მანამდე კი პირველი სერიოზული რბოლა, რომელიც განახლებულ ავტოდრომზე შედგება, DTM-ის სარბოლო სერიის ეტაპი იქნება. ის მომავალი წლის აპრილში გაიმართება.

კრივი

## კლიჩკო-პოვეტკინი გერმანიაში გაიმართება

სუპერმძიმე წონაში სატიტულო ბრძოლა უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოსა** და რუს **ალექსანდრ პოვეტკინს** შორის სექტემბერში გერმანიაში გაიმართება.

ძმები კლიჩკოების პრომოუტერულმა კომპანია - K2 Promotions-მა მოიგო IBF-ის სატიტულო ბრძოლაზე აუქციონი და ახლა ამ შეხვედრის ჩატარებაზე სწორედ ეს კომპანია იზრუნებს.

პრომოუტერებმა საჰონორარო ფონდი 8.313 მილიონი დოლარით განსაზღვრეს, რაც ორჯერ მეტია კომპანია Sauerland Events-ის მიერ დაპირებულ თანხაზე. ეს კომპანია პოვეტკინის საქმეებს აწარმოებს. IBF-სა და WBO-ის ჩემპიონი კლიჩკო საერთო თანხის 75 პროცენტს (6.235 მილიონი) მიიღებს, პოვეტკინი - 25 პროცენტს (2.078 მილიონი).

სავარაუდოდ, ბრძოლა 11 ან 18 სექტემბერს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გაიმართება.

კალათბურთი

NBA

# ნოვიცკი მიდის, იაო რჩება

გერმანელმა ვარსკვლავმა **დირკ ნოვიცკიმ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ არ გააფორმებს ახალ კონტრაქტს „დალას მავერიქსთან“ და მომავალ სეზონში ახალ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

2007 წლის საუკეთესო მოთამაშემ კლუბში გერმანიიდან გაგზავნა ოფიციალური წერილი, რომელშიც წერია, რომ ის დღეიდან ახალი კლუბის ძებნას იწყებს. ადრე „დალასის“ ხელმძღვანელობა კალათბურთელს ოთხწლიან კონტრაქტს სთავაზობდა, რომლის ღირებულება 96 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ დირკი არ დათანხმდა ამ წინადადებას.

ნოვიცკი გამოიყენებს მიმდინარე ხელშეკრულებაში არსებულ პუნქტს და თავისუფალი აგენტი გახდება. ჯერჯერობით უცნობია, რომელ გუნდში აპირებს დირკი კარიერის გაგრძელებას.

როგორც ჩანს, „დალასის“ ხელმძღვანელობა გრძნობდა, რომ გერმანელს აღარ სურდა კონტრაქტის გაგრძელება და უკვე დაიწყო ნოვიცკის შემცვლელზე ზრუნვა. როგორც ESPN წერს, „მავერიქსი“ „მინესოტას“ ფორვარდ **ელ ჯეფერსონის** გადაბირებაზე მუშაობს.

კლუბები გაცვლაზე აწარმოებენ მოლაპარაკებას. ჯეფერსონს მოქმედი კონტრაქტის მიხედვით კიდევ სამი წელი დარჩა, რომლის დროსაც 42 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშაოს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მისი საშუალო მაჩვენებლები 19.1 ქულასა და 10.5 მოხსნას უდრის.

■ ■ ■

გერმანელისგან განსხვავებით, კლუბის შეცვლას არ აპირებს „ჰიუსტონ როკეტსის“ ჩინელი ცენტრი **იაო მინი**. აზიელმა გიგანტმა არ გამოიყენა კონტრაქტში არსებული პუნქტი, რომლის მიხედვითაც 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტი გახდებოდა.

როგორც იაო ამბობს, მან „ჰიუსტონში“ დარჩენის გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო. ჩინელმა აღიარა, რომ საბოლოო არჩევანი მას შემდეგ გააკეთა, რაც მისმა ექიმებმა იაოს გამოჯანმრთელების ტემპები შეაფასეს. *„პირველად აღმოვჩნდი ასეთ სიტუაციაში. ტრავმის გამო მთელი სეზონის გამოტოვება მეტისმეტია. როგორც კი მივხვდი, რომ აღდგენას შევძლებდი, „ჰიუსტონში“ დარჩენა გადავწყვიტე. უკეთესი ვარიანტები მაინც არ მქონდა“*, - აღნიშნა კალათბურთელმა.

იაო მინი „ჰიუსტონმა“ 2002 წლის დრაფტზე პირველ ნომრად აირჩია. პირველივე სეზონიდან ჩინელი ყოველწლიურად „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მონაწილეობდა. ბოლო წლებში მას ტრავმები აწუხებს, რის გამოც მან სრულად გამოტოვა 2009-10 წლების სეზონი და ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე, რომელიც 28 აგვისტოს დაიწყება.



# კობი იტალიაში დაამთავრებს?

## პირსიც თავისუფალი აგენტი გახდა, შაკის ფასი ეცემა, ნეტსმა ჩინელი გაუშვა...



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ 31 წლის მცველი **კობი ბრაიანტი** სერიოზულად ფიქრობს თავისი ბავშვობის ქვეყანაში დაბრუნებაზე. საქმე ისაა, რომ კობის რამდენიმე წელი იტალიაში აქვს გატარებული, სადაც 80-იანი წლების ბოლოს მამამისი **ჯონ ბრაიანტი** თამაშობდა.

ბრაიანტს „ლეიკერსთან“ 2014 წლის ბოლომდე აქვს კონტრაქტი და სწორედ ამის შემდეგ შეიძლება ის აპენინებზე გადავიდეს. კობის სიტყვებით, მას ბევრი მეგობარი ჰყავს რეჯო ემილიასა და მილანში.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისამდე, კერძოდ 2007 წელს ბრაიანტს შემოთავაზება ჰქონდა „მილანიდან“. იტალიური კლუბი მას წელიწადში 70 მილიონ დოლარს სთავაზობდა. მაშინ კობიმ უარი განაცხადა კლუბის შეცვლაზე.

■ ■ ■

ვარსკვლავური თავისუფალი აგენტების დიდ არმიას ხვალიდან „ბოსტონ სელტიქსის“ ლიდერი **პოლ პირსიც** შეუერთდება. მართალია, კალათბურთელის მოქმედ კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში გასდის ვადა, მაგრამ პირსმა ხელშეკრულების გაწყვეტის უფლებით ისარგებლა, რაც უკვე აცნობა კლუბის ხელმძღვანელობასა და საკუთარ აგენტს.

2008 წლის ჩემპიონს იმედი აქვს, რომ ამ ზაფხულს „სელტიქსთან“ ახალ ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს, რომლის საერთო თანხა 90 მილიონი დოლარი იქნება. ან უკვე შეწყვეტილი ხელშეკრულების თანახმად, პოლი 2010-11 წლებში 21.5 მილიონს მიიღებდა. ჯერჯერობით უცნობია „ბოსტონის“ ხელმძღვანელობის პოზიცია პირსის გადაწყვეტილებაზე.

■ ■ ■

როგორც ამერიკული პრესა ვარაუდობს, NBA-ის ლეგენდარული ცენტრი **შაკილ ო'ნილი** ველარ განაცხადებს პრეტენზიას მაღალ ხელფასზე.

გასულ სეზონში შაკმა „კლივლენდ კავალიერზში“ 20 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. კონტრაქტის მიხედვით ეს მისი ბოლო წელი იყო ამ კლუბში. ო'ნილი დღეიდან თავისუფალი აგენტი გახდება და ჯერ გაურკვეველი აქვს მომავალი კარიერა.

გამოცემა Journal Times ვარაუდობს, რომ ვეტერანი ცენტრის პოტენციური ღირებულება ორ წელიწადში 8 მილიონ დოლარს არ გადააჭარბებს. გასულ სეზონში შაკილის საშუალო სტატისტიკა 12.6 ქულასა და 6.7 მოხსნას უდრიდა.

■ ■ ■

„ოკლაჰომა სიტის“ ახალგაზრდა ლიდერი **კევინ დურანტი** თავის ამჟამინდელ კლუბში პირობების გაუმჯობესებას იმედოვნებს. ლიგის ახალმა ვარსკვლავმა ადრე არაერთხელ გამოთქვა „ოკლაჰომაში“ დარჩენის სურვილი. ამასთან დაკავშირებით, თავდამსხმელი კლუბთან მაქსიმალური კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. დურანტის გეგმები მისმა აგენტმაც დაადასტურა.

*„კევინს ძალიან უნდა „ოკლაჰომაში“ დარჩენა და იმედი აქვს, რომ მისი შრომა აქ მაქსიმალურად დაფასდება“*, - განაცხადა **აარონ გუდვინმა.**

იმ შემთხვევაში, თუ მხარეები თანამშრომლობის ასეთ გზას აირჩევენ, დურანტის ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში 85 მილიონი დოლარი იქნება. ახალი კონტრაქტი 2010-11 წლების სეზონიდან შევა ძალაში. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში კევინმა 4.7 მილიონი გამოიმუშავა, მომავალ წელს კი მისი ხელფასი 6.7 მილიონი დოლარი იქნება.

■ ■ ■

გუშინ ერთი საინტერესო გაცვლა განახორციელეს „ნიუ ჯერსი ნეტსმა“ და „ვაშინგტონ უიზარდსმა. კერძოდ, „ნეტსმა“ ჩინელი ფორვარდი **იი იანლიანი** გაუშვა და კიდევ 3 მილიონი დაამატა იმისთვის, რომ „ვაშინგტონიდან“ სანაცვლოდ ფორვარდი **კვინტონ როსი** მიეღო. ამ ნაბიჯით „ნიუ ჯერსის“ თავისუფალი აგენტების ბაზარზე დამატებით 30 მილიონი დოლარის დახარჯვა შეეძლება.

იანლიანმა გასულ წელს საკმაოდ კარგი სეზონი ჩაატარა - საშუალოდ 12.0 ქულა და 7.2 მოხსნა დააგროვა, თუმცა გუნდის ახალი მწვრთნელი **ეივერი ჯონსონი** ვერ ხედავდა ჩინელს თავის სათამაშო სქემაში.

2008 წლის დრაფტის მეექვსე ნომერი კვინტონ როსი შარშან 2.0 ქულასა და 0.9 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“ შემადგენლობიდან დაითხოვა ფორვარდი **რაიან გომესი**, რომელიც ცოტა ხნის წინ „მინესოტასთან“ გაცვლის შედეგად დაიმატა.

კლუბის ხელმძღვანელობას ამ გადაწყვეტილებით სურს განტვირთოს სახელფასო ბიუჯეტი, რომელიც მაქსიმალურ ზღვარს გადაცდა.

გომესი ხუთი წელია ლიგაში თამაშობს. შარშან მისი სტატისტიკა 10.9 ქულასა და 4.6 მოხსნას შეადგენდა. „პორტლენდმა“ გომესი და დებიუტანტი **ლუკ ბებიტი** „მინესოტას“ **მარტელ უებსტერში** გაუცვალა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

უიმბლდონი 2010

# ეს ის ფედერერი აღარ არის

დღე არ გავა უიმბლდონზე ხმაურიანი სენსაცია რომ არ დაფიქსირდეს. ორი დღის წინ ქალების მეოთხედფინალში **ვენუს უილიამსისა** და **კიმ კლაისტერსის** გავარდნის შემდეგ, გუშინ მამაკაცთა ტურნირი მოქმედი ჩემპიონის - **როჯერ ფედერერის** გარეშე დარჩა.

შვეიცარიელი ჩოგბურთელი ნელ-ნელა თმობს თავის პოზიციებს და თანდათანობით წყდება მისი სარეკორდო სერიები. როლან გაროსზე როჯერმა ვერ შეძლო „დიდი სლემის" ტურნირებზე ზედიზედ 24-ედ ნახევარფინალში გასვლა. ახლა კი მისი კიდევ ერთი ბრწყინვალე სერია შეწყდა: 2002 წელს პირველ წრეში ნაგების შემდეგ, როჯერი ზედიზედ შვიდჯერ გავიდა უიმბლდონის ფინალში და აქედან ექვსი ტიტული მოიგო. გუშინ ფედერერის შეჩერება მე-12 ნომრად განთესილმა ჩეხმა **ტომაშ ბერდიხმა** შეძლო, თანაც ეს მეტად დამაჯერებლად გააკეთა - 6:4, 3:6, 6:1, 6:4.

იმავე 2002 წლიდან მოყოლებული, ფედერერს ბალახზე 77-დან 76 მატჩი ჰქონდა მოგებული, მაგრამ ცუდი ნიშანი იყო ივნისში, გერმანიის ჰალეში **ლეიტონ ჰიუიტთან** წაგებული შეხვედრა. გუშინდელმა მატჩმა დაადასტურა, რომ ჩვენ, შესაძლოა, ძველი ფედერერი ვეღარ ვიხილოთ.

ფედერერი და ბერდიხი აქამდე ათჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ჩეხს მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული. პირველად მან ეს 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე შეძლო, მეორედ - წელს მაიამის მასტერსზე. ტომაშს კარგად ესმოდა, რომ შვეიცარიელს მხოლოდ შემტევი ჩოგბურთით თუ დაამარცხებდა. ბერდიხს მთელი მატჩის განმავლობაში ტემპი არ დაუგდია და ჯამში აქტიური მოქმედებით 55 ქულა აიღო, რასაც 12 ეისი მიაყოლა.

ბერდიხმა განსაკუთრებით კარგად მოწოდებაზე ითამაშა - ფედერერმა მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი ბრეიკი გააკეთა. ეს მეორე სეტში მოხდა, რომელიც შვეიცარიელმა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

პირველ პარტიაში ფედერერს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია, ბერდიხს კი ასეთი შანსი ერთადერთხელ მიეცა და გამოიყენა კიდეც. მეორე სეტზე უკვე ვთქვით, მესამეში კი ბერდიხს სრული უპირატესობა ჰქონდა, რაზეც ანგარიში მეტყველებს - 6:1.

მთავარი მოვლენები მეოთხე სეტში განვითარდა, რომელშიც როჯერს წარმატების მიღწევის რეალური შანსი ჰქონდა. 3:2-ზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ბერდიხმა ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ ფედერერმა მეოთხე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და ეს შანსიც ვერ გამოიყენა, მომდევნო გეიმში კი თავად წააგო საკუთარი მოწოდება, რაც პრაქტიკულად წაგების ტოლფასი იყო. 5:4-ზე ბერდიხმა მეორე მატჩბოლიდან კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

*„არ მგონია, რომ დღეს ცუდად ვითამაშე, უბრალოდ ბერდიხმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. აქამდე მასთან ათჯერ მქონდა ნათამაშები და ტომაშმა დღეს აჩვენა რა შეუძლია სინამდვილეში. წელს ის უფრო სტაბილურად თამაშობს, ვიდრე გასულ წელს. დღეს ჩემი ერთადერთი პრობლემა დაცვაში თამაში იყო. ვერ ვაჩვენე ყველაფერი, რაც შემიძლია. რა თქმა უნდა, ამის გამო იმედგაცრუებული ვარ,* - განაცხადა როჯერმა.

ალსანიშნავია, რომ ამ წაგების შემდეგ ფედერერი მომავალი ორშაბათიდან მესამე ადგილამდე დაქვეითდება ATP-ის რეიტინგში, რაც 2003 წლის 10 ნოემბერის შემდეგ არ მომხდარა. როჯერი **ნოვაკ ჯოკოვიჩს** გაუშვებს წინ.

ჯოკოვიჩმა გუშინ ყველაზე იოლ გამარჯვებას მიაღწია და სწორედ ის შეხვდება ნახევარფინალში ბერდიხს. უიმბლდონის სამგზის ფინალისტის **ენდი როდიკის** დამარცხების შემდეგ, ტაივანელ **იენ-ჰსუნ ლუს** კიდევ ერთი სენსაციისთვის არც ძალა ალმოაჩნდა და არც კლასი. თანაც ჯოკოვიჩი აშკარად კარგ ფორმაში შეხვდა უიმბლდონის გადამწყვეტ მატჩებს.



სერბს ორი საათიც არ დასჭირვებია აზიელი ჩოგბურთელის დასამარცხებლად. ლუს მეტოქის გეიმებზე პრაქტიკულად შანსი არ ჰქონია. ჯოკოვიჩის მოწოდებაზე სულ 13 გეიმი გათამაშდა და ნოვაკმა მხოლოდ 12 ქულა დაუთმო, პირველი მოწოდებით კი 28-დან 26 ქულა აილო, აქედან 15 ზედიზედ. საკმარისია ალინიშნოს, რომ ტაივანელს მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია.

ჯოკოვიჩმა გაიმეორა 2007 წლის შედეგი - ნოვაკი მაშინაც ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ **რაფაელ ნადალთან** ტრავმის გამო მესამე სეტში შეწყვიტა ბრძოლა.

„ჯოკერს" თავადაც მოსწონს უიმბლდონზე საკუთარი თამაში: *„ასეთი გამარჯვება ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. მთელი კარიერის განმავლობაში ხან პროგრესის პერიოდი მქონდა, ხან - ჩავარდნის, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ყველაფერი დალაგდა. მომწონს ის ჩოგბურთი, რომელსაც ამ უიმბლდონზე ვაჩვენებ.*

*ფედერერისა და ბერდიხის მატჩის რამდენიმე გეიმი ვნახე და უნდა ვთქვა, რომ ტომაში ძალიან კარგად თამაშობდა. ვფიქრობ, თუ ისევე კარგად ვითამაშებ ნახევარფინალში, როგორც ეს დღეს გავაკეთე, ფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი მექნება".*

დანარჩენ ორ მეოთხედფინალშიც ფავორიტებმა იმარჯვეს, თუმცა ორივე შეხვედრა მეტად დამაინტრიგებლად დაიწყო. შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** რაფაელ ნადალთან პირველ სეტში 5:0 წაიყვანა ანგარიში. მხოლოდ ამის შემდეგ მოვიდა გონს ესპანელი ჩოგბურთელი და ზედიზედ სამი გეიმი აილო, თუმცა პირველი სეტის გადარჩენა ველარ მოასწრო. სამაგიეროდ, დარჩენილ სეტებში რაფაელმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი. ნადალმა შეცდომებს უკლო და დარჩენილი სამი სეტი ძალზე სტაბილურად გამოიყურებოდა. საკმარისია ალინიშნოს, რომ ესპანელმა მხოლოდ 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ასევე წააგო პირველი სეტი მასპინძელი ფანების კერპმა **ენდი მიურეიმ** - ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** პარტია ტაი-ბრეიკზე მოიგო, მაგრამ საერთო ჯამში ბრიტანელმაც დამაჯერებელი თამაში აჩვენა. ენდის ანგარიშზე 14 ეისი, აქტიურად მოგებული 46 ქულა და მხოლოდ 14 უნებლიე შეცდომა მოდიოდა.

■ ■ ■

სენსაციები გუშინ წყვილთა თანრიგშიც ვიხილეთ - კაცებშიც და ქალებშიც მთავარი ფავორიტები გამოეთიშნენ ბრძოლას.

დებმა **უილიამსებმა** ავსტრალიის ღიასა და როლან გაროსის მოგების შემდეგ ვერ შეძლეს უიმბლდონზე გამარჯვება. მეოთხედფინალში **სერენასა** და **ვენუსის** დამარცხება **ელენა ვესნინასა** და **ვერა ზვონარევას** რუსულმა დუეტმა შეძლო - 3:6, 6:3, 6:4.

ამერიკელებმა პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორე და მესამე პარტიებში უამრავი ბრეიკ-პოინტი გაანიავეს და მოგება აჩუქეს რუსებს. არადა, უილიამსები „დიდი სლემის" მე-13 და უიმბლდონის მეხუთე ტიტულს უმიზნებდნენ.

წააგო მეორე ოჯახურმა წყვილმა. **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა** ასევე მეოთხედფინალში დათმეს შეხვედრა ინტერნაციონალურ დუეტთან 39 წლის ბელგიელი **დიკ ნორმანისა** და სამხრეთაფრიკელი **უესლი მუდის** შემადგენლობით - 6:7(4), 6:7(5), 7:6(3), 5:7.

ამერიკელთა დუეტს 2006 წლის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული უიმბლდონი. სხვათა შორის, აქ გამარჯვებით მათ კაცების წყვილთა თანრიგში ყველა დროის რეკორდის დამხობა შეეძლოთ. ბრაიანებს პროფესიულ ტურში 61 ტიტული აქვთ მოგებული, რითაც უთანაბრდებიან ავსტრალიელების - **მარკ ვუდფორდისა** და **ტოდ ვუდბრიჯის** ლეგენდარულ დუეტს, მაგრამ ძმებმა დროებით გადადეს რეკორდის დამყარება.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**ტომას ბერდიხი (ჩეხ. 12)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 1) 6:4, 3:6, 6:1, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:3, 6:2, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 10) 6:7(5), 7:6(5), 6:2, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6) 3:6, 6:3, 7:6(4), 6:1.

**1/2 ფინალი**

ბერდიხი (12)-ჯოკოვიჩი (3); მიურეი (4)-ნადალი (2).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **I საკვ. ეტაპი** | |
| ტრე ფიორი-რუდარი | 0:3 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| რუსენბორგი-ალტა | 3:1 |
| სარპსბორგი-ჰიონეფოსი | 2:2 პენ. 3:5 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვასბი-ლიუნგსკილე | 3:2 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ლაჰტი-ჰონკა | 2:4 |
| ჰაკა-ინტერი | 1:3 |
| კუოპიო-ტამპერე | 6:2 |
| **II დივიზიონი** | |
| კლუბი 04-ვიიკინგიტი | 0:3 |
| ოპს-კპვ | 1:1 |
| როვანიემი-კემი | 4:1 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-ტრანზიტსი | 2:0 |
| მეტალურგსი-იურმალა | 1:2 |
| ოლიმპსი-ვენტსპილსი | 0:3 |

TV პროგრამა

**1 ივლისი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** საერთაშორისო ტურნირი. მაკაბი (ჰაიფა)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბორდო-იუვენტუსი.
**12:00** საერთაშორისო ტურნირი. აუსტრია-დინამო (ბუქარესტი). ავსტრია.
**13:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ცსკა-ვოლფსბურგი.
**15:50** საერთაშორისო ტურნირი. მაკაბი (ჰაიფა)-ლოკომოტივი (მოსკოვი). ავსტრია.
**17:40** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ლევერკუზენი.
**19:25** საფეხბურთო პროგრამა.
**20:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**20:45** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვილიარეალი.
**00:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**01:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-მარსელი.
**03:00** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ევერტონი.
**04:45** 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-მილანი.

**EUROSPORT**

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია.
**12:00** ველოსპორტი. პარიზი-რუბე. საფრანგეთი.
**13:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:30** ველოსპორტი. ფლეშ ვალონი. ბელგია.
**15:00** პოკერი. საფრანგეთის ჩემპიონატი.
**17:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**17:30** ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია.
**19:00** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**19:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. 2009 წლის საუკეთესო მომენტები.
**20:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. გუნდების პრეზენტაცია (LIVE).
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:40** ახალი ამბები.
**22:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** პრო-რესტლინგი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. 2009 წლის საუკეთესო მომენტები.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ფინალი სან დიეგოში დაინიშნა

ფედერაციის თასზე ამერიკისა და იტალიის ნაკრებთა ფინალური მატჩი 6-7 ნოემბერს კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოში გაიმართება - ამის შესახებ ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი წერს. შეგახსენებთ, რომ იტალია ფედერაციის თასის მოქმედი ჩემპიონია. ამერიკა მეტოქეს გადამწყვეტ მატჩში ჰარდის საფარს დაახვედრებს.

აშშ-ის ნაკრებმა ნახევარფინალში საკუთარ მოედანზე დაამარცხა რუსეთი - 3:2, იტალიამ კი ჩეხეთი გაანადგურა - 5:0.

ამერიკა ფედერაციის თასის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია - მას ეს პრიზი 17-ჯერ აქვს მოგებული, თუმცა ამ გუნდის ბოლო ტრიუმფი შორეული 2000 წლით თარიღდება. იტალიისთვის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ეს მეოთხე ფინალი იქნება, აქედან ორჯერ (2006, 2009) აპენინელებმა თასი მოიპოვეს. შარშან რეჯო კალაბრიაში სწორედ იტალია და ამერიკა ხვდებოდნენ ფინალში.

როგორც ადრე ვწერდით, ფინალის მასპინძლობაზე ამერიკის 11 ქალაქი აცხადებდა პრეტენზიას და ამერიკის ჩოგბურთის ფედერაციამ სან დიეგოს მიანიჭა უპირატესობა.

■ ■ ■

გაირკვა დევისის თასის კიდევ ორ მეოთხედფინალურ წყვილში მონაწილე გუნდების შემადგენლობები.

ხორვატიის ნაკრები სპლიტში სერბეთს უმასპინძლებს. მასპინძელთა კაპიტანმა **გორან პრპიჩმა** ამ შეხვედრაში შემდეგ მოთამაშეებზე გააკეთა არჩევანი: **მარინ ჩილიჩი, ივან ლუბიჩიჩი, ანტონიო ვეიჩი** და **ივან დოდიგი.**

ცნობილი გახდა სერბეთის შემადგენლობაც. გუნდის კაპიტანმა **ბოგდან ობრადოვიჩმა** ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელები შეკრიბა: **ნოვაკ ჯოკოვიჩი, ვიქტორ ტროიცკი, იანკო ტიპსარევიჩი** და წყვილთა თანრიგში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე **ნენად ზიმონჟიჩი.**

კიდევ ერთ მეოთხედფინალში ჩილე ჩეხეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ორივე გუნდს თავიანთი წამყვანი მოთამაშეები - **ფერნანდო გონსალესი** და **რადეკ შტეპანეკი** დააკლდებიან. მათ გარეშე შემადგენლობები ასე გამოიყურება: ჩილე - **ნიკოლას მასუ, ხორხე აგილარი, პოლ კაპდევილე** და **კრისტობალ საავედრა.** ჩეხეთი - **ტომაშ ბერდიხი, იან ჰაიეკი, ლუკაშ დლუჰი** და **ფრანტიშეკ ჩერმაკი.**

■ ■ ■

მსოფლიო ჩოგბურთის ოთხი ლეგენდა - **პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, ჯონ მაკინროი** და **ივან ლენდლი** 2011 წლის 28 თებერვალს საჩვენებელ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. საინტერესო შეჯიბრი ნიუ იორკში ლეგენდარულ „მედისონ სკვერ გარდენში" გაიმართება.

როგორც სააგენტო AP წერს, სამპრასი და აგასი თავიანთ შეხვედრას „დიდი სლემის" ფორმატში ჩაატარებენ, ანუ გამარჯვებულის გამოსავლენად სამი სეტის მოგება გახდება საჭირო. რაც შეეხება მაკინროისა და ლენდლს, ისინი ერთ სეტში გაარკვევენ ურთიერთობას, ოღონდ გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მოიგებს რვა გეიმს.

■ ■ ■

წარუმატებელი გამოდგა დიდ ჩოგბურთში როლან გაროსის 1995 წლის ჩემპიონის - ავსტრიელი **თომას მუსტერის** დაბრუნება. გერმანიის ქალაქ ბრაუნშვაიგში 42 წლის ვეტერანმა პირველი წრის მატჩი პირწმინდად წააგო ირლანდიის წარმომადგენელ **კონორ ნილანთან** - 2:6, 1:6. ნილანი ამჟამად 165-ე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში.

მუსტერმა 11-წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი | მსოფლიოს ჩემპიონატი 2010





# ისინი გაიხდიან

თავის დროზე, არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიეგო მარადონამ** განაცხადა, რომ მისი გუნდის გაჩემპიონების შემთხვევაში მზად არის ბუენოს აირესის ქუჩებში შიშველმა ირბინოს.

ესპანელი პოპვარსკვლავი **ენრიკე იგლესიასი** იმუქრება - თუ ესპანეთის ნაკრები სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს თასს დაეუფლება, ის შიშველი გაისეირნებს წყლის თხილამურებით. *„თუ ესპანეთის ნაკრები თასს მოიგებს - დავთვრები და ფლორიდის სანაპიროზე წყლის თხილამურებით შიშველი ვისრიალებ. ბავშვობაში ეს ხშირად გამიკეთებია“*, - განაცხადა ენრიკემ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, მამაკაცი გულშემატკივრებისთვის ყველაზე მომგებიანი იქნება პარაგვაის გამარჯვება. ამ შემთხვევაში ქვეყნის ყველაზე სახელგანთქმული ფანი - მოდელი **ლარისა რიკელმე** მარადონასა და იგლესიასს მიბაძავს.


მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge





ჩოგბურთი

# ანამ და მარტინამ მოიგეს



წარმატებული სტარტი აიღეს უიმბლდონზე რუსმა **ანა კურნიკოვამ** და შვეიცარიელმა **მარტინა ჰინგისმა**. მათი წყვილი ვეტერანთა ტურნირში მონაწილეობს. ანასა და მარტინას დუეტმა **ენ ჰობსისა** და **სამანტა სმიტის** ბრიტანულ წყვილს სძლია - 6:2, 6:4.

კურნიკოვას უიმბლდონზე წყვილებში საუკეთესო შედეგი 2000 წელს ჰქონდა, როცა ნახევარფინალს მიაღწია, ჰინგისს კი დუეტებში ეს ტურნირი ორჯერ - 1996 და 1998 წლებში აქვს მოგებული.

მატჩის შემდეგ ანამ და მარტინამ აღიარეს, რომ ბედნიერები არიან უიმბლდონზე დაბრუნებით, მაგრამ დიდ ჩოგბურთში კარიერის განახლებას არ აპირებენ.

*„პირადად ჩემთვის ეს არის უიმბლდონზე დაბრუნების შესანიშნავი შესაძლებლობა, სადაც 2002 წლის შემდეგ არ მითამაშია. თანდათან ასაკი მემატება და შესაძლოა, ეს იყო კორტზე გასვლის ბოლო შანსი“*, - განაცხადა მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე კურნიკოვამ.

*„მალე 30 წლის გავხდები... ვფიქრობ, ჩემს ცხოვრებაში ჩოგბურთს დიდი ადგილი ეჭირა და მან ბევრი რამ მომცა. ყველა მომენტისთვის მას მადლობას ვუხდი“*, - თავის მხრივ აღნიშნა ჰინგისმა.

ამასთან, ორივე ჩოგბურთელმა გამოაცხადა, რომ ისინი არ აპირებენ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას, რადგან ეს ცხოვრების სრულიად სხვა გრაფიკს, მუდმივ ვარჯიშებსა და შესაბამის მომზადებას მოითხოვს.

თანამედროვე ჩოგბურთში არსებულ მდგომარეობაზე ლაპარაკისას ანამ აღნიშნა, რომ მის დროს პროფესიული ტურის შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანი იყო, რადგან ერთად თამაშობდნენ არაერთი თაობის ჩოგბურთელები, რომლებსაც ყველა კარგად იცნობდა.

*„დღეს კი გულშემატკივრები უბრალოდ არ იცნობენ მათ, ვინც პირველი ათეულის მიღმა იმყოფებიან“*, - ამბობს კურნიკოვა.

ჰინგისიც ეთანხმება პარტნიორს და ამბობს, რომ ქალთა ჩოგბურთის ელიტა უფრო ერთფეროვანი გახდა.

*„ჩვენს დროს ყველას საკუთარი სტილი ჰქონდა, ყველა ლიდერი უნიკალური იყო. ახლა კი ჩოგბურთელები ერთი სტილისანი არიან. მათთვის მთავარია - ძლიერი დარტყმა“*, - აღწერა დღევანდელი ვარსკვლავების თამაშის მანერა ჰინგისმა.

# ბეკერის იუბილე

როგორც ჩანს, ინგლისელმა ფეხბურთელებმა სწრაფად დაივიწყეს სამხრეთ აფრიკაში განცდილი კრახი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი** ლონდონში, „მორტონის“ კლუბში ლეგენდარულ გერმანელ ჩოგბურთელ **ბორის ბეკერს** სტუმრობდა.

42 წლის ბეკერი უიმბლდონზე პირველი გამარჯვების 25-წლისთავს აღნიშნავდა. 1985 წელს, 17 წლის ბორისმა ფინალში ამერიკელი **კევინ კარენი** დაამარცხა და პირველად იმარჯვა ლონდონის კორტებზე.

ლემპარდმა თავის მეგობარ გოგონა **კრისტინა ბლეკლისთან** ერთად შესანიშნავი დრო გაატარა. ფრენკის გარდა, ბეკერის წვეულებას სხვა ცნობილი ადამიანებიც ესწრებოდნენ, მაგალითად, მსახიობი **კევინ სპეისი**.

როგორც ირკვევა, გერმანიასთან სამარცხვინო წაგებიდან რამდენიმე საათის შემდეგ გართობა არ დაუკლიათ სხვა ინგლისელ ფეხბურთელებს. გავრცელდა რუსტენბერგის ერთ-ერთი სასტუმროს ბარში გადაღებული ფოტოები, რომელშიც მაგალითად, **აარონ ლენონი** კმაყოფილი სახით სიგარას ეწევა, **შონ რაიტ-ფილიპსი, ჯერმეინ დეფო, გლენ ჯონსონი** და **მაიკლ დოუსონი** ლუდს მიირთმევენ და გარშემო უამრავი დაცლილი ბოთლი უდგათ. რა მთავარია, მათ სულაც არ ეტყობათ საფეხბურთო მოედანზე რამდენიმე საათით ადრე გადატანილი მძიმე დარტყმა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ფრენკ ლემპარდი და ბორის ბეკერი



ბეკერი მეუღლე ლილი კერსენბერგთან და შვილებთან - 16 წლის ნოასთან და 10 წლის ელიასთან ერთად